# სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის გზამკვლევი სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის

*(საპილოტე ვერსია)*

**World Vision International-ის ფილიალი საქართველოში**

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

**2019 წელი**

**ავტორები:**

მაია წულაძე მარიამ ხვადაგიანი

**WV საქართველოს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ტექნიკური პროგრამის კოორდინატორი:** ცირა ბარქაია

**რედაქტორი**

ჭაბუკი ქირია

# წინასიტყვაობა

სკოლამდელ პერიოდს ნებისმიერი ბავშვის ცხოვრებაში განსაკუთრებული, ტრანზიტული ფუნქცია აკისრია. ამ პერიოდში აქტიურად ხდება ბავშვის სოციალური, კულტურული, ემოციური განვითარება, ინდივიდუალური თავისებურებების ფორმირება და  სკოლისათვის მზაობის გამომუშავება. ამრიგად, სასკოლო მზაობის პროგრამის მისიაა არა მარტო ბავშვის მიმდინარე განვითარების ხელშეწყობა, არამედ განათლების შემდგომ ეტაპზე წარმატებულად გადასვლისა და სამომავლო ეფექტური ფუნქციონირებისთვის მომზადებაც.

ამასთანავე, სკოლამდელი აღზრდისა  და განათლების  პროცესი ინკლუზიურობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს და სრულად ეხმიანებოდეს ბავშვთა იმ მრავალფეროვნებას, რომელიც დღეს საგანმანათლებლო სივრცეში გვხვდება.

ინკლუზიური განათლება, რომელიც დღესდღეობით საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთ წამყვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ყველა და ყოველი ბავშვის უნიკალურ მახასიათებლებზე, ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულ განათლებას გულისხმობს. ინკლუზიურობის პრინციპი ნებისმიერ ბავშვს აკადემიური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით საგანმანათლებლო ერთობის თანაბარ წევრად და მონაწილედ მოიაზრებს.

ინდივიდუალური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესით, სპეციალური აკომოდაცია-ადაპტაციისა და ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის გამოყენებით შესაძლებელია ასაკობრივი პროგრამის მისაწვდომობის გაზრდა განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.

განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვთა შორის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებიც არიან, რომელებიც  სპეციფიკურ მხარდაჭერას მოითხოვენ ასაკობრივ პროგრამაზე  მისაწვდომობისთვის.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის განვითარებისა და განათლებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის და ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას გაფართოებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომელიც სკოლამდელი აღზრისა და განათლების დაწესებულებებში  სმენის დარღვევის მქონე ბავშვების განათლებისა და განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების მობილიზებას და შესაბამისი მეთოდოლოგიური მხარდაჭერის გაწევას გულისხმობს.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის **მიზანია** მასში ჩართული თითოეული  ბავშვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესით უზრუნველყოფა, უწყვეტი მხარდაჭერა და როგორც მიმდინარე, ასევე

სამომავლო ეფექტური და წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომპეტენციებით აღჭურვა.

წინამდებარე გზამკვლევი შემუშავებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისთვის და მკითხველს სთავაზობს სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ასაკობრივ საგანმანათლებლო პროგრამასა და სააღმზრდელო პროცესებში ჩართვისთვის საჭირო რეკომენდაციებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის გზამკვლევი ეხება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მე-4 წლის სასკოლო მზაობის პროგრამით მიწოდებულ მომსახურებას და განსაზღვრულია სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის 5 წლის ასაკიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე. ამასთანავე, გზამკვლევში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და მიდგომები, შეიძლება იყოს მისადაგებული და გამოყენებული სმენის დარღვევის მქონე უფრო მცირე ასაკის ბავშვებისა და მათთვის განსაზღვრული სკოლამდელი მომსახურებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება N488; 30.10.2017) და სასკოლო მზაობის პროგრამას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2015).

გზამკვლევი დაეხმარება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების წარმომადგენლებს, უკეთ გააანალიზონ სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული უნიკალური საჭიროებები და მათი ხელშეწყობის მრავალფეროვანი შესაძლებლობები.

**დოკუმენტი 4 ძირითადი ნაწილისგან შედგება:**

**I ნაწილში** განხილულია სმენის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები და სმენის დარღვევის მქონე ბავშვების სწავლასა და განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებები;

**II ნაწილში** წარმოდგენილია სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ასაკობრივ პროგრამასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშემწყობი მეთოდოლოგია, სტრატეგიები და შესაბამისი რეკომენდაციები;

**III ნაწილში** ბავშვის განვითარების სფეროებთან მიმართებით განხილულია ის ქვესფეროები და მიმართულებები, რომლებიც სმენის დარღვევის შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას და სპეციფიკურ მხარდაჭერას საჭიროებენ;

**IV ნაწილში** წარმოდგენილია მშობლებთან/ოჯახებთან თანამშრომლობის რეკომენდაციები.

## შინაარსი


I ნაწილი ..... 6

შესავალი ..... 6

სმენის დარღვევის მქონე ბავშვები ..... 7

II ნაწილი ..... 16

სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა ჩართვა სასკოლო მზაობის პროგრამასა და საგანმანათლებლო პროცესში ..... 16

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ხელშემწყობი სტრატეგიები და აქტივობები ..... 18

- წინმსწრები მომზადება ..... 18
- გამოცდილების ფოტოდღიურები ..... 21
- ვიზუალური საყრდენები ..... 21
- რუტინა და განმეორებითობა ..... 22
- დამხმარე ტექნოლოგია ..... 22
- სათამაშოები და საგანმანათლებლო რესურსი ..... 23
- ეზოს თამაშები/აქტივობები ..... 23
- დამატებითი ადამიანური მხარდაჭერა ..... 23
- ხელშემწყობი ფსიქოსოციალური გარემო ..... 24
- ადაპტირებული ფიზიკური გარემო ..... 24

აბილიტაციურ-თერაპიული მომსახურება ..... 28
ინდივიდუალურად მორგებული პროცესი ..... 28
ჯგუფურ სიტუაციებში მონაწილეობის ხელშეწყობა ..... 28
III ნაწილი ..... 31
სმენის დარღვევის მქონე ბავშვების გაფართოებული მხარდაჭერის მიმართულებები ..... 31
კომუნიკაცია, ენა, მეტყველება და წიგნიერება ..... 31
კომუნიკაცია ..... 31
ენა და მეტყველება ..... 36
**ლექსიკური მარაგის განვითარების ხელშეწყობა** ..... 40
**ჟესტური ენა** ..... 43
კომუნიკაციასა და ენასთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრა ..... 53
წიგნიერების წინარე უნარების განვითარების ხელშეწყობა ..... 55
**წიგნების კითხვის/ამბების გადმოცემის საზიარო გამოცდილება** ..... 56
სმენის დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენება ..... 59
შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა ..... 62
ესთეტიკა და კულტურა ..... 62
მათემატიკური წარმოდგენები ..... 63
ზოგადი ცოდნა ..... 64
გონების თეორია ..... 69
სოციალურ-ემოციური განვითარება ..... 70
სოციალური თანამონაწილეობის ხელშეწყობა ..... 70
პოზიტიური თვითშეფასებისა და  თვითიდენტობის ხელშეწყობა ..... 72
სწავლისადმი მიდგომა ..... 74
ვიზუალური „მოსმენის განვითარება“ და ყურადღების მართვის ხელშეწყობა ..... 74
გარემოს მართვა და თვითადვოკატირება ..... 76
ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება ..... 77
სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მოტორული განვითარების ხელშეწყობა ..... 77
ხმის გამაძლიერებელ ტექნოლოგიების მოვლა ..... 78
IV ნაწილი ..... 79
მშობელთა განათლება და მხარდაჭერა ..... 79
გამოყენებული ლიტერატურა ..... 84
დანართები ..... 86
დანართი 1 ..... 86

ენის შემადგენელი კომპონენტების განმარტება ..... 86
დანართი 2 ..... 87
ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური საჭიროებების შეფასება ..... 87
დანართი 3 ..... 93
ენის გამოყენების და კომუნიკაციის სტრატეგიები/მიდგომები ..... 93
დანართი 4 ..... 97
ეფექტური საგანამანთლებლო გარემოს ორგანიზება სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის - საკითხები თვითრეფლექსიისთვის ..... 97

# I ნაწილი

# შესავალი

სმენის დარღვევის მქონე (დაქვეითებული სმენის, ყრუ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე) ბავშვები განვითარებისა და განათლების პროცესში დამატებით მხარდაჭერასა და სპეციფიკური პირობებით უზრუნველყოფას საჭიროებენ.

- ☞ სმენის დარღვევის მქონე ბავშვები მოწყვლადები არიან ხმოვანი და ვიზუალური გამღიზიანებლების და ხანგრძლივი ექოს მიმართ, ხოლო სმენის შესაძლებლობა ვარირებს გარემოს მახასიათებლების მიხედვით.
- ☞ მრავალრიცხოვან ჯგუფურ გარემოში სმენის დარღვევის მქონე ბავშვს შესაძლოა გაუჭირდეს მიმდინარე აქტივობებში ეფექტურად ჩართვა, ინფორმაციის სრულფასოვნად მიღება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზება. შესაბამისად, დასჭირდეს მრავალრიცხოვან ჯგუფებში სპეციფიკური მხარდაჭერის გაწევა, ისევე, როგორც გარკვეული უნარების განსავითარებელი აქტივობების შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფურ სიტუაციებში წარმართვა.
- ☞ სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს შესაძლოა მეტი ენერგია დაეხარჯოთ სხვისი ნათქვამის გაგებისა და საკუთარი სათქმელის სხვისთვის გაგებინებისთვის; ამასთანავე, გარკვეულ შემთხვევებში, ზეპირმეტყველებასთან ერთად ან მის ნაცვლად ჟესტური ენის გამოყენება დასჭირდეთ.
- ☞ ტიპური სმენის მქონე ბავშვები ინფორმაციის დიდ ნაწილს (80%-ს) შემთხვევითად, გაუმიზნავი სწავლის შედეგად იღებენ, მაშინ როცა სმენის დარღვევის მქონე ბავშვები იმავე ინფორმაციის მიზანმიმართულად მიწოდებას, ლექსიკური მარაგის ექსპლიციტურად სწავლებას და ლექსიკური მარაგის მიზანმიმართულად განვითარებას საჭიროებენ (Denzin & Luckner, 1998).

ამ და სხვა ფაქტორების გამო სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს სჭირდებათ ისეთი პირობების შექმნა და მხარდაჭერა, როგორიცაა სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენება, ექსპლიციტურად და მიზანმიმართულად მუშაობა გარკვეული უნარების განვითარებაზე, დამატებითი საგანმანათლებლო და თერაპიული ხელშეწყობა, გარკვეული აქტივობების განხორციელება მცირერიცხოვან ჯგუფებში, დამხმარე ტექნიკური მოწყობილობები, ადაპტირებული ფიზიკური სივრცე, დამხმარე განმავითარებელი მასალა, ჟესტური ენის სწავლება, ლექსიკური მარაგის განვითარებისა და ცნებების ფორმირების, ვიზუალური ყურადღების მართვის, ნარჩენი სმენის ფუნქციურად გამოყენების ხელშეწყობა, სათანადო დახმარების გაწევა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებიდან სკოლაში ტრანზიციისას და სხვა.

ამრიგად, სმენის დარღვევა, თავის მხრივ, ბავშვის განვითარებისა და განათლების სფეროებს დამატებით განზომილებებს და სამიზნეებს უმატებს, რაც ხშირად გაფართოებულ მხარდაჭერას მოითხოვს. აუცილებელია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ადმინისტრაციასა და პერსონალს, ისევე როგორც სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ოჯახს გაანალიზებული ჰქონდეს, ერთი მხრივ, ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც სმენის დარღვევის მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვები დგანან, ხოლო მეორე მხრივ, ის პასუხისმგებლობა და კომპეტენციები, რაც აღნიშნული ჯგუფის ბავშვების მრავალმხრივი განვითარებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად არის საჭირო.

## სმენის დარღვევის მქონე ბავშვები

- ✓ ყური გადასცემს ტვინს იმას, რაც „ესმის“. როდესაც ბავშვი მიზანმიმართულად აქცევს ყურადღებას გარკვეულ ხმებს, ბგერებს, ბავშვი „ისმენს“;
- ✓ სმენის დარღვევის მქონე ბავშვს შესაძლოა ესმოდეს ხმოვანი ინფორმაცია, მათ შორის ზეპირი მეტყველებაც, მაგრამ შეზღუდული იყოს ინფორმაციის გაგება და გამოყენება;
- ✓ როდესაც ბავშვს არ ესმის საკმარისად კარგად იმისათვის, რომ ნათქვამი გაიგოს, მაშინ ის ცდილობს ვიზუალური მინიშნებების, სიგნალების გამოყენებას, რათა გარემოში არსებული ინფორმაცია მისთვის მისაწვდომი გახდეს.

დაბადებიდან ბავშვები გარემოს შემეცნებას სხვადასხვა შეგრძნების გამოყენებით იწყებენ, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სმენას აკისრია. სმენას ასევე ცენტრალური როლი აკისრია ენობრივი უნარების განვითარების პროცესში.

სმენა ე.წ. დისტანტურ შეგრძნებას წარმოადგენს, რომელიც ბავშვისთვის მისაწვდომს ხდის მისი უშუალო მხედველობის ველის მიღმა არსებულ აუდიოინფორმაციას (ხმები, მეტყველება). სმენის მქონე ბავშვებს შეუძლიათ მოსმენა თუნდაც მოსაუბრის დანახვის გარეშე, ასევე, დაბალ ხმაზე, თუნდაც ჩურჩულით მიწოდებული ინფორმაციის გაგებაც. მათ სწრაფად შეუძლიათ ჩაიჭირონ ხმის წყარო და გადაიტანონ ყურადღება ერთი სტიმულიდან/მოსაუბრიდან მეორეზე. ისინი არ ტოვებენ ინფორმაციას, რომელიც თუნდაც მათი მხედველობის მიღმაა. ბავშვის მიერ ადრეულ ასაკში მიღებული ცოდნის უმეტესი ნაწილი სწორედ გაუმიზნავი ხასიათისაა, ბავშვები ბევრ რამეს შემთხვევითად სწავლობენ. ამასთანავე, ბავშვი სწავლობს სმენის ეფექტურად გამოყენებას, ფონური ხმების გაფილტვრა-დაიგნორებას და ყურადღებას ძირითად სამიზნე სტიმულებზე მიმართავს.

*სმენის დარღვევის შემთხვევაში,* ბავშვი ამგვარ შესაძლებლობებს მოკლებულია და ყველა აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან გამოწვევას შეიძლება წარმოადგენდეს.

ტერმინი *სმენის დარღვევა* აერთიანებს სმენის დაზიანების ნებისმიერ ტიპსა და ხარისხს და იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: სმენის დაქვეითება და სიყრუე; ხარისხის მიხედვით დარღვევა ვარირებს მსუბუქიდან მძიმემდე.

ტიპის მიხედვით, სმენის დარღვევა შეიძლება იყოს გამტარებლობითი (კონდუქტიური), ნეიროსენსორული და შერეული. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვანი სმენის შეზღუდვა სწორედ ნეიროსენსორულ დაზიანებას, შიგნითა ყურში ლოკოკინის (კოხლეას) ფუნქციის მოშლას უკავშირდება. ამასთანავე, სმენის დარღვევა შეიძლება იყოს სტაბილური ან პროგრესირებადი, პერმანენტული ან ცვალებადი, უნილატერალური (ცალმხრივი) ან ბილატერალური (ორმხრივი).




**სმენის დაქვეითება** ეს არის სმენის დარღვევის ფორმა, რომელიც არ გამორიცხავს ზეპირი მეტყველების (ხმოვანი ენის) აღქმისა და მეტყველების გაკონტროლების შესაძლებლობას სმენის საშუალებით, თუმცა გარკვეული ხარისხით ხელს უშლის მას. სმენის დაქვეითება ძლიერი დაქვეითების ჩათვლით 70-90 დეციბელამდე სმენადობის დიაპაზონს მოიცავს უკეთესი სმენის მქონე

ყურში. ხშირ შემთხვევაში, სმენის დაქვეითებისას ხდება სმენის აპარატების გამოყენება. ეს აპარატები აძლიერებს ხმას, იძლევა მეტყველების და ხმების გარჩევის, ხმის წყაროს ლოკალიზაციის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სმენის აპარატი აძლიერებს ხმას, ის არ აუმჯობესებს მის აღქმას და არ იძლევა ყველა ბგერის და სიტყვის სიზუსტით გარჩევის შესაძლებლობას. ხდება მხოლოდ იმ ბგერების გაძლიერება, რომელთა მიღებაც სმენის რეცეპტორს შეუძლია. მიუხედავად ამისა, სასმენი აპარატები ეფექტურია დაქვეითებული სმენის მქონე მრავალი ადამიანისთვის, - განსაკუთრებით, თუ ადრეული ასაკიდან და რეგულარულად ხდება მისი გამოყენება (CHS Accessibility Guide to Business & Services Providers, 2012).

**სმენის სრული დაკარგვა/სიყრუე** სმენის თანდაყოლილი ან შეძენილი დარღვევაა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სმენის საშუალებით ზეპირი მეტყველების (ხმოვანი ენის) აღქმის, საკუთარი მეტყველების გაკონტროლებისა და პროდუცირების შესაძლებლობას. სიყრუე 90 დეციბელს ზემოთ სმენადობის დიაპაზონს მოიცავს უკეთესი სმენის მქონე ყურში.

სიყრუის შემთხვევაში შეზღუდულია სმენის საშუალებით ლინგვისტური ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა მაშინაც კი, როდესაც სმენის გამაძლიერებელი მოწყობილობებია გამოყენებული და ინდივიდი ზეპირი მეტყველებისგან განსხვავებულ საკომუნიკაციო საშუალებებს საჭიროებს (Kirk, Gallagher, Coleman, & Anastasiow, 2012, p. 296).

სოციო-კულტურული პერსპექტივიდან ყრუ ადამიანები განიხილებიან ლინგვისტურ და კულტურულ უმცირესობად, რომელთაც სმენის მქონე უმრავლესობისგან განსხვავებული ენა (ჟესტური), კულტურა, ტრადიციები და მიკუთვნილობა გააჩნია (Marschark, & Hauser, 2011, p.4); აღნიშნული პერსპექტივა არ განიხილავს სიყრუეს, როგორც დარღვევას (CHS Reference Guide Barrier-Free Education, 2009).

**კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირები** - უკანასკნელ წლებში კოხლეარული იმპლანტის აქტიურად გამოყენებამ, შეიძლება ითქვას, რომ სმენის სირთულეების მქონე პირთა „მესამე“- კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ყრუ ადამიანების სპეციფიკური ჯგუფი დაამკვიდრა. კოხლეარული იმპლანტი წარმოადგენს ელექტრონულ მოწყობილობას, რომელიც ოპერაციის შედეგად ინერგება შიგნითა ყურში (კოხლეაში) ნერვული დაბოლოებების (სმენის რეცეპტორების) სტიმულაციისთვის, რათა მოხდეს ბგერის და მეტყველების მიღება და დამუშავება. კოხლეარული იმპლანტი სმენის ნერვს ბგერებს ელექტროდული იმპულსების სახით გადასცემს. კოხლეარული იმპლანტის ჩანერგვა სიყრუის შემთხვევაში ხდება დაზიანებული სმენის რეცეპტორების ჩანაცვლების მიზნით.

კოხლეარული იმპლანტი სმენის საშუალებით ზეპირი მეტყველების მოსმენის შესაძლებლობას ზრდის, თუმცა ლინგვისტური ინფორმაციის გაგებისა და მეტყველების გამოყენების შესაძლებლობა კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებში განსხვავებულია და მნიშვნელოვნად

ვარირებს, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული (მაგ.: იმპლანტირების ასაკი, მიღებული აბილიტაციის პროცედურები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები და სხვა). ამასთანავე, კოხლეარული იმპლანტიდან მიღებული ხმის, ბგერის შეგრძნება განსხვავებული, ასე ვთქვათ, უნიკალურია და მოითხოვს მისი მომხმარებლისგან ხმოვანი ინფორმაციის დამუშავების სწავლას. შესაბამისად, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ცალკეული ადამიანი განსხვავებულ შედეგს აღწევს ბგერის და ხმოვანი ენის (ზეპირი მეტყველების) აღქმისა და დამუშავების კუთხით (CHS Accessibility Guide to Business & Services Providers, 2012). კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების ნაწილი კომუნიკაციისთვის შესაძლოა მხოლოდ ხმოვან ენას/ზეპირ მეტყველებას ეფუძნებოდეს, ხოლო ზოგი კი ზეპირ მეტყველებასთან ერთად ჟესტების თანხლებას ან მხოლოდ ჟესტურ ენას საჭიროებდეს.

ამრიგად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას შესაძლოა წარმოადგენდეს:

ა) მხოლოდ ზეპირი მეტყველება

ბ) ზეპირი მეტყველება ჟესტების თანხლებით (ანუ მეტყველების და ჟესტური ენის კომბინაცია) ან ზეპირი მეტყველება და ჟესტური ენა

გ) მხოლოდ ჟესტური ენა

**ფუნქციური სიყრუე** - აღნიშნული ტერმინი ძირითადად არსებული/ნარჩენი სმენის ფუნქციურად გამოყენების შეუძლებლობას გამოხატავს, რაც გულისხმობს, რომ ადამიანს შესაძლოა ხარისხის მიხედვით (დიაგნოზით) არ ჰქონდეს სიყრუე, ჰქონდეს სმენის დაქვეითების ესა თუ ის ხარისხი ან იყენებდეს კოხლეარულ იმპლანტს და ამის მიუხედავად, არ შეეძლოს არსებული სმენის ფუნქციურად გამოყენება მეტყველების აღქმისა და დამუშავების მიზნით.

გასათვალისწინებელია, რომ სმენის მინიმალურ დარღვევაც კი (ამპლიფიკაციით თუ მის გარეშე) ნეგატიურად აისახება:

ა) ბავშვის მიერ სმენის ფუნქციურად გამოყენების, ლინგვისტური ინფორმაციის აღქმისა და დამუშავების, ენის განვითარების და ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობაზე;

ბ ) ბავშვის განვითარების პროცესზე;

გ) სწავლის შესაძლებლობაზე, საგანმანათლებლო ჩართულობაზე/აკადემიურ მიღწევებზე;

ამასთანავე, სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა გარკვეულ ნაწილს სმენის დარღვევასთან ერთად შესაძლოა სხვა დამატებითი შეზღუდვები და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებებიც გააჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ბავშვს განვითარებისა და განათლების პროცესში დამატებითი ხელშეწყობა დასჭირდება.

| *სმენის დაქვეითების ხარისხები და მათი გავლენა ბავშვის ფუნქციონირებაზე* | |
|---|---|
| **ხარისხი** | **გავლენა** |

| | |
|---|---|
| 16-25 დბ<br>მოსაზღვრე<br>მდგომარეობა/<br>მინიმალური<br>დაქვეითება | შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვის მიერ ენის, გარკვეული დისტანციიდან და დაბალ ხმაზე წარმოებული (მაგ., ჩურჩულის) საუბრის გაგებაზე. 3 ნაბიჯით დაშორებიდან მოსმენილი მეტყველების 10%-ის გამოტოვების შესაძლებლობა; სმენის დარღვევის 20 დბ-ს შეუძლია გავლენა იქონიოს მეტყველების ნაწილობრივ ან შეცვლილად აღქმაზე; გამოტოვებული მეტყველების პროცენტულობა იზრდება ფონური ხმაურის პირობებში. შესაძლოა გავლენა იქონიოს სოციალურ ურთიერთობებზე, სასაუბრო სიტუაციაში შეუსაბამო, უცნაურ ქცევაზე და საკუთარი თავის ნეგატიურ აღქმაზე; შესაძლოა ადგილი ჰქონდეს აუდიოსტიმულებზე ყურადღების მიმართვის სირთულეს და ადვილად დაღლას; |
| 26-40 დბ<br>მსუბუქი | ნეგატიური გავლენა ენისა და მეტყველების გაგებაზე; საუბრის ფრაგმენტების გამოტოვების და აზრის არასწორად გამოტანის შესაძლებლობა; სირთულის ხარისხი დამოკიდებულია გარემოში ხმაურის დონეზე და დისტანციაზე; ვერ გაიგებს ჩურჩულს; 30 დბ სმენის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა გამოტოვოს სამეტყველო სიგნალების 25-40%, ხოლო 40 დბ-ის შემთხვევაში - ჯგუფური დისკუსიის 50%. მეტწილად გამოტოვებს არააქცენტირებულ სიტყვებს და თანხმოვნებს, მით უმეტეს, თუ მაღალი სიხშირის სმენის დარღვევას აქვს ადგილი. ხშირად ნეგატიური გავლენა აქვს კითხვის უნარის ათვისებაზე; შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური სოციალური გავლენაც, ჯგუფურ საუბრებში მონაწილეობის სირთულის მიზეზით და განაპირობოს ბავშვის დაბალი თვითშეფასება; ყურადღების მიმართვის, კონცენტრაციის და სმენის სელექციურად გამოყენების სირთულე, განსაკუთრებულად ფონური ხმაურის შემთხვევაში. სწავლის პროცესი დაკავშირებულია სტრესსა და დაღლა-გამოფიტვასთან სმენის დაძაბვის გამო; საგანმანათლებლო გარემოში საჭიროებს შესაბამის/სპეციალურ განთავსებას და კარგ განათებას. მეტწილად საჭიროა მეტყველების თერაპია და მიზანმიმართული მუშაობა ლექსიკური მარაგის განვითარებაზე. |
| 41-55 დბ<br>საშუალო | მეტყველების და ენის გართულებული გაგება; ამპლიფიკაციების (სმენის გამაძლიერებელი საშუალების) ადრეული ასაკიდან (მაგ., 6 თვისთვის) და რეგულარული გამოყენება დაეხმარება ენისა და მეტყველების ნორმასთან მიახლოებულად ათვისებაში; ამპლიფიკაციის გარეშე გაიგებს წინადადების მნიშვნელობას 3-5 ნაბიჯის დაშორებიდან, თუ წინადადების სტრუქტურა ნაცნობია; 40 დბ-ის შემთხვევაში სამეტყველო სიგნალების 50%-ს გამოტოვების, ხოლო 50 და მეტი დბ-ის შეთხვევაში - არის 80 %-ის გამოტოვების შესაძლებლობა. |

| | |
|---|---|
| | დიდი ვარაუდით, გამოტოვებს ჯგუფური დისკუსიის 50-%-ს, თუ საუბარი არცთუ ისე ხმამაღლაა და ან ვიზუალური ველის მიღმაა. ადრეული ამპლიფიკაციის გარეშე ექნება შეზღუდული ლექსიკური მარაგი, დარღვეული სინტაქსი, ხმის ხარისხი და მეტყველების პროდუცირება; შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური სოციალური გავლენა, განაპირობოს დაბალი თვითშეფასება. გაუჭირდება ურთიერთობის დამყარება ხმაურიან გარემოში და ძალიან გაუჭირდება კომუნიკაცია სმენის აპარატის გარეშე; განაპირობებს იოლ დაღლასა და გამოფიტვას სასწავლო სიტუაციაში; დასჭირდება სმენის გამაძლიერებელი მოწყობილობა, მეტყველების თერაპია, მიზანმიმართული მუშაობა სპეციალური განთავსება, განათება, ლექსიკურ მარაგსა და კითხვის უნარზე. |
| 56-70 დბ<br>საშუალო სიმძიმის-<br>ძლიერი | ენისა და მეტყველების გაგებაზე საკმაოდ ნეგატიური გავლენა. ამპლიფიკაციის გამოყენების პერიოდი, გამოყენების რეგულარობა და ადრეული ინტერვენციის გავლა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ბავშვის ენის განვითარებასა და სწავლის შესაძლებლობაზე. ჯგუფურ დისკუსიებში/სიტუაციებში მონაწილეობის განსაკუთრებული სირთულე, საკმაოდ შეზღუდული ლექსიკური მარაგი, ენის გაგება-გამოყენების და მეტყველების პროდუცირების სირთულე. მეტი ვარაუდით, ნეგატიური გავლენა ბავშვის სოციალურ ფუნქციონირებაზე, თანატოლებთან კომუნიკაციის დამყარებაზე, განსაკუთრებით ხმაურიან გარემოში. შესაძლოა განაპირობოს დაბალი თვითშეფასება და უარყოფის განცდა. დასჭირდება მეტყველების თერაპია, სასმენი და ხმის გამაძლიერებელი სხვა საშუალებები, ენობრივი უნარების განვითარებისთვის სპეციფიკური ხელშეწყობა და მიზანმიმართული მუშაობა, ხმოვან და ვიზუალურ სტიმულებზე ყურადღების მიქცევის სწავლება; ჟეესტური ენის დამატებითმა გამოყენებამ შეიძლება სარგებელი მოუტანოს ენის გაგება-გამოყენების კუთხით. სასწავლო სიტუაციაში სარგებლის მომტანი იქნება პერსონალური FM სისტემის გამოყენება. |
| 71-90 დბ<br>მძიმე/ძლიერი | შესაძლოა გაიგოს საკმაოდ მაღალი ხმა (ყვირილი) ყურიდან 1 ნაბიჯის დაშორებით და ასევე მოახდინოს გარემოში ისეთი ხმების იდენტიფიკაცია, როგორიცაა მაგ., მტვერსასრუტის ხმა. ფაქტობრივად, ვერ გაიგებს მეტყველებას, თუმცა შესაძლოა მოახდინოს ზოგიერთი ხმოვნის დისკრიმინაცია, მაგრამ არა თანხმოვნების. თუ სმენის დაკარგვის პერიოდი 1 წლამდეა, მაშინ ვერ მოხდება ენის სპონტანურად განვითარება. დასჭირდება ხმის გამაძლიერებელი საშუალებები, სპეციალური თერაპია და საგანმანათლებლო ხელშეწყობა, ინტენსიური პროგრამა და მუშაობა ენის და ცნებების ფორმირებისთვის, ჟესტური |

| | |
|---|---|
| | ენა და სხვა ალტერნატიული ხელშეწყობები (მაგ., ბაგეებიდან კითხვის სწავლება დამატებით). აუდიოარხით ვერ შეძლებს ინფორმაციის მიღებას. |
| 91 < დბ სრული დაქვეითება- სიყრუე | მეტწილად ვერ გაიგებს თუნდაც გაძლიერებულ ხმას, თუმცა შესაძლოა გაიგოს ისეთი ხმა, როგორიცაა ავტომობილის სიგნალი საკმაოდ ახლო მანძილიდან; რეაგირება ძირითადად ხდება ვიბრაციაზე და არა ხმოვან სტიმულებზე/ტონალურ პატერნებზე. კომუნიკაცია ძირითადად მხედველობას, ვიზუალურ არხს დაეფუძნება და არა სმენას. ასეთ შემთხვევაში ჟესტური ენა ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება იქნება. მეტყველება არ იქნება განვითარებული სპონტანურად, თუ სმენის დაზიანება 1 წლამდე მოხდა. დასჭირდება სპეციალური მხარდაჭერა განვითარებისა და სწავლის პროცესში. |
| ცალმხრივი დარღვევა/ დაქვეითება | შესაძლო ნეგატიური გავლენა ენისა და მეტყველების გაგებაზე. ბავშვს „ესმის“, მაგრამ აქვს გარკვეული მანძილიდან და ან შედარებით დაბალ ხმაზე წარმოებული მეტყველების გაგების სირთულე. შესაძლოა გაუჭირდეს ხმის წყაროს ლოკალიზაცია მხოლოდ სმენაზე დაყრდნობით. გაუჭირდება ხმაურიან გარემოში; ექნება დისკუსიების მიდევნების, მათში მონაწილეობის სირთულე, განსაკუთრებით სმენის დარღვევის მქონე ყურის მიმართულებიდან. შესაძლოა ნეგატიურად აისახოს სოციალურ ურთიერთობებზე, სწავლის პროცესზე, აკადემიურ მიღწევებზე. ბავშვი შესაძლოა დადანაშაულდეს შერჩევით მოსმენაში, უყურადღებობაში; შესაძლოა არასწორად გაიგოს თანატოლებში მიმდინარე საუბარი, თავი იგრძნოს გარიყულად. ახასიათებს იოლი დაღლა სასწავლო პროცესში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფრუსტრაციას, ქცევით პრობლემებს. |

სმენის დარღვევის გავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია არა მარტო სმენის დარღვევის ხარისხი, არამედ სხვა მრავალი ფაქტორი და ფაქტორთა კომბინაცია, როგორიცაა:

- სმენის დაზიანების პერიოდი;
- სმენის დაზიანების იდენტიფიკაციის პერიოდი;
- სასმენი აპარატების, ხმის გამაძლიერებელი საშუალებების ხარისხი, მათი გამოყენების დაწყების პერიოდი და რეგულარობა;
- მშობლების სმენის სტატუსი;
- ოჯახში გამოყენებული ენა და კომუნიკაციისა და ენის მისაწვდომობა ადრეული ასაკიდან;
- მიღებული დახმარების, აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროცედურების დროულობა, ინტენსივობა და ხარისხი;

- მშობლების დამოკიდებულება ბავშვის მიმართ და ჩართულობა ბავშვის მხარდაჭერის პროცესში;
- ბავშვის თანდაყოლილი მახასიათებლები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა – დამატებითი გართულებების შესაძლო თანაარსებობა;

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით განვითარებისა და განათლების პროცესში სმენის დარღვევის მქონე ბავშვები განსხვავებული მიდგომებისა და მხარდაჭერის ამოქმედებას მოითხოვენ.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები, ძირითადად გარშემომყოფებსა და ბავშვს შორის საზიარო ენის არქონით, ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების და ბავშვის მიერ ლინგვისტური ინფორმაციის სრულყოფილად აღქმისა და დამუშავების შეზღუდვით არის განპირობებული. მეორე მხრივ, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს აქვთ ისეთივე მოთხოვნილება, გაიგონ სხვისი ნათქვამი და თავად გააგებინონ სხვებს, განვითარდნენ ენობრივი, სოციალური და კოგნიტური თვალსაზრისით, როგორც სმენის მქონე მათ თანატოლებს.




სმენის დარღვევის მქონე ბავშვები ენის ათვისებისა და ფლობის მხრივ საკმაოდ მრავალფეროვან პოპულაციას წარმოადგენენ. სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში ენაზე ადრეული ასაკიდან მისაწვდომობის კუთხით საკმაოდ ფართო ვარიაცია იქმნება, - მათ შეიძლება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული საჭიროებები და შესაძლებლობები გააჩნდეთ.

<u>კონტინიუმის ერთ მხარეს</u> შეიძლება იყვნენ ბავშვები, რომლებიც სმენის მქონე დანარჩენი თანატოლების მსგავსად ადრეული ასაკიდან ამყარებენ ეფექტიან კომუნიკაციას გარშემომყოფებთან ზეპირი მეტყველებით თუ ჟესტური ენის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში ენა ხელს უწყობს ბავშვების სოციალიზაციას სხვებთან კომუნიკაციისა და ინტერაქციის საშუალებით და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბავშვის ენობრივი უნარების შემდგომი განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, იყენებს ბავშვი

ზეპირ მეტყველებას თუ ჟესტურ ენას ადრეული ასაკიდანვე, ის შეძლებს ენის ასაკობრივად ათვისებას სკოლაში შესვლის პერიოდისთვის და თუ სასწავლო პროცესში გამოყენებული ენაც მისაწვდომი იქნება მისთვის, მაშინ მას სმენის მქონე თანატოლების მსგავსად, აკადემიური წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა მიეცემა.

<u>კონტინიუმის მეორე მხარეს</u> არიან ბავშვები, რომელთაც ადრეულ ასაკში არ ესმოდათ ან არ შეეძლოთ მათ ოჯახებში და უახლოეს გარემოში გამოყენებული ზეპირი მეტყველების გაგება/დამუშავება და ამასთანავე, არც ჟესტურ ენაზე ჰქონდათ წვდომა. ასეთ შემთხვევაში, ბავშვების სოციალიზაცია, გარშემომყოფებთან კომუნიკაცია და ინტერაქცია შეზღუდული იქნება და, შესაბამისად, შეზღუდული იქნება ბავშვების მიერ ენობრივი უნარების სათანადოდ განვითარებაც. რაც ყველაზე კრიტიკულია, აღნიშნულ გარემოებაში მყოფი ბავშვები შევლენ სკოლაში ასაკობრივად განვითარებული ენობრივი საფუძვლის/კომპეტენციების გარეშე და, აქედან გამომდინარე, არ ექნებათ სრული წვდომა სასწავლო პროგრამასა და სასწავლო პროცესზე. აღნიშნული მდგომარეობა რისკის ქვეშ აყენებს ბავშვების აკადემიურ მიღწევებს. ამ ჯგუფის ბავშვები პირველი ენის დაგვიანებულ „მსწავლელებს“ (late first language learners) წარმოადგენენ და მიუხედავად იმისა, იქნება სკოლაში გამოყენებული ზეპირი მეტყველება თუ ჟესტური ენა, მათთვის არც ერთი მათგანი არ იქნება გასაგები. შესაბამისად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ამ ჯგუფს, კურიკულუმის სწავლამდე აუცილებლად უნდა მიეცეთ ენის ათვისების შესაძლებლობა ნებისმიერი იმ ფორმით, რომელიც მათთვის ყველაზე მისაწვდომი იქნება.

ამრიგად, გასათვალისწინებელია ის მრავალფეროვნება, რომელიც ენობრივი მზაობის მხრივ გვხვდება სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში:

1) ზეპირ მეტყველებაზე (ხმოვან ენაზე) ნაწილობრივი წვდომა (ბავშვის სმენითი შესაძლებლობებიდან გამომდინარე დაქვეითებული სმენის ან კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვის შემთხვევაში);
2) ერთდროული, მაგრამ შესაძლოა ნაწილობრივი წვდომა ჟესტურ ენასა და ზეპირ მეტყველებაზე (ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჟესტური ენის გამოცდილება და ასევე იღებენ გარკვეულ აუდიტორულ სარგებელს სასმენი აპარატების ან კოხლეარული იმპლანტისგან);
3) ადრეული ასაკიდან ჟესტურ ენაზე სრული წვდომა (ყველაზე მცირე, დაახლოებით სმენის დარღვევის მქონე ბავშვების 10%-ში);
4) შეზღუდული ან არანაირი წვდომა არც ერთ ენაზე (არც ჟესტურზე და არც ზეპირ მეტყველებაზე).

როგორც ვხედავთ, სმენის დარღვევის მიზეზით განვითარებისა და განათლების პროცესში ბავშვი შეიძლება მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებოდეს.

ქვემოთ წარმოდგენილი სცენარები ასახავს, რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვების განვითარების მიმდინარეობა და მზაობა სკოლამდელი განათლებისთვის:

| **შემთხვევა 1** | **შემთხვევა 2** | **შემთხვევა 3** |
|---|---|---|
| 3 თვის ასაკში დაუდგინდა სმენის დარღვევა - 50 დბ ორივე ყურში. ამ მომენტიდან დაიწყო სასმენი აპარატების რეგულარული გამოყენება. ადრეული ინტერვენციის სპეციალისტების და მშობლების ხელშეწყობით ბავშვის ენის განვითარება სმენის მქონე თავისი თანატოლების მსგავსად მიმდინარეობდა. ბავშვი საკმაოდ თავდაჯერებულად ამყარებდა კომუნიკაციას ოჯახის წევრებთან და 3 წლიდან საბავშვო ბაღში დაიწყო სიარული. | 3 თვის ასაკში დაუდგინდა სმენის დარღვევა - 35 დბ ორივე ყურში. სასმენი აპარატების გამოყენება 1 წლის შემდეგ მოხდა, თუმცა არარეგულარულად. 18 თვისთვის ის არ საუბრობდა და აღმოჩნდა, რომ მისი სმენის დარღვევა გაზრდილი იყო 70 დბ-მდე. 3 წლის ასაკისთვის ბავშვი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თანატოლებს ენის განვითარების კუთხით. საბავშვო ბაღში დასჭირდება გაძლიერებული მხარდაჭერა და ინტენსიური მუშაობა ენობრივი უნარების განვითარების მიმართულებით. | 3 თვის ასაკში დაუდგინდა სმენის დარღვევა - 85 დბ ორივე ყურში. ამის შემდეგ მან რეგულარულად დაიწყო სასმენი აპარატების გამოყენება. მშობლები მასთან კომუნიკაციისას ძირითადად ჟესტურ ენას იყენებდნენ. 3 წლის ასაკისთვის ბავშვის ენობრივი განვითარება მიახლოებული იყო სმენის მქონე თავისი თანატოლების ენობრივ უნარებთან. მხოლოდ გარკვეული სირთულეები ჰქონდა ექსპრესიულ ენასთან დაკავშირებით. 3 წლისთვის მზად იყო საბავშვო ბაღისთვის, თუმცა საჭიროებდა, რომ ბაღში ჟესტურენოვანი გარემო დახვედროდა. სამომავლოდ, სკოლაში შეძლებს ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარების გამოყენებას და ასაკობრივი სასწავლო პროგრამით სწავლას. |

## II ნაწილი

## სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა ჩართვა სასკოლო მზაობის პროგრამასა და საგანმანათლებლო პროცესში

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ისევე მისაწვდომი უნდა იყოს სასკოლო მზაობის პროგრამა, როგორც სმენის მქონე მათი თანატოლებისთვის.

სასკოლო მზაობის პროგრამა ითვალისწინებს ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სფეროების, მიმართულებებისა და თემების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელიც ასევე აქტუალურია სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან მიმართებით. თუმცა, ასაკობრივი პროგრამის ფარგლებში სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის შესაძლოა აუცილებელი გახდეს გარკვეული ადაპტაცია. მაგალითად, სასკოლო მზაობის პროგრამის თითქმის ყველა თემის ფარგლებში განსაზღვრულია მუსიკალური მედიის გამოყენება, რომელიც დიდწილად მოსმენაზეა ორიენტირებული. ეს შესაძლოა მორგებული და გამოყენებული იყოს დაქვეითებული სმენის და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების სმენითი აღქმის გასავითარებლად, ხოლო ყრუ ბავშვების შემთხვევაში (რომელთათვისაც ხმოვანი ინფორმაცია მისაწვდომი არ არის), შეიძლება მოხდეს მედიის ჩანაცვლება ცეკვით, რიტმული მოძრაობებით ან/და ჟესტური სიმღერით. იქ, სადაც ბავშვებმა გარკვეული თემის ფარგლებში საკუთარი სიმღერა უნდა შექმნან, ყრუ ბავშვებმა შეიძლება ცეკვა ან ჟესტური „სიმღერა“ შექმნან. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ადაპტირებულ აქტივობებში ჩართული იყოს არა მხოლოდ სმენის დარღვევის მქონე, არამედ ყველა ბავშვი.

გარდა ამისა, სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ინტეგრირდეს ის მიმართულებები და საკითხები, რომლებიც სპეციფიკური და განსაკუთრებულად აქტუალურია სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან მიმართებით. მაგალითად, სასმენი აპარატის გამოყენება და მისი მოვლა, ყურზე უსაფრთხოდ ზრუნვა და სხვა შეიძლება ჯანმრთელობასა და თვითმოვლასთან დაკავშირებული თემებისა და აქტივობების შემადგენელი ნაწილი გახდეს. სასკოლო მზაობის პროგრამის ისეთი თემა, როგორიცაა „ყველაფერი ჩემს შესახებ“ (იგი სასწავლო წლის პირველ თემას წარმოადგენს და 2 კვირა გრძელდება) შეიძლება გამოყენებული იყოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვების და სმენის დარღვევასთან დაკავშირებული საჭიროებების/თავისებურებების, სმენის დარღვევის მქონე და ტიპური სმენის მქონე ადამიანებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავების გასაცნობად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვების პოზიტიური თვითიდენტობის და ბავშვებს შორის სამომავლო ეფექტიანი კომუნიკაციისა და ინტერაქციის ხელშესაწყობად.

მთავარია გვახსოვდეს, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს განვითარების ისეთივე პოტენციალი გააჩნიათ, როგორიც სმენის მქონე თანატოლებს და სწორი მხარადაჭერის შემთხვევაში, საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზების პირობა ექმნებათ. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლა-სწავლების უმეტესი ნაწილი სმენაზეა დაფუძნებული, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის აუცილებელია გაფართოებული მხარდაჭერის, მათ საჭიროებებზე მორგებული მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების ამოქმედება, რომელთა მეშვეობითაც სასწავლო პროგრამა, აქტივობები და მრავალფეროვანი ასაკობრივი სიტუაციები მაქსიმალურად მისაწვდომი გახდება მათთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია მიდგომები, მეთოდები და სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სასკოლო მზაობის პროგრამასა და ასაკობრივ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა.

## სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ხელშემწყობი სტრატეგიები და აქტივობები

### წინმსწრები მომზადება

როგორც აღინიშნა, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს შედარებით მწირი ლექსიკური მარაგი აქვთ, რაც მიმართული საუბრის გაანალიზებისა და სიტყვების მნიშვნელობის გაგების პროცესს შედარებით ანელებს და მისგან დიდ ფსიქიკურ ძალისხმევას მოითხოვს; შედეგად, ბავშვი შეიძლება ადვილად გადაიღალოს და მიმდინარე პროცესიდან გამოითიშოს. აღნიშნული გარემოებები განსაკუთრებულად მძაფრდება შედარებით დიდ ჯგუფურ და ხმაურიან სიტუაციებში.

მეორე მხრივ, თუ ბავშვისთვის აქტივობის თემა და სიტყვათა გარკვეული ნაწილი წინასწარ ნაცნობია, მას ნაკლები დაძაბვა სჭირდება და მიუხედავად იმისა, რომ ყველა სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება არც კი ესმოდეს, მისთვის გასაგები ხდება მთლიანი კონტექსტი და აქტივობის ძირითადი ხაზი.

წინმსწრები მომზადება, რომელიც რაიმე აქტივობისთვის, პროცესისთვის ბავშვის წინასწარ მომზადებას გულისხმობს, ეხმარება ბავშვს როგორც თანატოლებთან ერთად მიმდინარე აქტივობაში/სასწავლო პროცესში ჩართვაში, ასევე, ავითარებს მის ლექსიკურ მარაგს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგსა და გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტებს (როგორიცაა, მაგ.: სპეციალური პედაგოგი, ჟესტური ენის პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი) შორის მჭიდრო თანამშრომლობა სასკოლო მზაობის პროგრამის თემატური აქტივობების გარშემო. გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტებმა წინასწარ უნდა იცოდნენ კვირის აქტივობები/თემები, რომ შედარებით მცირე ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ ვითარებაში მოამზადონ სმენის დარღვევის მქონე ბავშვები დაგეგმილი თემისთვის და გაუმდიდრონ მასთან დაკავშირებული ლექსიკური მარაგი.

ილუსტრაცია #1 და ილუსტრაცია #2 წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სასკოლო მზაობის პროგრამის აქტივობათა კრებულში წარმოდგენილი აქტივობის მოდიფიცირება სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის და წინმსწრებად მომზადება ძირითადი ჯგუფის აქტივობისთვის.

ილუსტრაცია #1

<table>
<tr><td colspan="2">აქტივობა სასკოლო მზაობის პროგრამიდან (ორიგინალი)<br>საუბარი თემაზე: ახალი წლის ტრადიციები საქართველოში - გავესაუბროთ ბავშვებს ახალი წლის შესახებ; ვკითხოთ: რა არის ახალი წელი? როდის მოდის? სულ რამდენი თვეა წელიწადში? რა გვახსოვს ახალი წლის აღნიშვნის შესახებ? როგორ აღვნიშნეთ შარშან? ვინ მოდის ბავშვებთან საქართველოში ახალ წელს? რა აცვია? რა მოგვიტანა შარშან თოვლის პაპამ/ბაბუამ? წელს რა გვინდა, რომ მოგვიტანოს? რას ვამზადებთ საახალწლო სუფრისთვის? რა არის ჩიჩილაკი? ჩამოვატაროთ ჩიჩილაკი წრეში, რათა ბავშვებმა კარგად დაათვალიერონ. მერე მოვუყვეთ, როგორ მზადდება იგი.</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობის მოდიფიცირებული მაგალითი წინმსწრები მომზადებისთვის</td></tr>
<tr><td>მომზადება თემისთვის</td><td>გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტები სხვადასხვა ვიზუალურ მასალის დახმარებით (ვიდეორგოლები, ილუსტრაციები, ფოტოები ბავშვების პირადი ფოტოალბომებიდან), შედარებით მცირე ჯგუფურ ვითარებაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან განიხილავენ ახალ წელს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, არკვევენ, რა იციან ბავშვებმა ახალი წლის შესახებ და სიტყვათა რა მარაგს ფლობენ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. სპეციალისტებს წინასწარ მომზადებული აქვთ ის სიტყვები, რომელთა გამოყენებაც იგეგმება სასკოლო მზაობის ჯგუფში აღნიშნული თემის ფარგლებში. მაგალითად, სპეციალისტები განიხილავენ ბავშვებთან, თუ რას ნიშნავს, სიტყვა „შარშან“, „წელიწადი“, „სუფრა“ და ა.შ. ახსნის პროცესში სპეციალისტები იყენებენ დამხმარე ვიზუალურ მასალას, ხდება სიტყვის ფონოლოგიური გაანალიზება (რა ასოზე იწყება, რა სიტყვას ჰგავს ჟღერადობით, ბავშვები აკეთებენ აპლიკაციებს, ხატავენ დასწავლილ სიტყვას და სხვ.) მნიშვნელოვანია, რომ ყველა იმ სიტყვის მნიშვნელობა, რომელთა განმარტება და ახსნაც იგეგმება ძირითად ჯგუფში, არ იყოს წინასწარ ახსნილი, რათა სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის ჯგუფში ყოფნა და ერთობლივ აქტივობებში ჩართვა საინტერესო და შემეცნებითი ფუნქციის მატარებელი იყოს. რომელი სიტყვების ახსნა მოხდება წინასწარ, დამოკიდებულია თავად სიტყვების სირთულეზე. მაგალითად, რეკომენდებულია, რომ სიტყვა „ტრადიციის“ მნიშვნელობას ბავშვები წინასწარ გაეცნონ, ხოლო „ჩიჩილაკს“, რომლის დემონსტრირებაც და სიტყვის მნიშვნელობის არსის გაგებაც შედარებით მარტივია, სმენის მქონე თანატოლებთან ერთად ძირითად ჯგუფში.<br>ამასთანავე, ბავშვები სწავლობენ ახალ წელთან დაკავშირებულ ფრაზებს და/ან მცირე ზომის ლექსებს. ნარჩენი სმენის მქონე ბავშვები, რომელთაც მეტყველება შეუძლიათ, ლექსს ზეპირ მეტყველებაზე დაფუძნებით სწავლობენ, ხოლო ყრუ ბავშვები - ჟესტურ ენაზე.</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობა სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის</td></tr>
<tr><td colspan="2">აღმზრდელი განიხილავს ჯგუფში ახალი წლის ტრადიციებს; სმენის დარღვევის მქონე ბავშვი ზის</td></tr>
</table>

| |
|---|
| აღმზრდელთან ახლოს და თან მთელ ჯგუფს ხედავს. აღმზრდელი იყენებს დამატებით ვიზუალურ მასალას სიტყვების ახსნისთვის; ახალი სიტყვის მიწოდების შემთხვევაში ის რწმუნდება, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვმაც გაიგო სიტყვის მნიშვნელობა. სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს მათ მიერ ახალ წელზე ნასწავლი ფრაზების და ან ლექსის წარმოჩენის შესაძლებლობა ეძლევათ. თუ ფრაზები და ლექსი ჟესტურ ენაზეა, აღმზრდელი ახმოვანებს მას და დანარჩენი ბავშვებიც იმეორებენ მათთან ერთად ჟესტურად და სიტყვიერად. |

ილუსტრაცია #2

| | |
|---|---|
| აქტივობა სასკოლო მზაობის პროგრამიდან (ორიგინალი)<br>**საუბარი ჩინეთზე** - ამ საუბრისთვის აუცილებელია კარგად მოვემზადოთ. უნდა ვუთხრათ ბავშვებს, რომ ჩინეთი არის ძალიან დიდი, საქართველოზე გაცილებით დიდი ქვეყანა, სადაც ცხოვრობს ძალიან ბევრი ადამიანი. ესენი არიან ჩინელები - ძალიან შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი. ჩინელები განსხვავდებიან ჩვენგან კანის ფერით, თვალების ფორმით. ისინი საუბრობენ ჩინურად, წერენ იეროგლიფებით და არა ასოებით, როგორც ჩვენ. მოვუყვეთ ჩინეთის დიდი კედლის შესახებ, ვუჩვენოთ სურათები. კითხვის (ზღაპრის) დროს წიგნის წაკითხვის ნაცვლად მოვუყვეთ ჩინური ლეგენდები ახალი წლის შესახებ. | |
| **აქტივობის მოდიფიცირებული მაგალითი წინმსწრები მომზადებისთვის** | |
| მომზადება თემისთვის | გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტები დამხმარე ვიზუალური მასალის, მათ შორის რუკის გამოყენებით ყრუ ბავშვებთან ჟესტურ ენაზე განიხილავენ, თუ რა არის ქვეყანა, რამდენი ქვეყანა არსებობს, როგორ არის ქვეყანა ჟესტურ ენაზე და როგორ გამოისახება იგი დაქტილით; რომელი ქვეყნები არსებობს დედამიწაზე (მოჰყავთ რამდენიმე მაგალითი, ჩინეთი, ამერიკა, გერმანია და ა.შ.). სპეციალისტები აღნიშნავენ რომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული დამწერლობა და ენაა, აჩვენებენ ბავშვებს სხვადასხვა ქვეყნის დამწერლობას (მაგ.: ბავშვებისთვის ნაცნობი რაიმე ობიქტის სურათი და მისი აღმნიშვნელი სიტყვა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულზეა წარმოდგენილი); ბავშვები იმავე სიტყვას გამოსახავენ დაქტილითაც. აღნიშნული თემის ფარგლებში ბავშვები იგებენ, რომ ჟესტურიც ისეთივე ენაა, როგორც სხვა ენები იმ განსხვავებით, რომ სხვა ენები ყურით ესმით და ჟესტურს თვალით ხედავენ. სპეციალისტები ასევე აწვდიან ბავშვებს ინფორმაციას, რომ ყველა ქვეყანას თავისი ჟესტური ენა აქვს მაგ., არსებობს ჩინური ჟესტური ენა, გერმანული ჟესტური ენა და ა.შ. |
| **აქტივობა სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის** | |
| | ყრუ ბავშვი მონაწილეობს ჯგუფურ დისკუსიაში, ახალ ინფორმაციას იგი იღებს ჟესტური ენის პედაგოგის/თარჯიმნის მეშვეობით. აღმზრდელი და ჟესტური ენის პედაგოგი/თარჯიმანი შეთანხმებულად მოქმედებენ, ბავშვს ეძლევა საკმარისი დრო ინფორმაციის სრულად მისაღებად. |

| | |
|---|---|
| | ახსნის დროს აღმზრდელი იყენებს თვალსაჩინო მასალას. ახალ სიტყვებს ჟესტური ენის თარჯიმანი აწვდის ბავშვს როგორც ჟესტებით, ასევე დაქტილით. ჯგუფის წევრები იმეორებენ ახალ სიტყვებს ხმამაღლა და ჟესტებით. ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარებით ყრუ ბავშვი მონაწილეობს ბავშვების დისკუსიაში, იგი უზიარებს მათ გამოცდილებას და იღებს ინფორმაციას სხვა ბავშვების გამოცდილების შესახებ. |

## გამოცდილების ფოტოდღიურები

ყოველდღიური გამოცდილების ფოტოებზე აღბეჭდვა და ფოტოდღიურების წარმოება ეხმარება სმენის დარღვევის მქონე ბავშვს:

- ცნებების სწავლაში, ახალი ლექსიკის გამეორება-აღდგენაში
- დღის აქტივობების და მათთან დაკავშირებული ენის, ლექსიკის აღდგენაში
- საგანმანათლებლო გარემოში მიმდინარე აქტივობების, თემების, ახალი ლექსიკის და ბავშვის ჩართულობის შესახებ მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში
- მშობლების მიერ აღბეჭდილი ფოტოების საშუალებით საგანმანათლებლო გარემოში პირადი გამოცდილების გაზიარებაში
- კომუნიკაციის დამყარებასა და ენის გამოყენებაში, თხრობის, გადმოცემის უნარის განვითარებაში

## ვიზუალური საყრდენები

ვიზუალური საყრდენები უზრუნველყოფს, რომ ინფორმაციის მიღების პროცესში სმენის დარღვევის მქონე ბავშვი მხოლოდ სმენაზე არ იყოს დამოკიდებული, რომელიც მის ე.წ. სუსტ მხარეს წარმოადგენს. ვიზუალური საყრდენების გამოყენება მნიშვნელოვანია ახალი ცნებების გასათვალსაჩინოებლად და ახალი თემისთვის შესაბამისი კონტექსტის შესაქმნელად.

ამასთანავე, ვიზუალური საყრდენები ხელს უწყობს სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს ვიზუალური მეხსიერების გამოყენებაში, რაც ხშირ შემთხვევაში მათ აუდიომეხსიერებაზე უკეთესად აქვთ განვითარებული და, შესაბამისად, ბავშვს ინფორმაციის დამახსოვრებაში ეხმარება.

ვიზუალური საყრდენები ასევე უთვალსაჩინოებს სმენის დარღვევის მქონე ბავშვს გარემოს ისეთ საკითხებს და ასპექტებს, რომლებიც სხვა სახით ნაკლებად მისაწვდომია მისთვის (მაგ., ქცევის წესები).

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ხელშესაწყობად შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი ვიზუალური საყრდენები:

- სურათები, ილუსტრაციები და რეალური საგნები, რომლებიც ნათქვამ სიტყვებს, ცნებებს ათვალსაჩინოებს
- ზეპირი ინსტრუქციების შესაბამისი ვიზუალური საყრდენები
- მოვლენების თანმიმდევრობის ან აქტივობის საფეხურების ამსახველი ვიზუალები
- წესების ამსახველი ვიზუალები
- რუტინის ამსახველი ფოტოები ან სურათები და სხვა...

## რუტინა და განმეორებითობა

განმეორებითობა (გარკვეული აქტივობების, თემების) და მოქმედებათა რუტინულობა ხელს უწყობს სმენის დარღვევის მქონე ბავშვს:

- განჭვრიტოს და მოემზადოს შემდგომი მოქმედებისთვის, როდესაც სხვა ტიპის მინიშნებების გაგება უჭირს;
- გაივარჯიშოს ენა, ივარჯიშოს ერთი და იმავე სიტყვების, ფრაზების გამოყენებაში ერთსა და იმავე კონტექსტში და შემდეგ უკვე მის მიღმა;
- განჭვრიტოს მოქმედებები და იყოს უფრო მეტად დამოუკიდებელი დღის მანძილზე;
- უფრო ეფექტურად ჩაერთოს თამაშებში, აქტივობებსა და სიტუაციებში, რომელთა წესების გაგებაც შესაძლოა რთული იყოს მისთვის;
- დაიმახსოვროს სხვადასხვა ინფორმაცია (მაგ., წიგნის სიუჟეტი).

## დამხმარე ტექნოლოგია

გამომდინარე იქიდან, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვები სწავლისა და განვითარების პროცესში განსაკუთრებულად ვიზუალურ არხს ეფუძნებიან, მნიშვნელოვანია თემატური ვიდეომასალის, ინტერაქტიური თეთრი დაფის, DVD-ზე ჩაწერილი ანიმაციების და სხვადასხვა ტელეგადაცემის ჩანაწერების გამოყენება, რაც სასურველ მომენტში მათი გაჩერების და გამეორების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთანავე, საგანმანათლებლო გარემოში მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც აღმზრდელებსა და სპეციალისტებს სასურველი თემატური ვიზუალური მასალის (სურათები და ილუსტრაციები, ვიზუალური რუტინა, ბავშვების ფოტოდღიურები, ჟესტურ ენაზე ჩაწერილი ამბები და სხვა) მომზადების შესაძლებლობას მისცემს. ამრიგად, რეკომენდებულია შემდეგი ტექნიკური მოწყობილობები:

- პრინტერი (სასურველია შავ-თეთრიც და ფერადიც)
- სკანერი
- კომპიუტერი

- ლამინირების აპარატი
- პროექტორი, პროექტორის გასაშვები ეკრანი
- უკაბელო ინტერნეტი
- ფოტოაპარატი
- ფოტოების საბეჭდი აპარატურა
- ვიდეოკამერა
- ინტერაქტიური თეთრი დაფა

## სათამაშოები და საგანმანათლებლო რესურსი

მრავალფეროვან ასაკობრივ მასალასთან ერთად სმენის დარღვევის მქონე ბავშვს დამატებით შესაძლოა სპეციფიკური მასალა დასჭირდეს (მაგ.: წიგნი დაქტილით ან/და ჟესტებით, კონკრეტული აქტივობის ამსახველი ილუსტრაცია, სათამაშო, რომელსაც არა აქვს ხმა, მაგრამ აქვს ვიბრაცია, სხვადასხვა ხმის/ჟღერადობის მქონე ინსტრუმენტები/სათამაშოები და სხვა).

ზოგადად, რეკომენდებულია მაქსიმალურად მრავალფეროვანი ვიზუალური და მულტისენსორული მასალა. ასევე, მნიშვნელოვანია ისეთი განმავითარებელი რესურსის და თამაშების გამოყენება, რომლებიც განსაკუთრებულად უწყობს ხელს ლექსიკური მარაგის, ვიზუალური მეხსიერების, ვიზუალური ყურადღების და კომუნიკაციური უნარების გაძლიერება-განვითარებას (მაგ.: სამაგიდე თამაშები, ლოტოები, ბარათები კატეგორიებით, მეხსიერების ბარათები, მრავალფეროვანი ილუსტრირებული წიგნები  და სხვა).

## ეზოს თამაშები/აქტივობები

ეზოში მიმდინარე აქტივობებთან მიმართებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვს კიდევ უფრო უჭირს შედარებით გაშლილ და ხმაურიან გარემოში სმენის გამოყენება. შესაბამისად, აუცილებელია ბავშვის წინასწარ მომზადება იმ აქტივობისთვის, თამაშის წესებისთვის და ა.შ. რაც შენობის გარეთ, ეზოს გარემოში უნდა განხორციელდეს.

ამასთანავე, მიზანშეწონილია ვიზუალური მიმანიშნებლების გამოყენებაც (მაგ., სტაფილოსფერი ალამი),  რომლებიც გარკვეული ინფორმაციის მატარებელი იქნება ბავშვისთვის (მაგ., შეკრება და შენობაში დაბრუნება) და რომლის დანახვასაც სმენის დარღვევის მქონე ბავშვი დისტანციიდან შეძლებს.

## დამატებითი ადამიანური მხარდაჭერა

ასაკობრივ ჯგუფებში მიმდინარე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის/აქტივობების დროს სმენის დარღვევის მქონე ბავშვები დიდ სარგებელს მიიღებენ ისეთი

ადამიანური მხარდაჭერისგან, როგორიცაა ჟესტური ენის თარჯიმანი, ასისტენტი, სპეციალური პედაგოგი, რაც ბავშვს სხვებთან კომუნიკაციაში, ინფორმაციის მიღებასა და საერთოთ აქტივობებში ჩართვაში დაეხმარება. გაწეული დახმარება შეიძლება მოიცავდეს ინდივიდუალიზებულ ინსტრუქციებს, მოდელირებას, თარგმანს, საჭიროების შემთხვევაში ფიზიკურ დახმარებას, ხელშეწყობას ქცევის მართვაში, სასკოლო მზაობის პროგრამის აქტივობების მორგებას და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ სმენის დარღვევის მქონე გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები ასაკობრივ ჯგუფებში დაგეგმილი თემისა და აქტივობების შესახებ.

## ხელშემწყობი ფსიქოსოციალური გარემო

სმენის დარღვევის მქონე ბავშვის საგანმანათლებლო პროცესსა და ასაკობრივ აქტივობებში ეფექტური ჩართვისთვის მნიშვნელოვანია ხელშემწყობი ფსიქოსოციალური გარემოს შექმნა და საგანმანათლებლო გარემოში ინკლუზიური კულტურის ჩამოყალიბება.

დაწესებულებაში შექმნილი ფსიქოსოციალური გარემო უნდა ეხმიანებოდეს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ ემოციურ, კომუნიკაციურ და სოციალურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. სმენის დარღვევის მქონე თითოეული ბავშვი ემოციურად უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს თავს და თანატოლებსა და უფროსებთან კომუნიკაციისა და ინტერაქციის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. მაგალითად, თუ სმენის დარღვევის მქონე ბავშვი ჟესტურ ენაზე ამყარებს კომუნიკაციას, ჟესტური ენის შესახებ ბაღის ყველა წევრი უნდა იყოს ინფორმირებული და ხდებოდეს ჟესტური ენის გამოყენების პოპულარიზაცია.

## ადაპტირებული ფიზიკური გარემო

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების (განსაკუთრებით სასმენი აპარატითა და კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლეთა) მიერ სმენის გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემო პირობებზე და კონკრეტული გარემოს მიხედვით ვარირებს. გარემოში არსებული ნებისმიერი ხმოვანი სტიმული, რომელიც სმენის დარღვევის მქონე ბავშვს მეტყველების და სამიზნე ხმების აღქმაში უშლის ხელს, განიხილება ხმაურად.

გარდა ამისა, სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ ინფორმაციის მიღებისას განსაკუთრებული დატვირთვა მხედველობით არხს აკისრია. მხედველობის საშუალებით ბავშვი აღიქვამს ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას, „კითხულობს“ ბაგეებიდან, ამყარებს ჟესტური ენით კომუნიკაციას და ა.შ. ამრიგად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვები მოწყვლადები არიან არა მხოლოდ აუდიოხმაურისა და ხანგრძლივი ექოს მიმართ, არამედ ვიზუალური „ხმაურის“ მიმართაც. აუდიო- და ვიზუალურმა „ხმაურმა“ შეიძლება საკმაოდ ნეგატიური გავლენა იქონიოს სმენის დარღვევის

მქონე ბავშვის შესაძლებლობაზე როგორც კომუნიკაციის დამყარების, ასევე ზოგადი ცოდნის მიღების თვალსაზრისით. სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ მხედველობის ეფექტური გამოყენებისთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოს განათების საკითხიც.

სხვადასხვა ფიზიკური და ტექნიკური საშუალების გამოყენებით საგანმანათლებლო სივრცის სწორად ორგანიზება მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნულ ბარიერებს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის სმენის დარღვევის მქონე ბავშვების განათლებისა და განვითარებისთვის.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის გარემოს ადაპტირება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ჯგუფში მინიმუმადე უნდა იყოს დაყვანილი აუდიოხმაური/გამღიზიანებლები და შეფასდეს (გაიზომოს) და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესდეს ბგერის გადაადგილების/ექოს ხანგრძლივობა
- ჯგუფში მინიმუმადე უნდა იყოს დაყვანილი ვიზუალური „ხმაური“/გამღიზიანებლები
- ზრუნველყოფილი უნდა იყოს ოპტიმალური განათება

მიზანშეწონილია, რომ რეკომენდებული ფიზიკური და ტექნიკური მახასიათებლები, შეძლებისდაგვარად ყველა იმ ოთახში იყოს გათვალისწინებული, რომელშიც სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს უწევთ ყოფნა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, სასწავლო გარემოში სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს მათ საჭიროებებზე ადაპტირებული, სულ მცირე, ერთი ფიზიკური სივრცე, რომელშიც მიზანიმართულად წარიმართება საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესი ლექსიკური მარაგის განვითარებაზე, ახალი ცნებების სწავლაზე, მოსმენის უნარისა და მეტყველების განვითარებაზე, წიგნების კითხვაზე/თხრობაზე, მცირე ჯგუფურ აქტივობებზე და სხვა.

***აუდიოგამღიზიანებლები და აკუსტიკა***

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან სამუშაო სივრცეში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი აუდიოსტიმულები და ფონური ხმები, როგორიცაა ქუჩიდან, შენობის სხვა სივრცეებიდან (მაგ.: მოსაზღვრე ოთახიდან, დერეფნიდან) შემოსული ხმები, ავეჯის გადაადგილებით, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობის მუშაობის (მაგ., პროექტორი), ფეხსაცმლისგან (ძირითადად ქუსლიანისგან) აღმოცენებული ხმაური.

გარდა ამისა, ყველა ოთახს თავისი აკუსტიკური მახასიათებლები, ე.წ. ექოს ხანგრძლივობის დრო გააჩნია. თუ ექო ზედმეტად ხანგრძლივია, ის დომინირებას ახდენს სასურველ ხმაზე, რაც საკმაოდ „მტკივნეულ“ ხმოვან გამღიზიანებლებად შეიძლება იქცეს სასმენი აპარატითა და კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის. აღნიშნული ხმები შესაძლოა უმნიშვნელო იყოს

ჩვეულებრივი სმენის მქონე ბავშვისთვის, მაგრამ საკმაოდ დიდი ბარიერს წარმოადგენდეს სმენის დარღვევის შემთხვევაში.

ხმოვანი გარემოს გაუმჯობესება შემდეგი ზომების მიღებით არის შესაძლებელი:

- ავეჯის (მაგიდების, სკამების) ძირებზე რბილი ქსოვილის მიმაგრება
- ოთახის იატაკის დაფარვა რბილი საფარით (მაგალითად, ხალიჩით ან ტატამით)
- მოსაზღვრე ოთახებიდან, ქუჩიდან და დერეფნიდან შემომავალი ხმების დახშობა შესაბამისი სამშენებლო მასალის გამოყენებით
- ბავშვებთან მუშაობისას რბილი ძირის მქონე ფეხსაცმლის გამოყენება
- ფანჯრების და კედლების დაფარვა მძიმე ქსოვილით, ოთახის შევსება ავეჯით
- აკუსტიკის სპეციალისტის მიერ ბგერის გადაადგილების დროის გაზომვა და საჭიროების შემთხვევაში ოთახის აკუსტიკური პირობების გაუმჯობესება

***მანძილი და ბავშვის განთავსება***

აკუსტიკური მახასიათებლების გარდა, სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ აუდიოინფორმაციის აღქმის შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს მანძილის ფაქტორი. რაც უფრო ვშორდებით ხმის წყაროს, მით უფრო იკლებს ბგერის სიმაღლე; მოსაუბრესა და მსმენელს შორის ერთი მეტრზე მეტი დაშორების შემთხვევაში მოსაუბრის მეტყველება საშუალოდ 20%-ით „ჩუმი“ (12 დბ) ხდება. შესაბამისად, რაც უფრო იზრდება დაშორება მოსაუბრეს/ხმის წყაროსა და სმენის დარღვევის მქონე ბავშვს შორის, მით უფრო უარესდება ბავშვის მიერ თუნდაც ნაცნობი სიტყვების მოსმენის და გაგების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს ბგერის მიმართულებასაც (ანუ მოსაუბრის განთავსებას მსმენელთან მიმართებით). თუ მოსაუბრე დადგება მსმენელთან ზურგით ან მისი ზურგის მხრიდან, ბგერის სიმაღლე მნიშვნელოვნად იკლებს და დაშორების 2-ჯერ გაზრდას გაუტოლდება. ასეთ შემთხვევაში, სმენის დაქვეითების ან კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვს, გაუჭირდება სიტყვების დაბოლოებების და სიტყვებში თანხმოვნების გარჩევა, შესაბამისად, მოსაუბრის მეტყველების სრულფასოვნად აღქმა.

აღნიშნული ფაქტორები გასათვალისწინებელია სმენის დარღვევის მქონე ბავშვის განთავსებისა და მასთან ინდივიდუალური თუ ჯგუფური აქტივობების განხორციელების დროს.

***ვიზუალური გამღიზიანებლები და განათება***

სმენის დარღვევის მქონე ბავშვები ე.წ. „ვიზუალური მსწავლელები“ არიან. შესაბამისად, მათთვის ვიზუალურ/თვალსაჩინო მასალას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის აღქმისა და გაგებისთვის. ამრიგად, მხედველობა განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობს, რაც გადაღლას იწვევს, ხოლო ზედმეტი ვიზუალური გამღიზიანებლების არსებობის შემთხვევაში რთულდება

ყურადღების კონცენტრირება სამიზნე სტიმულებზე. იმისათვის, რომ ბავშვის მიერ მხედველობის გამოყენება ეფექტური იყოს, სივრცე რომელშიც ბავშვთან მუშაობა მიმდინარეობს, მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს მეორეხარისხოვანი, იმ მომენტისთვის ზედმეტი ვიზუალური სტიმულებისგან.

ამასთანავე, არასაკმარისად ან არასწორად განათებულმა სივრცემ შეიძლება ბავშვს ხელი შეუშალოს არა მარტო ვიზუალური ინფორმაციის აღქმაში, , არამედ მისი მხედველობის გაუარესებაც კი გამოიწვიოს. გარემოში განათების სიძლიერე ოპტიმალური, ხოლო  თვალის მოჭრის რისკი მინიმალური უნდა იყოს.

ბავშვების, აღმზრდელ-პედაგოგის თუ სპეციალისტების სამუშაო/სათამაშო მასალის ურთიერთგანთავსება უნდა ითვალისწინებდეს განათების სწორად გამოყენებას. მაგალითად, თუ აღმზრდელ-პედაგოგს ზურგის მხრიდან ურტყამს განათება, ბავშვს მისი სახისა და ტუჩების მოძრაობის დანახვის შესაძლებლობა შეეზღუდება. განათება ისე უნდა ეცემოდეს გამოყენებულ მასალას (მაგ.: პოსტერს, ეკრანს, დაფას და ა.შ.), რომ არ ხდებოდეს არც მათი დაჩრდილვა და არც ზედაპირიდან შუქის არეკვლა.  ამასთანავე, ბავშვებს ერთმანეთის სახის კარგად დანახვის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეთ. შესაბამისად, სასწავლო /სათამაშო მასალისა და ბავშვის სივრცეში განთავსება მაქსიმალურად ოპტიმალური უნდა იყოს ვიზუალური აღქმის კუთხით. რეკომენდებულია, რომ ბავშვები ნახევარწრის სახით იყვნენ განთავსებულნი ისე, რომ ვიზუალურად მისაწვდომი იყოს როგორც აღმზრდელ-პედაგოგი/სპეციალისტი, ასევე დანარჩენი ბავშვებიც.

*ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებები*

ჯგუფურ სასწავლო სიტუაციაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს ხმის ოპტიმალური აღქმისთვის  შეიძლება დასჭირდეთ ისეთი დამატებითი ტექნიკური მხარდაჭერა, როგორიცაა, მაგალითად, ხმის ინდივიდუალური და ჯგუფური გამაძლიერებელი სისტემები, მიკროფონები  და ხმის გადამცემი საშუალება (მაგ., FM სისტემა).

ხმის გამაძლიერებელი საშუალებები (მაგ., რადიო), რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ბავშვის ინდივიდუალურ სმენის აპარატთან/კოხლეარულ იმპლანტთან ერთდება,  მას მოსაუბრის (რომელიც მოწყობილობის მიკროფონში საუბრობს) მეტყველების უკეთ გაგების შესაძლებლობას აძლევს და ფილტრავს ფონურ ხმებს.

გასათვალისწინებელია, რომ ვერც ერთი ხმის გამაძლიერებელი ტექნოლოგია (იქნება ეს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მოხმარების), ვერ ანაცვლებს ტიპურ სმენას და ამასთანავე, აღნიშნული მოწყობილობების ეფექტურობა დამოკიდებულია ოთახის/სივრცის აკუსტიკურ

მახასიათებლებზეც. შესაბამისად, ხმის გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენება აუცილებლად ოთახის აკუსტიკურ მახასიათებლებთან მიმართებით უნდა განიხილებოდეს.

## აბილიტაციურ-თერაპიული მომსახურება

აღნიშნული მხარდაჭერა მოიცავს მეტყველების თერაპიას ან აუდიოპედაგოგიკურ ხელშეწყობას, რომელიც ბავშვის სმენითი უნარის, მიმართული და ექსპრესიული მეტყველების და კომუნიკაციის განვითარებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, რომ აბილიტაციისა და თერაპიის პროცესში ჩართულმა სპეციალისტებმა ითანამშრომლონ აღმზრდელებთან, რათა, ერთი მხრივ, მიზანმიმართულად მოხდეს იმ უნარებზე მუშაობა, რომლებიც ბავშვისთვის ასაკობრივ პროგრამაში მონაწილეობისთვისაა მინიშვნელოვანი, ხოლო მეორე მხრივ, თერაპიული პროცესის შედეგად შეძენილი უნარების ბუნებრივ კონტექსტში გამოყენებას შეეწყოს ხელი.

თერაპიული მომსახურების აუცილებლობა და საათობრივი დატვირთვა კონკრეტული ბავშვის საჭიროებებით განისაზღვრება.

## ინდივიდუალურად მორგებული პროცესი

მიუხედავად იმისა, რომ გაფართოებული მხარდაჭერა ეხმიანება სმენის დარღვევით განპირობებულ მრავალმხრივ საჭიროებებს (მაგალითად, ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარების, აკუსტიკურად ხელშემწყობი გარემოს ორგანიზების, სმენის გამაძლიერებელი დამხმარე საშუალებების გამოყენების სწავლების საჭიროება და სხვა), მის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერა ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებითა და შესაძლებლობებით უნდა განისაზღვროს.

სპეციალისტების გუნდის მიერ უნდა შეფასდეს სმენის დარღვევის მქონე ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები განვითარების სფეროების მიხედვით, დადგინდეს და ბავშვის პორტფოლიოში აისახოს ინდივიდუალური მხარდაჭერის ფორმები, ოდენობა, მიწოდების ინდივიდუალური განრიგი და სხვა ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

## ჯგუფურ სიტუაციებში მონაწილეობის ხელშეწყობა

ისევე როგორც ნებისმიერი ბავშვისთვის, სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვისაც მნიშვნელოვანია თანატოლებთან ერთად ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა. თუმცა, როგორც ვიცით, სხვადასხვა ფაქტორის გამო ჯგუფური სიტუაციები სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილია რჩევები, რომლებიც სმენის დარღვევის მქონე ბავშვთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებასა და მიმდინარე აქტივობებში ჩართვას შეუწყობს ხელს:

- ✓ დარწმუნდით, რომ აპარატი, რომლითაც ბავშვი სარგებლობს, მწყობრშია, ელემენტი მუშაობს და ჩართულია;
- ✓ ინსტრუქციის მიწოდების შემთხვევაში დარწმუნდით, რომ ბავშვმა გაიგო ინსტრუქცია (არ დაეყრდნოთ მხოლოდ ბავშვის „კი/არა“ პასუხს);
- ✓ გადაამოწმეთ, რამდენად გასაგებია ბავშვისთვის თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ნუ შემოიფარგლებით მხოლოდ „კი/არა“ პასუხით ან თავის დაქნევით;
- ✓ შესაძლებელია საჭირო გახდეს რამდენიმე ცდა, სანამ ბავშვი აღიქვამს ხმას, ბგერას, სიტყვას თუ ინსტრუქციას;
- ✓ მოარგეთ ინსტრუქცია ბავშვს, ნუ გამოიყენებთ გრძელ და რთულ ინსტრუქციებს;
- ✓ ინსტრუქციის თუ უკუკავშირის მიცემისას გამოიყენეთ მოდელირება, ვიზუალური საყრდენები, სხეულის ენა, ემოციები;
- ✓ მიეცით სათანადო დრო რეაქციისთვის, რადგან სმენის დარღვევის შემთხვევაში ხშირად ინფორმაციის მიღებასა და გადამუშავებას მეტი დროს სჭირდება;
- ✓ გაითვალისწინეთ დაღლის შესაძლებლობა, აქტივობის ხანგრძლივობა; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყავით პერიოდული შესვენება;
- ✓ ინფორმაციის მიწოდებამდე მოიპოვეთ ბავშვის ყურადღება და დარწმუნდით, რომ ბავშვის მზერა, ყურადღება თქვენკენ არის მომართული;
- ✓ მიმართეთ ბავშვის მზერა/ყურადღება სხვა ბავშვებისკენ, როცა ისინი რამეს ამბობენ ან გარკვეულ მოქმედებას ასრულებენ;
- ✓ საუბრის ან რაიმე მოქმედების შესრულებისას ხელი შეუწყვეთ რიგის დაცვას, რაც სმენის დარღვევის მქონე ბავშვს სხვა ბავშვებზე, მათ საუბარზე ყურადღების მიმართვაში დაეხმარება;
- ✓ წინასწარ მიაწოდეთ ინფორმაცია მოსალოდნელი თემის, აქტივობების შესახებ, შეუქმენით წინასწარი მოლოდინი;
- ✓ გამოიყენეთ დემონსტრირება, დრამა, როლური თამაშები, ჟესტური თამაშები;
- ✓ წინადადებაში ხაზი გაუსვით საკვანძო სიტყვებს; წინასწარ განსაზღვრეთ ახალი სამიზნე სიტყვები, ეტაპობრივად ჩართეთ ისინიც და ხელი შეუწყვეთ ბავშვის ლექსიკური მარაგის გაფართოებას;
- ✓ ესაუბრეთ ბავშვს ბუნებრივი ნელი ტემპით, გამოიყენეთ მკაფიო, ოღონდ ბუნებრივი არტიკულაცია, გამოიყენეთ ინტონირებული მეტყველება; ისაუბრეთ ჩვეულებრივი სიმაღლის ხმით, „ყვირილის“ გარეშე;
- ✓ აქტიურად გამოიყენეთ მიმიკა, სხეულის ენა, ემოციების დემონსტრირება;

- ✓ ესაუბრეთ და ინფორმაცია მიაწოდეთ ბავშვს იმ ყურის მხრიდან და მასთან ახლოს, რომელზეც სასმენი აპარატი უკეთია ან უკეთესი სმენა აქვს;
- ✓ საუბრისას შეეცადეთ ნაკლებად იმოძრაოთ და ბავშვის მხედველობის არეში დარჩეთ;
- ✓ საუბრისას დარწმუნდით, რომ ბავშვი ხედავს თქვენს სახეს, ტუჩებისა და ხელების მოძრაობებს;
- ✓ მოარგეთ ენა ბავშვის შესაძლებლობებს, ისაუბრეთ მარტივი სიტყვებით, მოკლე წინადადებებით, პაუზებით; საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ჟესტური ენა;
- ✓ ბავშვის ყურადღების მოსაპოვებლად გამოიყენეთ მხარზე ფრთხილი შეხება;
- ✓ საუბრისას დარწმუნდით, რომ თქვენი და ბავშვის ურთიერთგანთავსება ოპტიმალურია, განათება სწორად გეცემათ და თქვენს შორის დაბრკოლება (ავეჯი ან სხვა ადამიანი) არ არის;
- ✓ დაეხმარეთ ბავშვს ყურადღების სამიზნე სტიმულებისკენ მიმართვაში;
- ✓ ესაუბრეთ ბავშვს ოპტიმალური მანძილიდან, ახლო დისტანციიდან და დარწმუნდით, რომ თქვენ შორის არ არის დამაბრკოლებელი ფაქტორი (ბგერის დაკარგვის შესაძლებლობა), რომელიც მხედველობას ან მოსმენას შეუშლის ხელს;
- ✓ გაითვალისწინეთ გარემოში არსებული ვიზუალური და აუდიოგამღიზიანებლები, ფონური ხმაური, რომელიც შესაძლებელია ბავშვს ხელს უშლიდეს ყურადღების მართვასა და ინფორმაციის აღქმაში;
- ✓ გაითვალისწინეთ ოთახის/სივრცის აკუსტიკური მახასიათებლები და უზრუნველყავით აკუსტიკურად მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო (მაგ., რევერბერაციის გარეშე);
- ✓ უზრუნველყავით კარგი განათება, რადგან ბავშვის მხედველობაზე საკმაოდ დიდი დატვირთვა მოდის;
- ✓ გაითვალისწინეთ ჯგუფის ზომა და მცირე ჯგუფების უპირატესობა;
- ✓ გაითვალისწინეთ ბავშვის დაღლის ფაქტორი და პერიოდულად მიეცით მას დასვენების შესაძლებლობა;
- ✓ გამოიყენეთ საჭირო თემატური ვიზუალური მასალა;
- ✓ თუ არის შესაძლებელი, გამოიყენეთ ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები და მიკროფონები;
- ✓ გამოიყენეთ ბავშვების ნახევარწრიული განთავსება, ისე, რომ ყველა ბავშვი ერთმანეთს ხედავდეს;
- ✓ შეუწყვეთ ხელი, რომ ბავშვებმა ერთმანეთს დაუსვან კითხვები, გასცენ პასუხები;

# III ნაწილი

# სმენის დარღვევის მქონე ბავშვების გაფართოებული მხარდაჭერის მიმართულებები

როგორც ვიცით, სმენის დარღვევის მქონე ბავშვები სწავლისა და განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მხარდაჭერას და გარკვეული უნარების განსავითარებლად სპეციფიკურ ხელშეწყობას საჭიროებენ.

გზამკვლევის მოცემულ ნაწილში განხილულია ის მიმართულებები და საკითხები, რომლებიც სმენის დარღვევის მქონე ბავშვის შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას და სპეციფიკურ მხარდაჭერას მოითხოვს. აღნიშნული უნარები განხილულია სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტში (საქართველოს მთავრობის დადგენილება N488; 30.10.2017 „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“) წარმოდგენილ ბავშვის განვითარების 5 ძირითად სფეროსთან მიმართებით:

1. მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება.
2. შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა;
3. სოციალურ-ემოციური განვითარება;
4. სწავლისადმი მიდგომა;
5. ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;

განხილული უნარების გაძლიერება სხვადასხვა ფორმატსა და კონტექსტშია შესაძლებელი:

**ა)** ასაკობრივ ჯგუფებში მიმდინარე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის/აქტივობების დროს სასკოლო მზაობის პროგრამა;

**ბ)** მცირე ჯგუფურ ფორმატში (სმენის დარღვევით განპირობებულ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ ფიზიკურ სივრცეში) სასკოლო მზაობის პროგრამის მიღმა დაგეგმილი აქტივობები;

**გ)** ინდივიდუალურ ფორმატში გაფართოებული მხარდაჭერა სპეციალისტების მიერ;

**დ)** აბილიტაციურ-თერაპიული მომსახურება.

## კომუნიკაცია, ენა, მეტყველება და წიგნიერება

### კომუნიკაცია

ბავშვი დაბადების პირველივე წუთებიდან იწყებს სამყაროს შესწავლასა და შემეცნებას, აკვირდება საგნებს მოვლენებს, იღებს ინფორმაციას მათ შესახებ და ამყარებს კომუნიკაციას გარშემომყოფ ადამიანებთან.

ადამიანის ცხოვრებაში შემეცნების პროცესის წარმატებული მიმდინარეობისთვის წამყვანი კომპონენტი სწორედ კომუნიკაციაა. *კომუნიკაცია* გულისხმობს ინფორმაციის გაგზავნას, მიღებას და გაცვლას სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორიც არის ზეპირმეტყველება, წერა, ჟესტური ენა, სიმბოლოები, ბარათები, არავერბალური მინიშნებები და ა.შ. ეფექტიანი კომუნიკაციის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისთვის. *ეფექტიანი კომუნიკაცია* გულისხმობს კომუნიკაციას ორ ან მეტ ადამიანს შორის, რომლის დროსაც გაგზავნილი ინფორმაცია სწორად აღიქმება მიმღების მიერ და გასაგებია მისთვის. ჩვილ ბავშვთან კომუნიკაციის დამყარება ხდება სახის მიმიკის, ინტონირებული მეტყველების, ხმის ტემბრის, არავერბალური მინიშნებების საშუალებებით, თავის მხრივ, ბავშვი რეაგირებს კომუნიკაციის მისთვის მისაწვდომ და გასაგებ ფორმაზე და უკუკავშირს ავლენს ზრდასრულთან ღიმილის, ღუღუნის ან მოძრაობის სახით. ასაკის მატებასთან ერთად აღნიშნული კომუნიკაციის ფორმა აღარ არის საკმარისი და ხდება ენის გამოყენება კომუნიკაციის დამყარების მიზნით. შესაბამისად, განვითარების ადრეულ ეტაპზევე საკომუნიკაციო ენა ხდება ბავშვისთვის სამყაროს შემეცნების მთავარი წყარო. მრავალი კვლევის თანახმად, რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყება ეფექტიანი კომუნიკაციის გამოყენება ბავშვებთან, მით უფრო კარგად ვითარდება ბავშვის სხვადასხვა უნარები (ენობრივი, კოგნიტური/შემეცნებითი, ემოციური და სოციალური).

შესაბამისად, ბავშვისთვის მისაწვდომი/გასაგები ფორმით ეფექტიანი კომუნიკაცია ენის განვითარების საწინდარია, რაც, თავის მხრივ, აისახება ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნების და შესწავლის უნარზე. როდესაც ბავშვისა და მშობლის/აღმზრდელის კომუნიკაცია არაეფექტიანად მიმდინარეობს, ბავშვს უჭირს გაიგოს და მიიღოს, ასევე გასცეს საჭირო ინფორმაცია, გამოხატოს საკუთარი სურვილები, აზრები და მოთხოვნილებები.

***კომუნიკაციის ფორმები***

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაცია სხვადასხვა სახით შეიძლება დამყარდეს, რაც განპირობებულია იმით, თუ რა ტიპის კომუნიკაციაა ადამიანისთვის მისაწვდომი და როგორ იღებს და აგზავნის ეფექტურად ინფორმაციას. კომუნიკაციის ტიპები ორ ძირითად ნაწილად შეიძლება განვიხილოთ:

***<u>ვერბალური (მეტყველებით გაშუალებული)კომუნიკაცია</u>***

- ✓ ენობრივი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია – ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციას ამყარებენ ზეპირი მეტყველების საშუალებით. აღნიშნულის დროს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ენას და მის გამოყენებას, არამედ არავერბალურ მინიშნებასაც, მაგალითად ხმის ტონს, ინტონაციას, პაუზებს და ა.შ.

- ✓ წერითი კომუნიკაცია - დღეისათვის წერითი კომუნიკაცია ფართოდ გამოიყენება როგორც პირადი, ასევე საქმიანი კომუნიკაციის დროს. ადამიანები აქტიურად აგზავნიან სხვადასხვა შეტყობინებებს წერილობითი სახით.

***<u>არავერბალური კომუნიკაცია</u>***

- ჟესტური ენა - სმენის დარღვევის მქონე ადამიანების გარკვეული ნაწილი და მათი ოჯახის წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციის მიზნით ჟესტურ ენას იყენებენ.
- კომუნიკაცია ბარათებით ან სიმბოლოებით - გამოიყენება კომუნიკაციის დარღვევის სხვადასხვა მდგომარეობის დროს. ბარათებზე, რომელთა საშუალებითაც ადამიანი ამყარებს კომუნიკაციას გარშემომყოფებთან და იღებს ინფორმაციას, შეიძლება ასახული იყოს როგორც კონკრეტული ობიექტი, ასევე გარკვეული სიმბოლო.
- ტაქტილური კომუნიკაცია - ყრუ და უსინათლო ადამიანები კომუნიკაციის, ახალი ინფორმაციის მიღებისა და ათვისების მიზნით ხშირად ტაქტილურ კომუნიკაციას იყენებენ, რადგან სწორედ ეს მოდალობაა მათთვის ყველაზე მისაწვდომი.

**კომუნიკაცია იყოფა ექსპრესიულ და რეცეპტულ ნაწილებად:**

***<u>რეცეპტული კომუნიკაცია</u>*** - კომუნიკაციური პარტნიორის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაგება.

***<u>ექსპრესიული კომუნიკაცია</u>*** გულისხმობს კომუნიკაციის წარმოებას როგორც ენის გამოყენებით, ასევე სახის მიმიკით, არავერბალური ნიშნებითა და სიმბოლოებით მაგ.: ბარათებით, ტაქტილური სიმბოლოებით და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის უნარი ის ფუნდამენტია ადამიანის განვითარებისა, რომელსაც შემდეგ ეფუძნება სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიც არის ენის, შემეცნებითი და აკადემიური უნარების განვითარება და ა.შ. არაეფექტიანი კომუნიკაციის შემთხვევაში გამოუყენებელი რჩება ადამიანის პოტენციალი, აღიქვას და შეიძინოს ახალი ინფორმაცია და უნარები, რაც ხელს უშლის პიროვნების შემდგომ განვითარებას. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ კომუნიკაციის უნარის განვითარება უნდა მოხდეს ადრეული ასაკიდანვე, რადგან აქედანვე იწყება ენისა და სხვა შემეცნებითი უნარების განვითარება. ასაკის მატებასთან ერთად ენა და კომუნიკაცია მეტად ერწყმიან ერთმანეთს და თუ ჩვილობის ასაკში კომუნიკაცია წამყვანია და საჭიროა ენის განვითარებისთვის, ბავშვობის და მოზარდობის ასაკში ენის განვითარებასა და გამოყენებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს ბავშვი კომუნიკაციის დამყარებას როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკულ გამოსახულებაში ასახულია ადამიანის უნარების განვითარების თანამიმდევრობა. რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცესები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ მიმდინარეობს და ისინი წარმოადგენს არა თანადაქვემდებარებულ, არამედ პარალელურად მიმდინარე პროცესებს, თუმცა გარკვეული კანონზომიერების დაცვით. მაგალითად, იმისათვის, რომ ბავშვმა ენის სწავლა და გამოყენება დაიწყოს, აუცილებელია მასთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება. ამ პროცესში კოგნიტური და შემეცნებითი განვითარებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს ენა, რომელზეც იგი იღებს, გადაამუშავებს და გასცემს ინფორმაციას. ენისა და კომუნიკაციის საშუალებით აღქმული და მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს ათვისების და დასწავლის პროცესს და იგი ეხმარება ბავშვს აზროვნების, მსჯელობის, პროცესების განვითარებაში, იზრდება მეხსიერების მოცულობა და ა.შ. შედეგად, ბავშვის კოგნიტური განვითარება წარმატებულად მიმდინარეობს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს აკადემიური უნარების განვითარებას. წარმატებული შემეცნებითი და აკადემიური უნარების არსებობა, თავის მხრივ, სხვა კომპონენტებთან ერთად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადამიანის მომავალი ცხოვრებისა და თვითრეალიზებისთვის.




აუცილებელია განვიხილოთ კომუნიკაცია ყრუ და სმენის დარღვევის მქონე ბავშვების კონტექსტში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვს სმენის მქონე მშობელი ჰყავს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მშობელსა და ბავშვს შორის ეფექტიან კომუნიკაციას. აღნიშნული ხელს უშლის ყრუ ბავშვის კომუნიკაციის, ენის, კოგნიტური უნარების განვითარებას. არაფექტური კომუნიკაციის დროს ენა და ზეპირმეტყველება არის ბავშვისთვის მიუწვდომელი, რის ფონზეც ბავშვები ხშირად თავად იგონებენ კომუნიკაციის ფორმას და ამისთვის იყენებენ ბუნებრივ ჟესტებს.

იმ შემთხვევაში, თუ სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ყრუ მშობლები ჰყავს, ისინი კომუნიკაციისთვის დაბადებისთანავე ჟესტურ ენას იყენებენ, რაც საშუალებას აძლევს ბავშვს დაამყაროს კომუნიკაცია მშობლებთან, სხვა ყრუ ადამიანებთან და შედეგად მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა თემებსა და აქტივობებზე, რაც ხელს უწყობს მისთვის მასტიმულირებელი და განვითარებაზე მეტნაკლებად ორიენტირებული გარემოს შექმნას.

სასმენი აპარატისა და კოხლეარული იმპლანტის გამოყენების შემთხვევაში კომუნიკაციის უპირატესი სტილი, როგორც წესი, ზეპირმეტყველებაა, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოხლეარული იმპლანტის მორგებას, ენის აღქმისა და გამოყენების დასწავლას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, გარკვეული დრო სჭირდება. იმისათვის, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ჰქონდეს წვდომა კომუნიკაციაზე, რიგ შემთხვევებში კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებს ასევე ასწავლიან ჟესტურ ენას, რათა ინფორმაციის მიღება და გაზიარება ბავშვისთვის მეტად ეფექტიანი იყოს ადრეული ასაკიდანვე.

გარდა ამისა, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური აქტივობების დროს გასათვალისწინებელია ყრუ და სმენდაქვეითებული ბავშვის კომუნიკაციის უპირატეს სტილთან დაკავშირებული თავისებურებები.

სასმენი აპარატის ან კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს მეტყველების აღქმა შორი მანძილიდან, ასევე მსგავსი ჟღერადობის სიტყვების გარჩევა, სწრაფი საუბარი, თემიდან თემაზე სწრაფი გადასვლა და ა.შ.;
- ფონური ხმაურის ფონზე დაკარგოს კომუნიკატორის მიერ გაგზავნილი ინფორმაცია;
- არ დააზუსტოს ინფორმაცია, რომელიც ვერ გაიგო;
- არამკაფიო მეტყველების გამო შესაძლებელია სხვა ბავშვებმა ვერ გაიგონ მისი მეტყველება; რამაც ნეგატიური გავლენა იქონიოს კომუნიკაციის ხარისხსა და მიმდინარეობაზე;
- ჯგუფური კომუნიკაციის დროს სმენის დარღვევის მქონე ბავშვმა შესაძლებელია ვერ გაიგოს ინფორმაცია, თუ ორი ან მეტი ადამიანი საუბრობს პარალელურად;
- შესაძლოა წარმოიშვას იუმორსა და გადატანითი მნიშვნელობის გაგებასთან დაკავშირებული სირთულეები;

ყრუ ბავშვის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- ყრუ ბავშვი ძირითადად ვიზუალური არხის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას;
- კომუნიკაციის დროს ბავშვს შეიძლება გაეფანტოს ყურადღება ვიზუალურ გამღიზიანებლებზე (მაგ.: ნახატი კედელზე, ვიღაცის მოძრაობა ოთახში) და დაკარგოს ინფორმაცია;
- რამდენიმე ადამიანთან კომუნიკაციის დროს ყრუ ბავშვი საჭიროებს ყურადღების გადატანას ერთი მოსაუბრიდან მეორეზე, ისე რომ ისინი რიგრიგობით ჰყავდეს მხედველობის ველში,

შესაბამისად, კომუნიკატორებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული თავისებურება და ისაუბრონ მონაცვლეობით და არა პარალელურ რეჟიმში;

- ყრუ ბავშვთან კომუნიკაციის დროს არ უნდა არსებობდეს ვიზუალური დაბრკოლება/ბარიერი კომუნიკატორთან (მაგ.: სხვა ადამიანი, ავეჯი);
- ბავშვმა შეიძლება ვერ გაიგოს იუმორი, გადატანითი მნიშვნელობის მატარებელი ინფორმაცია.

სმენის დარღვევის შემთხვევაში, გარშემომყოფებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ბავშვს უნდა ვასწავლოთ საუბრის/დიალოგის წარმართვა, ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება. ამისთვის აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს ვიზუალურ ყურადღების მართვაზე, შენარჩუნებასა და ყურადღების გადატანის სწავლებაზე. ჯგუფში საუბრის დროს ბავშვებმა უნდა ისწავლონ მონაცვლეობით საუბარი, რიგის დაცვა.

ასევე აუცილებელია, ბავშვმა ადრეული ასაკიდანვე იცოდეს, რომ რაიმე ინფორმაციის გამოტოვების შემთხვევაში გადაამოწმოს ინფორმაცია. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ შეუძლია მოითხოვოს, როგორც მიწოდებული ინფორმაციის გამეორება (იქნება ეს ჟესტურ ენაზე თუ ზეპირსიტყვიერად), ასევე ინფორმაციის ნელი ტემპით მიწოდება.

## ენა და მეტყველება

***ენა*** წარმოადგენს პირობით, შეთანხმებულ სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც საერთოა კონკრეტული ჯგუფისთვის და რომელთა საშუალებითაც ხდება აზრების და შინაარსების რეპრეზენტაცია, რაც, თავის მხრივ, იძლევა ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას. როგორც კომუნიკაცია, ასევე ენა იყოფა ორ ნაწილად.

*<u>რეცეპტული ენა</u>* ზეპირსიტყვიერად, ჟესტურ ენაზე ან წერილობითი ფორმით მიწოდებული ინფორმაციის გაგებას აღნიშნავს.

*<u>ექსპრესიული ენა</u>* წარმოადგენს აზრებისა და წინადადებების გამოხატვას სწორი გრამატიკული ფორმისა და ლექსიკის გამოყენებით, რაც შეიძლება განხორციელდეს ზეპირსიტყვიერად, ჟესტურ ენაზე, წერილობითი ფორმით და ა.შ.

ენაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ენისა და ზეპირი მეტყველების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

***მეტყველება*** წარმოადგენს ბგერების საშუალებით ენის გამოყენებას. მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ზეპირ მეტყველებას იყენებს კომუნიკაციის, აზრებისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, ამიტომ ზოგჯერ ენა და მეტყველება ერთმანეთის სინონიმებად აღიქმება, რაც მცდარია. ზეპირი მეტყველება წარმოადგენს ენისა და კომუნიკაციის ვერბალურ ფორმას და ის შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ***ხმა*** – ადამიანი იყენებს სახმო ნაოჭებსა და სუნთქვას ბგერის წარმოსაქმნელად.

- **ზეპირსიტყვიერი მეტყველება** ყრუ და სმენის დარღვევის მქონე ადამიანებისა, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე არ იყენებდნენ კოხლეარულ იმპლანტს ან სასმენ აპარატს, როგორც წესი, განსხვავებულია სმენის მქონე ადამიანის მეტყველებისგან. მათი მეტყველება მონოტონურია და ხშირად მათ საუბარს „ხორხისმიერ“ საუბარს ეძახიან გამოთქმული ბგერების ჟღერადობის გამო. მათ არ ესმით საკუთარი და სხვისი ხმა კარგად, შესაბამისად, ვერ აკონტროლებენ მეტყველების დროს ბგერების სიმაღლეს, ინტონაციას და ა.შ.
- ***არტიკულაცია*** – სამეტყველო ბგერების პროდუცირება. მიუხედავად იმისა, რომ ყრუ ადამიანებს არა აქვთ მოტორული შეზღუდვები, მათი არტიკულაცია ასევე განსხვავდება სმენის მქონე ადამიანის არტიკულაციისგან, რადგან სრული სიყრუის პირობებში, მიუხედავად ხანგრძლივი ვარჯიშისა, რთულია იმის ცოდნა, თუ რა ფორმა უნდა მისცეს პირს, ენას, ტუჩებს იმისთვის, რომ სწორად გამოთქვა კონკრეტული ბგერა.
- ***მოქნილობა, გაბმული მეტყველება*** - მეტყველების რიტმი, რომელიც შესაძლებელია იყოს ძალიან სწრაფი ნელი ან ვლინდებოდეს ენაბორძიკი.

ყრუ ადამიანების შემთხვევაში, მეტყველება, როგორც წესი, არ არის გაბმული და აკლია მოქნილობა. სმენის დარღვევის მქონე ადამიანები, გამომდინარე სმენის დაქვეითების ხარისხიდან, ასევე შესაძლებელია საუბრობდნენ „დანაწევრებულად“.

რაც შეეხება ენას, ის ზეპირი მეტყველებისგან რადიკალურად განსხვავებული კომპონენტებისგან შედგება. თითოეულ ენას სიმბოლოთა საკუთარი სისტემა აქვს, რომელშიც შედის კონკრეტული სიმბოლო, სიტყვა, წინადადებების წყობა, შინაარსი და გამოყენების წესები. თითოეულ ენას აქვს თავისი ლექსიკონი, მორფოლოგია, სინტაქსი, ფონეტიკა, ფონოლოგია, სემანტიკა. *ენის შემადგენელი კომპონენტების განმარტება დანართი N1 სახით არის წარმოდგენილი.*

შესაბამისად, ენა წარმოადგენს სოციალურად გაზიარებულ წესებს, რომელიც თავის თავში გულისხმობს შემდეგ ნიუანსებს:

1) სიტყვის მნიშვნელობა; მაგ., *სიტყვა „ხერხი“ შესაძლებელია გულისხმობდეს კონკრეტულ სამუშაო იარაღს ან რაიმე პრობლემის გადაჭრის გზას, მეთოდს.*
2) სიტყვის შექმნა სწორი გრამატიკული კონსტრუქციით მაგ., *მეგობარი - მეგობრული - დავმეგობრდით* და ა.შ.
3) სიტყვების დაკავშირება ერთმანეთთან იმისთვის, რომ გამოვიდეს წინადადება მაგ., *„გოგონამ დედას კალამი მიაწოდა“* და არა *„გოგონა დედა კალამი მიწოდება“*
4) სიტყვათა კომბინაციების შერჩევა სხვადასხვა სიტუაციაში მაგ., ბავშვთან საუბრის დროს ვიყენებთ წინადადების მარტივ წყობას და ვესაუბრებით განსხვავებული ინტონაციით, ლექსიკონით და სტრუქტურით, ხოლო ჩვენზე უფროს ადამიანს ან თანატოლს ვესაუბრებით სრულიად განსხვავებული ლექსიკით, წინადადების წყობითა და ინტონაციით.

შინაარსის გასაგებად საკმარისი არ არის ლექსიკური მარაგის ცოდნა. ბავშვმა შესაძლებელია იცოდეს ყველა სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა შინაარსის წვდომა ვერ შეძლოს, რადგან მისთვის გრამატიკული სტრუქტურები და წინადადების წყობა გაუგებარი იყოს. სმენის მქონე ბავშვები ბუნებრივ გარემოში ენის ხშირი მოსმენით და გამოყენებით სწავლობენ, რომ კონკრეტულ ფორმაში სიტყვის გამოყენება ცვლის წინადადების შინაარსს. შედეგად, ისინი სწავლობენ, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება მიცემითი ან მოთხრობითი ბრუნვა, მიუხედავად იმისა, რომ ბრუნვების შესახებ მათ აკადემური გრამატიკული ცოდნა არა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სრულყოფილი სმენისა, შესაძლებელია ბავშვს ჰქონდეს ენის დარღვევა, რაც სწორედ ენის სტრუქტურის, მისი გაგების და წარმოების დარღვევას გულისხმობს. შედეგად, ბავშვისთვის გაუგებარი რჩება შინაარსი.

**სმენის დარღვევის მქონე ადამიანებს ენის გაგებასა და გამოყენებასთან მიმართებით ექმნებათ სირთულეები შემდეგ კომპონენტებში:**

1. სწორი/შესატყვისი სიტყვის ცოდნა და შერჩევა - სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ლექსიკური მარაგი განსხვავდება სმენის მქონე მათი თანატოლების ლექსიკური მარაგისგან, ის უფრო მწირია. თუ ბავშვს კოხლეარული იმპლანტი ან სასმენი აპარატი უკეთია, ენისა და მეტყველების თერაპია კარგად მიმდინარეობდა და მეტყველების აღქმა კარგი აქვს, ამ შემთხვევაში განსხვავება მინიმალურია. სხვა შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს უჭირთ სიტყვის წორად აღქმა, მსგავსი სიტყვების ერთმანეთისგან განსხვავება და შესაბამისად, ლექსიკური მარაგიც და მისი გამოყენების შესაძლებლობაც მწირია. რაც შეეხება ყრუ ბავშვს, ენის ფლობის უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ასაკში დაიწყო მან ჟესტური ენის გამოყენება. ადრეულ ასაკში დასწავლილი ჟესტური ენის მეშვეობით მისი ლექსიკური მარაგი ბევრად დიდია, ვიდრე ჟესტური ენის გვიან ასაკში ათვისებისას.
2. წინადადებაში სიტყვათა სწორი შეთანხმება და გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენება - სმენის დარღვევის მქონე ადამიანებს უჭირთ ენის სწორად გამოყენება; ხშირია სინტაქსური, მორფოლოგიური და ფონოლოგიური შეცდომები. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელობა აქვს, რა ასაკიდან იყენებს ბავშვი სასმენ აპარატს, კოხლეარულ იმპლანტს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ენაზე მისაწვდომობას ან ჟესტურ ენას. რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყება ენის ათვისება და განვითარება, მით მეტად თვალსაჩინოა შედეგი.
3. „მოსმენილი“ ინფორმაციის სწორად გაგება - როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე ჟესტური ენით მიწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია გაუგებარი იყოს ბავშვისთვის. სასმენი აპარატის და კოხლეარული იმპლანტის შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზის გამო (ხმაური ოთახში, მსგავსი ჟღერადობის სიტყვები, რთული გრამატიკული კონსტრუქციები) მიწოდებული ინფორმაცია

შესაძლებელია არ აღმოჩნდეს მისაწვდომი. ჟესტურ ენაზე მიწოდებული ინფორმაციიდან ბავშვმა ასევე შეიძლება გამოტოვოს ან ვერ გაიგოს გარკვეული ნაწილები, შინაარსები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა შემდეგ სფეროებში: ლექსიკური მარაგი, სინონიმები, სპეციფიკური თემებისთვის საჭირო სიტყვები, გადატანითი მნიშვნელობის გააზრება, ყველა იმ ინფორმაციის გაგება, რაც მოისმინა.

ცხრილში წარმოდგენილია გარკვეული აქტივობები, რომლებიც ეხმარება სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს ენის სწორად გამოყენებაში:

| **სწორი/შესატყვისი სიტყვის ცოდნა და შერჩევა** | **წინადადებაში სიტყვათა სწორი შეთანხმება და გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენება** | **„მოსმენილი“ ინფორმაციის სწორად გაგება.** |
|---|---|---|
| ახალი სიტყვების წარდგენისა და სწავლების დროს გამოიყენეთ ნახატები, ბარათები.<br>უზრუნველყავით ბავშვისთვის ბუნებრივი სიტუაციები, სადაც მოხდება ახალი სიტყვების გამეორება და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება.<br>ააგეთ ახალი სიტყვების სწავლება მათთვის უკვე ნაცნობი სიტყვების გამოყენებაზე.<br>ახალი თემის წარდგენამდე წინასწარ გააცანით სმენის დარღვევის მქონე ბავშვს მნიშვნელოვანი სიტყვები, რათა ისი მზად იყოსაღნიშნული სიტყვების მოსმენისა და გამოყენებისთვის. | ბავშვის ნებისმიერი აქტივობა უნდა მიმდინარეობდეს ენის გამოყენების თანხლებით, რათა მოხდეს მოდელირება იმისა, თუ როდის და როგორ გამოიყენება სიტყვა, სიტყვათშეთანხმება, წინადადების ესა თუ ის წყობა და ა.შ.<br>შეცვალეთ ბავშვის მიერ ნათქვამი და დაუბრუნეთ შეცვლილი წინადადება მასვე, აჩვენეთ მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა წინადადება იყოს ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი.<br>გააკეთეთ მის ნათქვამზე კომენტარი, რომელიც გამოიწვევს ბავშვის მხრიდან ასევე კომენტარს და ასწავლეთ ამ ფორმით დიალოგის წარმოება. | გადაამოწმეთ და დარწმუნდით, რომ ბავშვმა გაიგო მიწოდებული ინფორმაცია.<br>დაიწყეთ მარტივი ენით, რომელიც დაკავშირებული იქნება მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებთან, ნახატებთან, საგნებთან.<br>გამოიყენეთ მარტივი წინადადებები, სიტყვათაშეთანხმებები, რომლებსაც ხშირად ვიყენებთ და უზრუნველყავით შესაბამისი ვიზუალური მასალა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების დროს.<br>დაიწყეთ იმით, რაც თქვა ბავშვმა და შემდეგ განავრცეთ მათი ნათქვამი.<br>ერთდროულად ნუ გამოიყენებთ სიტყვებს, რომლებიც მათ ჯერ არ შეხვედრიათ. |

| | | |
|---|---|---|
| | გამოიყენეთ გამოცდილების წიგნები და ფოტოდღიურები და უბიძგეთ ბავშვს, დაამყაროს კავშირები სიტყვებსა და თავის გამოცდილებას შორის. | ასწავლეთ გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია, რათამიგანიშნოთ, გითხრათ, როდესაც რაღაცას ვერ იგებს. |

## ლექსიკური მარაგის განვითარების ხელშეწყობა

ლექსიკური მარაგი გონებაში არსებულ სიტყვათა ერთობლიობას წარმოადგენს. ლექსიკური მარაგი ბავშვებში ადრეული ასაკიდან სხვებთან ზეპირი კომუნიკაციისა და გარემოში არსებული ინფორმაციის მოსმენის, ხოლო მოგვიანებით უკვე წიგნებთან ურთიერთობის შედეგად ფორმირდება და მთელი ცხოვრების მანძილზე ფართოვდება. ბავშვები რეგულარულად სწავლობენ ახალი სიტყვების მნიშვნელობას და მათ განსხვავებულ კონტექსტში გამოყენებას. როგორც წესი, სკოლამდელი განათლების პერიოდისთვის სმენის მქონე ბავშვები ასეულობით სიტყვას ფლობენ, იმავე ასაკის სმენის შეზღუდვის მქონე ბავშვს კი (რომლისთვისაც ენა ადრეული ასაკიდან მისაწვდომი არ არის), მარაგში შესაძლოა საშუალოდ რამდენიმე ათეული (20, 30) სიტყვა ჰქონდეს. ყრუ ბავშვების დიდი ნაწილი სკოლამდელ და, შესაბამისად, სასკოლო ასაკისთვის მწირ ენობრივ უნარებს (რეცეპტულს და ექსპრესიულს) ფლობს, რაც არასაკმარისად ჩამოყალიბებულ ლექსიკურ მარაგში, ცნებების სიმწირეში გამოიხატება.

ენის ათვისების სხვადასხვა თეორიები არსებობს. მიუხედავად ამისა, მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ ლექსიკური მარაგი ძალიან მნიშვნელოვანია სამყაროს აღქმისთვის, ენობრივი კომპეტენციებისთვის, როგორც ზეპირმეტყველების, ასევე კითხვისა და წერის ათვისებისთვის (Gupta & MacWhinney, 1997). ლექსიკურ ცოდნას და სიტყვათა მარაგს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსმენისა და გაგების, ასევე კითხვის, წაკითხულის გაგების პროცესში და განაპირობებს წარმატებულ სწავლას სკოლაში. (Anderson & Freebody, 1981; Stanovich, 1986; Wood, 2001, Vermeer, 2001).

სმენის მქონე ბავშვი ადრეული ასაკიდანვე იწყებს სიტყვების დამახსოვრებას და ვიდრე დაიწყებს ლაპარაკს, მას აქვს გარკვეული პასიური ლექსიკური მარაგი (სიტყვის მნიშვნელობა იცის, თუმცა თავად ნაკლებად იყენებს). კვლევების თანახმად, ტიპური განვითარების ბავშვებს უადვილდებათ კონცეპტუალური კატეგორიების ფორმირება, როდესაც უკვე არსებობს კატეგორიის ჯგუფის გარკვეული წყარო. მაგალითად, როდესაც ბავშვმა იცის 150 სიტყვა, მის მიერ სხვა სიტყვებისა

და გრამატიკული უნარების ათვისება ბევრად სწრაფად ხდება, ვიდრე იმ ბავშვის მიერ, ვისაც არა აქვს სათანადო სიტყვათა მარაგი (Marchman & Bates, 1994).

იმისათვის, რომ ბავშვმა აითვისოს ახალი სიტყვები და გაზარდოს ლექსიკური მარაგი, ორი ძირითადი სტრატეგია გამოიყენება.

*1. სიტყვათა პირდაპირი დასწავლის სტრატეგია:*

- წაკითხვამდე ახალი სიტყვების დასწავლა; მაგ., ბავშვისთვის მოთხრობის წაკითხვამდე მასში გამოყენებული ახალი სიტყვების წინასწარ გაცნობა და განმარტება;
- დასასწავლი სამიზნე სიტყვების წინასწარ განსაზღვრა-დაგეგმვა და ყოველდღიურად ბავშვის ლექსიკის მიზანმიმართულად გამდიდრება
- ლექსიკონის გამდიდრების პროცესში ნაცნობიდან უცნობ სიტყვებზე გადასვლა (მაგ.,ნაცნობი კატეგორიის, „ცხოველების“, განხილვისას ახალი, ბავშვისთვის უცნობი სიტყვის/ების დამატება, მაგ., „იაგუარი“).
- სიტყვის განსაზღვრა, სხვა სიტყვებთან შედარება, სხვადასხვა კონტექსტში ჩასმა, სემანტიკური კავშირების დამყარება, ანალიზი, სიტყვების რუკების გამოყენება და ა.შ.

*2. სიტყვათა ირიბად დასწავლის სტრატეგია:*

- მრავალფეროვანი, ყოველდღიური კონტექსტის გამოყენება (ბავშვის ყურადღების მიმართვა აბრებზე, სხვადასხვა წარწერებზე)
- ყოველდღიურად გამოყენებადი ენა, წაკითხულის მოსმენა/ჭვრეტა, კითხვებზე პასუხის გაცემა და ა.შ.
- ლოტოების და სხვადასხვა თამაშების გამოყენება

აღნიშნული სტრატეგიები გამოიყენება ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებთან, განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ სტრატეგიების უპირატეს შერჩევასა (ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე) და ლექსიკური მარაგის გამდიდრებისას იმ მოდალობის გამოყენებაში (ხმოვანი თუ ვიზუალური ენა), რომელიც ყველაზე მეტადაა მისაღები და შესაბამისი ბავშვისთვის.

<u>სმენის დაროვევის მქონე ბავშვებში ლექსიკური მარაგის განვითარებას ხელშემწყობი აქტივობების მაგალითები:</u>

- ✓ *სიტყვების ტომარა*

ბავშვები წრეში სხედან და მორიგეობით ამოაქვთ ტომრიდან ბარათები (პერსონალს შეუძლია თავად მოამზადოს ბარათები სამიზნე სიტყვებზე). ამასთანავე, იდენტური ბარათები ბავშვების წინაც არის დალაგებული.

ის ბავშვი, რომელიც ტომრიდან  იღებს ბარათს, ვერ ხედავს მას, მაგრამ თანატოლებს აჩვენებს. თანატოლები ცდილობენ სიტყვის ჟესტური შესაბამისობა გამოსახონ ან და დაასახელონ ის.  ხოლო ბავშვმა, რომელმაც ბარათი ტომრიდან ამოიღო, უნდა გამოიცნოს, თუ რომელი სიტყვაა ბარათზე და მაგიდაზე დალაგებულ ბარათებში შეარჩიოს შესაბამისი.

- ✓ ***სიტყვებზე ხტუნვა***

ძირს გამოსახულ უჯრედებში ხატია სხვადასხვა საგანი, რომლებსაც ბავშვები მათზე დახტომის დროს ჟესტით გამოსახავენ ან და ასახელებენ. ასევე, შესაძლებელია ბავშვებმა, მაგ., პატარა ტომარა ისროლონ უჯრებისკენ და იმ უჯრაში ჩახატული სიტყვა ჟესტით გამოსახონ ანდა დაასახელონ უჯრა, რომელშიც ტომარა ჩავარდა. ეს აქტივობა შეიძლება განხორციელდეს როგორც შენობის გარეთ, ცარცით დახატულ ბადეში, ასევე შენობის შიგნით, დიდი ზომის ფორმატზე მარკერით დახატული ბადის გამოყენებით. შესაძლოა უჯრებში იმ სიტყვების ვიზუალური შესაბამისობები იყოს გამოსახული, რომლებიც მიმდინარე დღის ან კვირის თემას შეესაბამება. აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს მათთვის სახალისო ფორმატში ახალი სიტყვების დამახსოვრებაში დაეხმარება.

- ✓ ***ბინგო და ლოტოები***

პერსონალის მიერ დამზადებული თუ კომერციულად მისაწვდომი ბინგო და ლოტოები სახალისო სათამაშოა ბავშვებისთვის და, ამასთანავე, კარგი საშუალებაა სიტყვების ცნობისა და სწავლისთვის.

ლოტოებით (ვიზუალური ბარათებით) შეიძლება ისეთი თამაშების განხორციელება, როგორიცაა სიტყვების/ბარათების ერთმანეთთან დაკავშირება, ანტონიმების დაწყვილება, სიტყვათა კატეგორიების შექმნა და სხვა, პარალელურად სიტყვების დასახელებით და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებით.

სკოლამდელ ასაკში ხელი უნდა შეეწყოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში ისეთი ენობრივი უნარების განვითარებას, როგორიცაა:

- ხშირად გამოყენებულ სიტყვების მნიშვნელობის გაგება;
- პასუხის გაცემა ისეთ შეკითხვებზე, როგორიცაა:  რა, როდის,  როგორ,  რატომ, სად და ა.შ.;
- ორ- და სამსაფეხურიანი ინსტრუქციების გაგება (ვერბალურად ან ჟესტური ენით მიწოდებული);
- ნაწილობრივად მიწოდებულ მოვლენების გამთლიანება ერთ სიუჟეტად და პირიქით, სიუჟეტის დაყოფა ნაწილებად (3-4 მოქმედებად);
- ახალ ინფორმაციის ათვისება (სმენითი არხით ან და  ჟესტურ ენაზე მიწოდებული);
- სიტყვების და წინადადებების გამოყენება;
- საკუთარი მოსაზრების და დამოკიდებულების გამოხატვა ამ თუ იმ საკითხზე (ზეპირსიტყვიერად ან და ჟესტურ ენაზე);
- იუმორის, გადატანითი მნიშვნელობის შინაარსების გაგება;

- წინადადების შექმნის დროს მარტივი სინტაქსური და გრამატიკული წესების, დროების (წარსული, მომავალი, აწმყო) სწორად გამოყენება.

## ჟესტური ენა

ენისა და სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში ენის განვითარების ხელშეწყობაზე საუბრისას აუცილებელია ჟესტური ენის განხილვა.

ნებისმიერი ჟესტური ენა, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, სიმბოლურია და ენობრივ სისტემას წარმოადგენს. ჟესტური ენა წარმოადგენს ვიზუალურ ფორმალურ ენას, რომელიც ინფორმაციის გადმოსაცემად  იყენებს ხელებს და მის სხვადასხვა კონფიგურაციას, მიმიკას, სხეულის პოზის ცვლას. ამრიგად, ჟესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ინფორმაციის კოდირება ხელების მოძრაობების, სახის გამომეტყველების,  სხეულისა და თავის პოზიციის საშუალებით ხდება. ჟესტური  ენა, თავისი ვიზუალური ბუნებიდან გამომდინარე, მხედველობით აღიქმება, რაც მას ადვილად მისაწვდომს ხდის სმენის დარღვევის მქონე იმ ბავშვებისთვის, რომელთაც ლინგვისტური ინფორმაციის აღქმა სმენის საშუალებით შეზღუდული აქვთ (მახარობლიძე, თ., 2012).

დღეისათვის ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებობს 300-მდე ჟესტური ენა. თითქმის ყველა ქვეყანას აქვს თავისი ჟესტური ენა და ქვეყნის შიგნითაც შესაძლებელია ისინი განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. როგორც წესი, ჟესტური ენა ყრუთა კონკრეტული თემის მიერ ბუნებრივი კომუნიკაციისა და ინტერაქციის პროცესში არის აღმოცენებული და იგი ისეთივე ბუნებრივი ენაა, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა (ქართული, ინგლისური, ესპანური და ა.შ.). ქართული ჟესტური ენა ისტორიულად ქართველ ყრუთა შორის განვითარდა.

იმას, რომ ჟესტური ენა ისეთივე ენაა, როგორც ნებისმიერი სხვა ბუნებრივი ენა, ადასტურებენ კვლევები (Gary Morgan, 2014), რომელთა მიხედვითაც  ჟესტური ენის ათვისება ყრუ ბავშვების მიერ იმავე თანმიმდევრობით ხდება, როგორც სმენის მქონე ბავშვის მიერ მშობლიური ენის ათვისება.  ყრუ ბავშვები საწყის ეტაპზე იწყებენ „ტიტინს“ ხელებით, სიტყვების გამოყენების ამ ეტაპზე ანაცვლებენ „ამახინჯებენ“ რთულ სიტყვებს/ხელის ფორმას მარტივი სიტყვებით/ხელის ფორმით, ასევე წინადადებების შექმნის დროს იყენებენ არასწორ სტრუქტურებს და თანდათან, ენის ათვისების კვალდაკვალ, იწყებენ ჟესტების გამოსწორებასა და წესების გამოყენებას.

ამასთანავე, კვლევების თანახმად, ჟესტური ენის გამოყენებისას ტვინის იგივე ნახევარსფერო (მარცხენა ნახევარსფეროს საფეთქლის წილი) აქტიურდება, რომელიც ნებისმიერი ხმოვანი ენის/ზეპირი მეტყველების დროსაა აქტიური. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ჟესტურისა და სხვა ენების ერთიან ბუნებაზე,  განურჩევლად მისი მოდალობისა (ზეპირსიტყვიერი, თუ ვიზუალური).

თითოეულ ჟესტურ ენას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ენას, გააჩნია თავისი გრამატიკა, წინადადებების წყობა და სტრუქტურა, ლექსიკა, თუმცა, ისევე როგორც სხვა ენებს, ჟესტურ ენებსაც საერთო თვისებებიც აქვს. ამასთანავე, კონკრეტული ქვეყნის წიაღში წარმოქმნილი ჟესტური ენა თავისი გრამატიკული მახასიათებლებით განსხვავებულია იმავე ქვეყანის უმრავლესობის ენისგან.

ვიზუალურ-სივრცითი ბუნებიდან გამომდინარე, ჟესტურ ენაში სიტყვა გამოისახება ხელის ან ხელების კონკრეტული ფორმით. ჟესტურ ენაში მნიშვნელოვანია როგორც ხელის მდებარეობა, ასევე მიმართულება, თითების პოზიცია, სხეულის პოზიცია და სახის მიმიკა. ჩამოთვლილი თითოეული კომპონენტის ცვლილების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს სიტყვა, სიტყვის დაბოლოება, პრეფიქსი, სუფიქსი და ა.შ.

ჟესტურ ენას საკუთარი დამწერლობა არ გააჩნია და იმ ქვეყნის სახელმწიფო სამეტყველო ენის ანბანს ეფუძნება, რომლის წიაღშიც წარმოიქმნა. ამრიგად, ჟესტებთან ერთად ჟესტურ ენაში გამოიყენება ე.წ. მანუალური ანბანი ანუ დაქტილი (საქართველოს შემთხვევაში). აღნიშნული გამოსახავს კონკრეტულ ასოებს და იგი გამოიყენება წერა-კითხვის ათვისების, ახალი სიტყვის დასწავლის მიზნით ან იმ შემთხვევებში, როდესაც სიტყვას არ გააჩნია ერთი კონკრეტული ჟესტი, მაგ., ადამიანის სახელი „დავითი“. საქართველოში თითოეული დაქტილი შეესაბამება ქართული ანბანის კონკრეტულ ასოს.

ჟესტური ენის ათვისება სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სმენის მქონე ბავშვისთვის ზეპირ მეტყველებაზე დაფუძნებული ენის ათვისება. როგორც უკვე განვიხილეთ, სწორი და ეფექტიანი კომუნიკაცია და ენის ათვისება ადრეული ასაკიდან გადამწყვეტი და კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. ყრუ ბავშვების გარკვეულ ნაწილს არა აქვს ამის საშუალება, რადგან მათი მშობლები ხშირად სმენის მქონე ადამიანები არიან (დაახლოებით 90%), რაც მშობლებსა და შვილებს შორის ენობრივ ბარიერს ქმნის და ჟესტური ენის ათვისების შესაძლებლობას ზღუდავს. რაც ყველაზე მთავარია, ჟესტური ენის ათვისება ყრუ ბავშვის მიერ ხდება გარშემო მყოფ ადამიანებთან ბუნებრივი ინტერაქციისა და კომუნიკაციის გზით, ისევე, როგორც სმენის მქონე ბავშვების შემთხვევაში. შესაბამისად, თუ ყრუ ბავშვისთვის ხელმიუწვდომელია ზეპირმეტყველება, ზეპირმეტყველებით გასაშუალოებული ენა და კომუნიკაცია, თუ მან და მისი ოჯახის წევრებმა არ იციან და არ იყენებენ ჟესტურ ენას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყრუ ბავშვი ეფექტიანი კომუნიკაციისა და ენის არარსებობის გამო განვითარებისა და განათლების იმთავითვე არათანაბარ და არახელსაყრელ პირობებში იმყოფება. კვლევების თანახმად, ყრუ მშობლის ყრუ ბავშვი, რომელმაც იცის ჟესტური ენა სკოლაში წასვლამდე, ბევრად უკეთ ითვისებს ახალ მასალას, აკავშირებს წერილობით გამოსახულ ასოებს დაქტილთან, იგებს ახალ ცნებებს და, შედეგად, უმარტივდება სწავლის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ  სმენის დარღვევის მქონე პირთათვის ჟესტური ენის სწავლებისა და მათი ლინგვისტური თვითმყოფადობის ხელშეწყობა განათლების პროცესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანაბარი მონაწილეობისთვის განსაზღვრულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ კონვენციაშიც (მუხლი 24, 3, ბ), რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს მოხდა.

<u>ქართული ჟესტური ენის სწავლება</u>

როგორც უკვე აღინიშნა, ჟესტური ენა მისი ვიზუალურ-სივრცითი ბუნებიდან გამომდინარე, სმენის დარღვევის მქონე ბავშვების გარკვეული ნაწილისთვის (ფუნქციურად ყრუ), ერთადერთ მისაწვდომ ენას და საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე, ენისა და ლექსიკური მარაგის ათვისების კუთხით ჟესტურ ენას საკმაოდ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია დაქვეითებული სმენის და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებისთვისაც, როგორც ენის ვიზუალიზების საშუალებას.

ყრუ ბავშვების შემთხვევაში ჟესტური ენის ათვისება ფუნქციურად ადრეული ასაკიდან, სასკოლო ასაკამდე უნდა მოხდეს, რათა ბავშვმა სასწავლო პროცესში მონაწილეობა და სრულფასოვანი განათლების მიღება შეძლოს. თუმცა, ყრუ ბავშვების მხოლოდ 10%-ისთვის (საშუალოდ) არის ჟესტური ენა მისაწვდომი ამ ასაკში (ყრუ მშობლების შვილებისთვის).

ამრიგად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის გაფართოებული პროგრამისა და მხარდაჭერის აუცილებელ ნაწილს ჟესტური ენის სწავლება უნდა წარმოადგენდეს.

მიზანშეწონილია, რომ ჟესტური ენა სმენის მქონე თანატოლებსაც მიეწოდოთ, რათა ბავშვებმა ერთმანეთთან კომუნიკაცია შეძლონ.  ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ფაქტორის გამო სმენის დარღვევის მქონე ბავშვებმა ჟესტური ენის დაუფლების განსხვავებულ დონეს შეიძლება მიაღწიონ, მთავარია, ყოველმა მათგანმა ენის გამოყენება კომუნიკაციის დამყარების, თვითგამოხატვის, ინფორმაციის მიღების, ლექსიკური მარაგის შეძენისა და  ასაკობრივი განვითარების მიზნით შეძლოს.

სასკოლო მზაობის გაფართოებული პროგრამის ფარგლებში ჟესტური ენის სწავლებას თამაშის ფორმა უნდა ჰქონდეს და  ბუნებრივი სიტუაციების,  კონტექსტის გამოყენებით ხდებოდეს.

<u>დაქტილის სწავლის ხელშეწყობა</u>

ყრუ ბავშვების შემთხვევაში დაქტილს მრავალფუნქციური მნიშვნელობა  აკისრია; დაქტილის ფლობა პირდაპირ უკავშირდება ყრუ ბავშვის მიერ კითხვის სწავლის შესაძლებლობასაც. სმენის მქონე ადამიანისგან განსხვავებით, რომელიც ხშირად ბუნებრივად და გაუცნობიერებლად

აკეთებს იმის დიფერენცირებას, რომ სიტყვა შედგება ასოებისგან, ყრუ ბავშვს, განსხვავებული მოდალობიდან გამომდინარე, ამის შესაძლებლობა არ ეძლევა ანუ, სმენის მქონე ბავშვს როდესაც ესმის სიტყვა „დედა“, 5 წლის ასაკისთვის მას დამოუკიდებლად შეუძლია ამ სიტყვაში შემავალი ბგერების (რომლებიც შემდეგ გარდაიქმნება ასოებად) დასახელება „დ-ე-დ-ა“, რადგან ორივე ტიპის ინფორმაციას ბავშვი სმენითი არხით იღებს. სამომავლოდ, ბავშვი თავად აკავშირებს შემდეგ, კითხვის დროს, რომ ნანახი ასო „დ“ არის მოსმენილი „დ“ ბგერა. ყრუ ბავშვისთვის კი მთლიანობრივი სიტყვა „დედა“ ჟესტურ ენაზე არ ასოცირდება თავისთავად დაქტილთან „დ-ე-დ-ა“, რომელიც ვიზუალურად მნიშვნელოვნად განსხვავდება მთლიანი ჟესტისგან.

სწორედ ამიტომ ყრუ ბავშვთან დაქტილის გამოყენების დაწყება ადრეული ასაკიდანვეა მნიშვნელოვანი. დაქტილის ათვისების საწყის ეტაპზე ბავშვს მისი არსი სრულად გააზრებული არ აქვს და დაქტილის გამოყენებას ჟესტის მსგავსად მთლიან სიტყვასთან მიმართებით ცდილობს. მხოლოდ მოგვიანებით იწყებს ბავშვი დაქტილსა და სიტყვის შემადგენელ ასოებს შორის კავშირის დამყარებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბავშვი იაზრებს, რომ დაქტილს თავისი წესები გააჩნია, რომ დაქტილით წარმოდგენილ თანმიმდევრობაში პირველი მოძრაობა სიტყვის პირველ ასოს შეესაბამება და სიტყვის გამოსახვისას მის სწორი თანმიმდევრობით გამოყენებას იწყებს.

ბავშვი დაქტილს და ქართულ ენას (დამწერლობას) სწორედ იმ კავშირების გააზრებით ეუფლება, რომელიც ჟესტის კონფიგურაციას, დაქტილს, ასოებსა და ნაწერ სიტყვას შორის არსებობს. აღნიშნულ პროცესში პირველი ეტაპი დაქტილსა და ჟესტებს შორის ურთიერთმიმართების დამყარებით განისაზღვრება. ქვეყნებში, სადაც ჟესტური ენისა და დაქტილის გამოყენება აქტიურად ხდება, ბავშვებს დაქტილს 3 წლის ასაკიდან ასწავლიან.

**ზოგადად, ბავშვის მიერ დაქტილის ათვისების პროცესში 3 საფეხურს/ეტაპს გამოყოფენ:**

***პირველი ეტაპი*** - ბავშვი დაქტილის გამოყენებას ჟესტის მსგავსად ცდილობს, ანუ, ცალკეულ დაქტილს მთლიან სიტყვასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ამავე ეტაპზე ბავშვი უკვე დაქტილის გარკვეულ ასპექტებს იყენებს, ის ჯერ კიდევ არ იცავს სიტყვასთან დაქტილის ზუსტ მიმართებასა და თანმიმდევრობას (არ არის ზუსტი კავშირი სიტყვის შემადგენელ ასოებსა და დაქტილს შორის);

***მეორე ეტაპი*** - ბავშვი იაზრებს, რომ დაქტილით გამოსახული სიტყვა ხელის მოძრაობის ცალკეული კონფიგურაციისგან შედგება და სპეციფიკურ თანმიმდევრობას გულისხმობს. ბავშვი უკვე ცალკეულ ასოს გამოხატავს დაქტილით;

***მესამე ეტაპი*** - ბავშვი დაქტილის სინთეზს ახდენს; ის იყენებს დაქტილს არა როგორც ცალკეულ ელემენტს, არამედ როგორც ერთ მთლიანს სიტყვასთან მიმართებით.

ბავშვის მიერ დაქტილის ადრეული ასაკიდან ათვისებას ხელს უწყობს მის ყოველდღიურ გარემოში წარწერების, სიტყვების ორთოგრაფიული ხატების არსებობა, წიგნთან ხშირი ურთიერთობა

და ჟესტების ცოდნა. წერილობით წარმოდგენილ სხვადასხვა დასახელებაზე, საზოგადოებრივ წარწერებზე, აბრებზე ბავშვის ყურადღების მიმართვით უფროსებმა დამწერლობის მიმართ ინტერესი უნდა გაუღვივონ და დამწერლობის არსის გააზრებაში დაეხმარონ.

ბავშვისთვის ფუნქციური დატვირთვის და მნიშვნელობის მქონე ნაწერ მასალაზე (მაგ.,მისი საყვარელი საკვების ან სასმელის შეფუთვა, მარკეტის დასახელება და სხვა) ყურადღების მიმართვა ზრდის ბავშვის ინტერესს დამწერლობის მიმართ, უჩენს სიტყვების წაკითხვის მოტივაციას და ხელს უწყობს დამწერლობის (წერილობითი ენის) მნიშვნელობის ინტერნალიზებას. სწორედ ფუნქციური, ბავშვისთვის მნიშვნელობის მატარებელი ნაწერი მასალის გამოყენებაა მიზანშეწონილი ბავშვისთვის დაქტილის ეტაპობრივად გასაცნობად.

დაქტილის არსის გაგება ბავშვმა შეიძლება საკუთარი სახელით დაიწყოს, რადგან ყველა ბავშვი იჩენს ინტერესს საკუთარი სახელის დაწერის და წაკითხვის მიმართ. მაგალითად, შეგიძლიათ ბავშვის სურათის ქვეშ მისი სახელი დაწეროთ; გამოიყენეთ შედარებით მოზრდილი ასოები მათ შორის გარკვეული სივრცის დატოვებით ისე, რომ სიტყვის მთლიანობა არ დაირღვეს. გამოსახეთ ბავშვის სახელის ცალკეული ასო დაქტილით, დაეხმარეთ გამეორებაში. ხშირად გაიმეორეთ აღნიშნული მოქმედება და  იგივე განახორციელეთ ოჯახის წევრების სახელებთან მიმართებითაც. მიზანშეწონილია ამ პერიოდისთვის ბავშვმა უკვე იცოდეს საკუთარი და ოჯახის წევრების სახელების ჟესტური შესაბამისობა.

გამოიყენეთ დაქტილი ბავშვისთვის წიგნების კითხვის დროსაც. გაამახვილეთ ყურადღება ჟესტებს, ნაბეჭდ სიტყვას, დაქტილსა და ასოებს შორის. მიუთითეთ ილუსტრირებულ ობიექტზე, გამოსახეთ ის ჟესტით, შემდეგ მიუთითეთ მთლიან სიტყვაზე (სიტყვის ორთოგრაფიულ ხატზე) და სიტყვის  თითოეულ ასოზე მითითების პარალელურად, აჩვენეთ ბავშვს შესაბამისი დაქტილი; ბოლოს კვლავ ობიექტის აღმნიშვნელი ჟესტს და მთლიან სიტყვას დაუბრუნდით.  მიზანშეწონილია დაქტილზე მუშაობის დაწყება იმ სიტყვებთან  მიმართებით, რომელთა  ჟესტური შესაბამისობა და მნიშვნელობა  ბავშვმა უკვე იცის.

სკოლამდელ ასაკში ხელი უნდა შეეწყოს შემდეგი უნარების განვითარებას ჟესტურ ენაში:

- ცალკეული ხშირად გამოყენებული ჟესტების გაგება და გამოყენება;
- 3-4 ჟესტის კომბინაციის და  სახის შესაბამის მიმიკის გამოყენება;
- ჟესტების თანმიმდევრობის გამოყენება სემანტიკური კავშირის საჩვენებლად (მაგ.: დედა მუშაობს);
- მარტივი წინადადების კონსტრუქციების გამოყენება;
- კლასიფიკატორების გამოყენება საგნების საჩვენებლად/გამოსახატავად;
- კითხვითი ფორმების გამოყენება როგორც ჟესტებზე, ასევე სახის მიმიკაზე დაყრდნობით;
- მარტივი კითხვების დასმა ჟესტურ ენაზე შესაბამისი სახის მიმიკის გამოყენებით;

- ნაცვალსახელების გამოყენება;
- საკუთარი სახელის დაქტილით გამოსახვა (შესაძლოა ოჯახის წევრების სახელების ან საგნების გამოსახვაც შეეძლოს დაქტილით);
- თანატოლების ჟესტურ სახელების გამოყენება;
- დაქტილის დანიშნულების გააზრება და მის გამოყენება;
- ზმნის მოდიფიცირება ჟესტის მოძრაობის შეცვლით ან/და სახის მიმიკით სიტყვის გარკვეული ასპექტების დასაზუსტებლად (მაგ.: „სიარული“-„სწრაფი სიარული“);
- შედარებით რთული მოყვანილობის/ფორმის ჟესტების გამოყენება;
- კი/არა კითხვების განსაზღვრა სახის გამომეტყველების, მიმიკის მიხედვით;
- უარყოფის/არდათანხმების გამოხატვა „არა“ ჟესტით;
- მონაწილეობა ნაცნობ თემებზე წარმართულ საკომუნიკაციო სიტუაციებში, მარტივი ინფორმაციის გაგება და გადმოცემა ჟესტურ ენაზე.

<u>ფონოლოგიური ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა</u>

ფონოლოგიური ცნობიერება წარმოადგენს ბგერების აღქმას/მიღებას და მათი მანიპულირების შესაძლებლობას. შესაძლებელია განსხვავებული იყოს ფონოლოგიური ცნობიერების მაგალითი სხვადასხვა ასაკსა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ადრეულ ფონოლოგიურ უნარებს მიეკუთვნება იმის გაცნობიერება, რომ განსხვავებული საგანი და არსება სხვადასხვა ხმას გამოსცემს, მაგალითად წყლის ხმა განსხვავდება ქარის ხმისგან, მტვერსასრუტის ხმა განსხვავდება თმის საშრობის ხმისგან, ძაღლის ხმა განსხვავდება ცხენის ხმისგან და ა.შ.

მომდევნო ეტაპზე ფონოლოგიური ცნობიერება გულისხმობს იმის ცოდნას, რომ წინადადება შედგება სიტყვებისაგან. ფონოლოგიური უნარების მაგალითი ასევე შეიძლება იყოს როგორც რითმების ამოცნობა და გამოყენება (მაგ: „ბეკო ბეკო ბე, კარი გამიღე“, „ფისუნია კატა, მაგიდაზე ახტა“ და ა.შ.), ასევე სიტყვაში მარცვლების ან/და ბგერების ამოცნობა და მარცვლებისა და ბგერების გამთლიანება (ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი) მაგ.: კატა-ს პირველი ასო არის „კ“, ბოლო ასო არის „ა“; ან: მარცვლების „კა-ტა“ და ასოების „კ-ა-ტ-ა“ გამთლიანება სიტყვა „კატა“-ს მისაღებად; სიტყვების გაერთიანება „წყალი“, „ბურთი“ - „*წყალბურთი*“. ასევე სიტყვაში მარცვლების, ბგერების გამოტოვება, ჩანაცვლება, დამატებაც სწორედ ფონოლოგიური უნარების შემადგენელი ნაწილია.

კვლევების თანახმად, თუ ბავშვს 4-5 წლის ასაკისთვის უჭირს ამოიცნოს ასოები სიტყვებში, ვერ იაზრებს და აწარმოებს რითმებს, უჭირს სიტყვების ერთმანეთთან შედარება, განსხვავებისა და მსგავსების პოვნა, მას დიდი ალბათობით მომავალში კითხვისა და წერის ათვისების მნიშვნელოვანი სირთულეები ექნება; ფონოლოგიური ცნობიერება და ფონოლოგიური უნარები კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორებია წიგნიერების უნარისა და კითხვის წარმატებულად ათვისებისთვის,

როგორც სმენის მქონე, ასევე ყრუ და სმენდაქვეითებულ ბავშვებში (Dickinson & Neuman, 2006, Colin, Magnan, Ecalle, & Leybaert, 2007; Spencer & Oleson, 2008 ).

ტიპური სმენის მქონე ბავშვებს ზოგჯერ ყოველგვარი დამატებითი აქტივობებისა და სავარჯიშოების გარეშე აქვთ კარგი ფონოლოგიური უნარები, რადგან მათი ყოველდღიური ცხოვრება ხშირად მოიცავს ისეთ თამაშებს და საქმიანობებს, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული უნარების განვითარებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ფონოლოგიური უნარები აუდიტორული, ანუ სმენითია, ნათელია, რომ მათი განვითარება სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში რისკის ქვეშ არის. თუმცა, ფონლოგიური ცნობიერების განვითარება სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში განსხვავებულად შეიძლება წარიმართოს.

<u>ფონოლოგიური უნარების განვითარება დაქვეითებული სმენის და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებში</u>

თუ ბავშვს ნარჩენი სმენა აძლევს საშუალებას, მიიღოს გარკვეული ინფორმაცია სმენითი არხის მეშვეობით, მას შესაძლებელია კარგად ესმოდეს გარკვეული ბგერები და შეძლოს მათ შორის განსხვავება-მსგავსების პოვნა; თუმცა, ვინაიდან დამხმარე ტექნოლოგიების საშუალებით მიღებული სმენა არ უტოლდება ტიპურ სმენას, განსხვავება აღქმაში მაინც არსებობს და იგი ფონოლოგიურ უნარებზე მნიშვნელოვნად აისახება. მაგალითად ერთი-ერთი კვლევის თანახმად, იმ ბავშვებს, რომლებიც ადრეული ასაკიდან იყენებდნენ კოხლეარულ იმპლანტს, მაინც აღენიშნებოდათ ფონოლოგიური უნარების დეფიციტი (Mayberry et al., 2011).

გასათვალისწინებელია, რომ ვიდრე ბავშვი მარცვლებისა და სიტყვების გარჩევას ისწავლის, მას უნდა შეეძლოს გაარჩიოს ბუნებრივი ხმები, როგორიც არის, მაგალითად: ტექნიკა (მტვერსასრუტი, წყლის წვეთების ხმა ონკანში და სხვ.), ტრანსპორტის ხმა, ბუნებრივი მოვლენების ხმა (ქარი, წვიმის ხმა, ჭექა-ქუხილი და ა.შ.), ასევე სათამაშოების და მუსიკალური ინსტრუმენტებს ხმები და ცხოველებისა და ადამიანების ხმები (კნავილი, ყეფა, ჭიხვინი, სიცილის ხმა, ტირილის ხმა, ტაშის დაკვრა).

მას შემდეგ, რაც ფონოლოგიური ცნობიერება ყალიბდება, ტიპური სმენის მქონე ბავშვებს შეუძლიათ ბგერებით მანიპულირება. მათ იციან, რომ სიტყვის შეცვლა და ახალი სიტყვის წარმოქმნა შეიძლება ერთი ბგერის შეცვლით. ცხოვრების მომდევნო ეტაპზე აღნიშნული უნარი მათ კითხვის ათვისებაში ეხმარება. როდესაც ბავშვმა იცის, რომ სიტყვა „კარი“ განსხვავდება სიტყვა „ქარისგან“ პირველი ბგერის ჟღერადობის ცვლილების გამო, კითხვის პროცესში სიტყვის ამოკითხვა და შინაარსის გაგება მარტივდება, რადგან აღნიშნული სიტყვები უკვე არსებობს მის ლექსიკურ მარაგში. ეს უნარი მისთვის მისაწვდომია, რადგან ის კომუნიკაციისა და კითხვისთვის ერთსა და იმავე ენას იყენებს. ნამდვილი კითხვა და წაკითხულის გაგება/გააზრება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც

ადამიანს შეუძლია სიტყვის მარტივად დეკოდირება და სიტყვის მნიშვნელობის დაკავშირება წაკითხულის კონტექსტთან.

სმენდაქვეითებული ბავშვებისთვის ფონოლოგიური ცოდნის შეძენის პროცესი მეტად „გამჭვირვალეა“, ვიდრე ყრუ ბავშვებისთვის. ასეთ ბავშვებს ნარჩენი სმენის საშუალებით აქვთ წვდომა ზეპიმეტყველებაზე და გარკვეულ ბგერებზე, რაც მათ შესაძლებლობას აძლევთ უშუალოდ გააკეთონ სიტყვის ფონოლოგიური ანალიზი, ანუ, გაიაზრონ, რისგან შედგება სიტყვა, როგორ წარმოქმნან ახალი სიტყვა დ ა.შ. თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სმენის დარღვევის მქონე ყველა ადამიანს არა აქვს წვდომა სამეტყველო ბგერებზე მხოლოდ სმენითი არხის მეშვეობით. შესაბამისად, მათ ხშირად სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებისთვის ვიზუალური, ტაქტილური და კინესთეტიკური ნიშნებით.

ყრუ და სმენდაქვეითებულ ბავშვებთან სმენითი, ვიზუალური, ტაქტილური და კინესთეტიკური არხების გამოყენება ფონოლოგიური ცოდნის განვითარებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად ითვლება; თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ბავშვი ინდივიდუალური შესაძლებლობების მქონეა და სტრატეგია სწორედ ბავშვის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებზე მორგებით უნდა განისაზღვროს. ერთმა ბავშვმა შესაძლებელია აითვისოს სმენითი არხის მეშვეობით, მაშინ როდესაც მეორე ბავშვისთვის მხოლოდ ვიზუალურად და ტაქტილურად მიწოდებული ინფორმაციაა მისაწვდომი. ხშირად მულტიმოდალური სტრატეგია ყველაზე მეტად ეფექტურია.

<u>ფონოლოგიური უნარების განვითარება ყრუ ბავშვებში</u>

როგორც ვნახეთ, იმ ბავშვებთან მიმართებით, რომელთაც საკმარისი ნარჩენი სმენა აქვთ ან კოხლეარული იმპლანტით სარგებლობენ, ფონოლოგიური ცნობიერების ხელშეწყობა ბგერების აღქმის გაძლიერებას მოიცავს. ყრუ ბავშვებთან, რომლებიც იყენებენ ჟესტურ ენას, ფონოლოგიური ცნობიერება დაქტილის (ვიზუალური ანბანი) გაცნობას გულისხმობს, რაც შემდგომში ნაწერ ასოსა და დაქტილს შორის კავშირის გააზრებასა და ანბანის სწავლაში ეხმარება. ამრიგად, ყრუ ბავშვების შემთხვევაში ხმოვანი ბგერები ვიზუალური ასპექტებით - დაქტილით ნაცვლდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყრუ ბავშვებისთვის ერთ-ერთი უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს სიტყვის ფონოლოგიური მახასიათებელების დაკავშირება სიტყვის მნიშვნელობასთან. მაგალითად, დაქტილით ან წერილობითი ფორმით მიწოდებული სიტყვა კ-ა-ტ-ა, შესაძლებელია საერთოდ არ ასოცირდებოდეს ოთხფეხა ფუმფულა ცხოველთან, რადგან ყრუ ბავშვს არ ჰქონდა შესაძლებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში დაემყარებინა მათ შორის კავშირი (როგორც ეს სმენის მქონე ბავშვის შემთხვევაშია - კატის დანახვის დროს ის ისმენს სიტყვა „კატას“).

ვინაიდან ყრუ ბავშვებს არ აქვთ წვდომა სმენითი არხით მიღებულ ბგერებზე, ფონოლოგიური ცოდნის განვითარების მიზნით სასურველია მოხდეს მათთან დაქტილისა და გრაფემების გამოყენება

და  აქცენტების გამახვილება მათ შორის შესატყვისობაზე. აღიშნული მნიშვნელოვნად ეხმარება ყრუ ბავშვს გააანალიზოს, რომ სიტყვა (მთლიანი ჟესტი) შედგება ბგერებისგან (დაქტილისგან), რომლებიც შეესაბამება კონკრეტულ ასოებს/გრაფემებს და უაღრესად მნიშვნელოვანია უკვე წინასასკოლო პერიოდში. აღნიშნული კავშირის გასაძლიერებლად ერთდროულად  უნდა განხორციელდეს სიტყვების ფონოლოგიური და სემანტიკური (შინაარსობრივი) ანალიზი  (Stanovich, 1994) - ,,ბავშვმა დაინახა კატა'', პარალელურად მიაწოდეს სიტყვის დასახელება ჟესტურ ენაზე და ასევე მიაწოდეს დაქტილით.

ამრიგად, სწორედ დაქტილი წარმოადგენს ყრუ ბავშვის მიერ „ფონოლოგიური" კოდირების უნარის განვითარებისა და ანბანის ათვისების პირობას.

<u>ფონოლოგიური უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები:</u>

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი აქტივობები სასარგებლოა სმენის მქონე ბავშვებისთვისაც. აქტივობების პრინციპი ერთი და იგივეა; ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს როგორც მცირე, ასევე შედარებით დიდ ასაკობრივ ჯგუფში და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურადაც. გამომდინარე იქიდან, თუ რომელ სენსორულ არხს იყენებს ბავშვი ინფორმაციის მისაღებად, ერთმანეთისგან განსხვავდება აქტივობები ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებისთვის.

***სწორი ხმის პოვნა*** - ბავშვები თვალდახუჭული ისმენენ მუსიკალური ინსტრუმენტის ან სხვადასხვა ნივთის ხმას (ხის კოვზი, რკინის კოვზი, ბოთლში ჩაყრილი ლობიო, გიტარა და ა.შ.) და უნდა შეუსაბამონ იგი სათანადო საგანს.

***ხმების განსხვავება*** - ორ ბოთლში ჩაყრილია განსხვავებული მასალა (რკინის ბურთები და შუშის ბურთები); აღმზრდელი ასმენინებს ბავშვებს აღნიშნულ ხმებს და ჯგუფი განიხილავს, თუ რა ტიპის განსხვავებაა ამ ხმებს შორის და რომელი ეკუთვნის რკინის ბურთებით გამოწვეულ ხმას და რომელი - შუშის ბურთებით გამოწვეულ ხმას. განხილვის შემდეგ ბავშვები ხუჭავენ თვალებს, აღმზრდელი აჩხარუნებს ერთ-ერთ ბოთლს და ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ბოთლის ხმაა.

***მოცდის თამაში კონკრეტულ სიტყვაზე-*** ბავშვები ასრულებენ სახალისო აქტივობას მას შემდეგ, რაც უფროსი იტყვის კონკრეტულ სიტყვას, მაგ.: „ერთი, ორი, სამი, წავიდა". ასევე შესაძლებელია თამაში, რომლის დროსაც ბავშვები სხვადასხვა აქტივობას აკეთებენ სხვადასხვა სიტყვაზე; მაგალითად, როდესაც გაიგებენ სიტყვას „გოგო", უნდა ახტნენ, როდესაც გაიგებენ სიტყვას „გოლიათი", უნდა დასხდნენ იატაკზე და ა.შ.

***რითმები, ლექსები, ისტორიები*** - რითმების გამოყენება ეხმარება სმენის დარღვევის მქონე ბავშვს მეტყველების რითმული ბუნების აღქმაში, ასევე აძლევს მას შესაძლებლობას, გაიმეოროს ერთი და იგივე ფრაზა, რაც დასწავლაში უწყობს ხელს და ეხმარება აკონტროლოს საკუთარი ხმა და

ინტონაცია. მოსმენის დროს აღქმული ბგერები, რითმებში არსებული განსხვავებები და მსგავსებები კი ფონოლოგიური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

***როლური თამაში*** - როლური თამაში შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ენის, ასევე მეტყველების განსავითარებლად. შესთავაზეთ ბავშვებს ისეთი როლური თამაში, რომლის დროსაც დიალოგის წარმოება, სიტყვაში ბგერების გარჩევა, სინტაქსის გამოყენება იქნება საჭირო, ასევე აუცილებელი იქნება სხვადასხვა ხმით ლაპარაკი (მაგ.: ბოხი და წვრილი ხმით, გაბრაზებული და ბედნიერი ხმით და ა.შ.).

***სიმღერა და მუსიკა*** - სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სიმღერა მეტყველების განვითარების, ხმის კონტროლის კარგი სავარჯიშოა. სიმღერის მოსმენის დროს ასევე საჭიროა ფონოლოგიური ანალიზი, რაც აღნიშნული უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

***ჟესტისა და დაქტილის განსხვავება*** - დაქტილის ვიზუალური ხატი გამოკრულია კედელზე ბავშვების მხედველობის არეში. გიორგიმ უკვე იცის, რომ მისი სახელი ჟესტურ ენაზე გამოისახება ერთი კონკრეტული ჟესტით; თუმცა, ჯერ არ იცის, რომ მისი სახელი ასევე დაქტილითაც გამოისახება. მისი ფოტოს ქვეშ უფროსი და გიორგი ერთად აკრავენ სახელის შესაბამის დაქტილს (შესაბამისი დაქტილის ამსხველი ბარათები წინასწარ არის მომზადებული) და თან თითებით გამოსახავენ მას. ასევე, შეიძლება დაქტილის გამოძერწვა საძერწით და ფოტოს ქვეშ განთავსება. ბავშვმა უნდა გააცნობიეროს, რომ სიტყვა შედგება ასოებისგან - ამისათვის დაქტილისგან შეგვიძლია გამოვიყენოთ ვიზუალური მინიშნებები; მაგ., ბავშვი უყურებს მზის ნახატს, უფროსი გამოსახავს მას ჟესტურ ენაზე, ხოლო ნახატის ქვეშ სამი ცარიელი გრაფაა, რომელიც მიუთითებს, რომ აღნიშნული სიტყვა იშლება ასოებად; უფროსი აჩვენებს ბავშვს დაქტილით „მ“ ასოს, სთხოვს მას, იპოვოს აღნიშნული დაქტილი მის წინ დალაგებულ დაქტილის ბარათებს შორის და ჩასვას პირველ გრაფაში.

***გამოცნობანა*** - უფროსი აჩვენებს ბავშვს დაქტილით სიტყვას „თხილი“. შემდეგ ცდილობს აუხსნას აღნიშნული სიტყვა სხვადასხვა საშუალებით: ვიზუალურად, მიმიკით, ჟესტური ენის გამოყენებით (ეუბნება, რომ იგი უყვარს თაგვს, ციყვს, მას სჭირდება გატეხა, სანამ შეჭამ და ა.შ.). როდესაც ბავშვი გამოიცნობს სიტყვას, უფროსი და ბავშვი ერთად გამოსახავენ მას დაქტილით, ხატავენ თხილს, შესაბამის დაქტილს ან იღებენ ფოტოებს. შემდეგ უფროსი ეკითხება ბავშვს, კიდევ რა იცის მან თხილის შესახებ, უყვარს თუ არა და ა.შ.

***დაბალი და მაღალი ხმა*** - აღმზრდელი აძლევს ბავშვებს ინსტრუქციას „მე დავუკრავ ტაშს“ (შესაძლებელია ტაში ჩანაცვლდეს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტით), როდესაც ტაშს დავუკრავ, ხმადაბლა იარეთ ფეხის წვერებზე; თუ ტაშს დავუკრავ ხმამაღლა - იარეთ ჩვეულებრივად; თუ ტაშს დავუკრავ ძალიან ხმამაღლა, ირბინეთ. აღნიშნული დავალება კარგია სმენის მქონე ბავშვებისთვისაც.

ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ ნარჩენი სმენა, არ ხუჭავენ თვალებს, ხმოვანის ნაცვლად ვიზუალური მინიშნებები ეძლევათ, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ; მაგ.: სხვადასხვა დაქტილი სხვადასხვა ინსტრუქციასთან მიმართებით. აღნიშნულით ბავშვები დაქტილის ერთმანეთისგან გარჩევას და ამასთანავე, ვიზუალური ყურადღების მართვას და ეფექტურად გამოყენებას სწავლობენ.

***სახელების დამახსოვრება*** - ბავშვები სხდებიან სკამზე, პირველი მონაწილე ასახელებს თავის სახელს და იმ ბავშვის სახელს, რომელიც მისგან ხელმარცხნივ ზის. ინსტრუქცია შემდეგია „დათო, თქვი შენი სახელი და იმ ბავშვის სახელი, რომელიც შენ გვერდით ზის და დაიმახსოვრე"; მეორე ბავშვი ასახელებს იმავე პრინციპით გვერდით მჯდომის სახელს. მას შემდეგ, რაც მთელი ჯგუფი იტყვის თავის და გვერდით მჯდომის სახელს, აღმზრდელის ხმოვან ნიშანზე (ხმისთვის აღმზრდელი იყენებს რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტს ან ბოთლში ჩაყრილ წიწიბურას), ბავშვები დგებიან და გადაადგილდებიან ოთახში. აღმზრდელი კვლავ იყენებს ინსტრუმენტს. მის ხმაზე ბავშვები უნდა დასხდნენ იმ ბავშვის გვერდით, ვის გვერდითაც თავიდან ისხდნენ და უნდა დაასახელონ მათი სახელი.

ყრუ ბავშვი გვერდით მჯდომი თანატოლის ჟესტურ სახელს გამოსახავს, ხოლო ხმოვანის ნაცვლად მას ვიზუალური მინიშნება ეძლევა.

## კომუნიკაციასა და ენასთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრა

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან სწორედ გარშემომყოფებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება, ენობრივი უნარები (ლექსიკური მარაგი, ცნებების ფორმირება), გარემოში არსებულ ინფორმაციაზე მისაწვდომობა წარმოადგენს ძირითად გამოწვევას, რაც მათ შემდგომ უკვე სასკოლო ასაკში საგნობრივი ცოდნის მიღებასა და აკადემიური წარმატების მიღწევაში უქმნის ბარიერს.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სასწავლო-განმავითარებელი პროცესის მისაწვდომობა, პირველ რიგში, ენობრივი ბარიერების შემცირებას და მათთვის მისაწვდომი საკომუნიკაციო ფორმის გამოყენებას გულისხმობს.

ამრიგად, საგანმანათლებლო გარემოში წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია:

- მისაწვდომობა კომუნიკაციაზე (კომუნიკაციის დამყარება თანატოლებთან, უფროსებთან)
- მისაწვდომობა ენაზე (ინფორმაციის მიღება და გაცემა).

სკოლამდელი პერიოდისთვის უკვე კარგად ჩანს ბავშვის ენობრივი შესაძლებლობები და ასევე, შეიძლება იმის პროგნოზირებაც, თუ რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდება ის სამომავლოდ სკოლაში.

შესაბამისად, სასკოლო მზაობის პერიოდის პასუხისმგებლობაა, სწორად განსაზღვროს ბავშვის ენასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებები და აღნიშნული მიმართულებით მის განვითარებას შეუწყოს ხელი.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს სმენა ხმოვანი ენის აღქმისა და გამოყენების შესაძლებლობას არ აძლევს, მაშინ აუცილებელი ხდება ზეპირი მეტყველებისგან განსხვავებული საკომუნიკაციო საშუალებების და ენის გამოყენება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

ქვემოთ მოცემულია ამონარიდი მოთხრობიდან, რომელიც 100 სამეტყველო ერთეულისგან შედგება და აქედან 50% დაფარულია. თქვენ გევალებათ მოთხრობის წაკითხვა და მოთხრობის ბოლოში დართულ კითხვებზე პასუხის გაცემა. ახლა წარმოიდგინეთ სმენის დარღვევის მქონე ბავშვი, რომლისთვისაც სმენის შეზღუდვის მიზეზით მიწოდებული ინფორმაციის 50% მისაწვდომი არ არის.

[redacted] მოთხრობა და [redacted] მის [redacted]

[redacted] (ზარბარა [redacted] მიხედვით)

*„ერთ [redacted] ქალაქში პატარა [redacted] ცხოვრობდა. [redacted] [redacted] ერქვა და ძალიან [redacted] [redacted]. მოსწონდა [redacted] [redacted] [redacted] ლამაზი [redacted], საზეიმო [redacted] თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ [redacted] [redacted] ჰქონდა [redacted] ნამდვილი [redacted] [redacted] არასოდეს [redacted]. იმ [redacted] სადაც [redacted] ცხოვრობდა, იშვიათად [redacted] [redacted] [redacted]. მათი [redacted] დროს მთელი [redacted] უცებ [redacted] ხოლმე. [redacted] ძველ [redacted] ფერად [redacted] აკრავდნენ. [redacted] ლამაზი [redacted] ეხატა. ქუჩაში, მაღაზიაში, [redacted] სახლში... ყველგან [redacted] ეკერათ [redacted] გაუთავებლად [redacted] მუსიკაზე, [redacted] და მოცეკვავეების [redacted]. [redacted] ყურადღებით [redacted] ამ საუბრებს. [redacted], საკუთარი [redacted] ენახა ნამდვილი [redacted] [redacted]"*

1. რისი გაკეთება გევალებათ?
2. ვინ არის ავტორი (სახელი, გვარი)?
3. როგორი ქალაქი იყო?

4. ვინ ცხოვრობდა ქალაქში, რა ერქვა მას სახელად?
5. სად და რას აკრავდნენ?
6. რაზეა ეს მოთხრობა?
7. დაასათაურეთ მოთხრობა.

ენის „შენება“ შესაბამისი კომუნიკაციური სტრატეგიებით უნდა მოხდეს, კომუნიკაციური სტრატეგიები იმ მნიშვნელოვან ბლოკებს წარმოადგენენ, რომლითაც ენა შენდება. ამრიგად, ბავშვისთვის ყველაზე მისაწვდომი ენის განსაზღვრა და შესაბამისი კომუნიკაციური სტრატეგიების შერჩევა-გამოყენება, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობის პროცესში.

ბავშვთან საკომუნიკაციო მოდალობის და ენის შერჩევა მისი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს სფეროს სპეციალისტთა ერთობლივი გადაწყვეტილებით და მშობლების აქტიური მონაწილეობით.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოდალობის (ქართული ზეპირი მეტყველების (ხმოვანი ენის) თუ ქართული ჟესტური ენის) გამოყენება მოხდება, მიზანს ბავშვის მიერ ენის, როგორც შემეცნებისა და აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის ინსტრუმენტის გამოყენების უნარის განვითარება უნდა წარმოადგენდეს. თავის მხრივ, საკომუნიკაციო ენის შერჩევა პედაგოგიკური მიდგომების და ბავშვთან მუშაობის სტრატეგიების შერჩევასაც განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ ენის არჩევანი შეიძლება იყოს დროებითი, რადგან ბავშვის საჭიროებები და შესაძლებლობები დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვის მიერ სმენის გამოყენების და ზეპირი მეტყველების აღქმის უნარი, ისევე, როგორც სამეტყველო შესაძლებლობები შეიძლება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს და მას აღარ დასჭირდეს ჟესტური ენა, რომელსაც ის იყენებდა ან პირიქით, სხვადასხვა მიზეზის გამო ბავშვის სმენის შესაძლებლობა და ზეპირი მეტყველების გაგება-გამოყენების შესაძლებლობა შეიძლება საკმარისად არ განვითარდეს და აუცილებელი გახდეს ჟესტური ენის გამოყენება. ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური საჭიროებების შეფასება N 2 დანართის სახით არის წარმოდგენილი.

## წიგნიერების წინარე უნარების განვითარების ხელშეწყობა

როგორც ვიცით, სასკოლო მზაობის პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს წიგნიერების წინარე უნარების განვითარების ხელშეწყობა, რაც სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან მიმართებით განსაკუთრებულ გამოწვევასა და, შესაბამისად, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

სმენის დარღვევის გავლენით ხშირ შემთხვევაში სწორედ ენობრივი უნარების განვითარება იზღუდება, რაც, თავის მხრივ, უკვე სასკოლო ასაკისთვის კითხვისა და წერის უნარის ათვისებას აყენებს რისკის ქვეშ.

გამომდინარე იქიდან, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს სხვებთან ზეპირი კომუნიკაცია-ინტერაქციის და სხვების მოსმენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ, ხშირად უფროსებთან ერთობლივი კითხვის შესაძლებლობა და გამოცდილებაც მწირი აქვთ, რადგან წიგნის ერთობლივი კითხვა საზიარო ენის ფლობას და ეფექტიან კომუნიკაციას მოითხოვს. როდესაც კითხვისა და თხრობის პროცესი სმენის დარღვევის მქონე ბავშვზე მორგებული არ არის, ის აღნიშნულ პროცესში ვერ ერთვება და, შესაბამისად, წიგნის მიმართ ინტერესსაც კარგავს. ამრიგად, სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში სმენის დარღვევის მქონე ბავშვები განსაკუთრებულ მხარდაჭერას კითხვის წინარე უნარების განსავითარებლად საჭიროებენ.

## წიგნების კითხვის/ამბების გადმოცემის საზიარო გამოცდილება

აღმზრდელებს, სპეციალისტებს და მშობლებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით შეუძლიათ სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ჩართვა წიგნების კითხვის/ამბების თხრობის პროცესში. სწორედ წიგნთან ერთობლივი ურთიერთობის შედეგად (იქნება ეს ზეპირი მეტყველებით თუ ჟესტურ ენაზე კონკრეტული ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით), ეძლევათ ბავშვებს ენობრივი და წიგნიერების წინარე უნარების განვითარების და ენის „მიღების“ შესაძლებლობა. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ ერთობლივი კითხვა უფროსსა და ბავშვს/ბავშვებს შორის ინტერაქტიულ პროცესად იქცეს.

წიგნების ერთობლივად კითხვა სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში შეიძლება ხორციელდებოდეს დღეში რამდენჯერმე როგორც ინდივიდუალურად, ასევე ბავშვების მცირე ჯგუფთან (მაქსიმუმ 4-5 ბავშვი). მიზანშეწონილია, რომ ჯგუფებში სმენის შეზღუდვის მქონე და სმენის მქონე მათი თანატოლები ერთად მონაწილეობდნენ.

იმისათვის, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის წიგნთან ურთიერთობა სასიამოვნო, ინტერაქტიულ და სტრესისგან თავისუფალ პროცესად იქცეს, მნიშვნელოვანია:

- ✓ ხელშემწყობი კონტექსტით უზრუნველყოფა
- ✓ წიგნების/საკითხავი მასალის სწორად შერჩევა
- ✓ სმენის დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენება.

<u>კითხვის კონტექსტი</u>

წიგნების საზიარო კითხვისას მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური, ასევე ხელშემწყობი ფსიქო-სოციალური გარემოს უზრუნველყოფა. უმჯობესია, წიგნების ერთობლივ კითხვას დღეში რამდენჯერმე დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდები დაეთმოს, ვიდრე იგი ხანგრძლივ და ბავშვისთვის დამღლელ პროცესად იქცეს. გასათვალისწინებელია, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის ყურადღების ხანგრძლივი დროით კონცენტრირება საკმაოდ რთულია; როგორც ნარჩენი/არსებული სმენის ეფექტურად გამოყენება დაქვეითებული სმენის და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების, ასევე, ინფორმაციის მისაღებად ძირთადად ვიზუალურ არხზე დაყრდნობა ყრუ ბავშვების შემთხვევაში საკმაოდ დიდ ფსიქიკურ ენერგიასა მოითხოვს. ამასთანავე, სკოლამდელი ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში, შესაძლოა არასაკმარისად იყოს განვითარებული ვიზუალური კომუნიკაციის, ვიზუალური „მოსმენის“ და ყურადღების მართვის უნარები, რომლებიც ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოდგენს.

წიგნების და მათი კითხვის პროცესის მიმართ სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ინტერესის გასაღვივებლად მნიშვნელოვანია წიგნთან აქტივობის ინიცირების დროს უფროსებმა დადებითი ემოციები გამოავლინონ და იმის დემონსტრირება მოახდინონ, რომ სიხარულით ელოდებიან ბავშვთან/ბავშვებთან ერთად წიგნის წაკითხვას.

რეკომენდებულია, რომ ჯგუფში ორგანიზებული იყოს საკითხავი თემატური კუთხე, რომელიც ბავშვებს კითხვის პროცესისადმი მზაობას და შესაბამის განწყობას შეუქმნის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გარემოში ზედმეტი ვიზუალური (მაგ.: კედლებზე ბავშვის მხედველობის ველში სხვადასხვა ვიზუალური სტიმული, პოსტერი, სურათები) და აუდიოგამღიზიანებლები (გვერდითა ჯგუფიდან, ფანჯრიდან შემომავალი ხმები და სხვა) მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ბავშვებმა უნდა შეძლონ საკუთარი ვიზუალური თუ აუდიოუნარების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება და ყურადღების მიმართვა წიგნებისა და მთხრობელისკენ.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები მკითხველის სიახლოვეს ისხდნენ და ხმოვანი და ვიზუალური ინფორმაცია მაქსიმალურად მისაწვდომი იყოს მათთვის. ბავშვებს მკითხველის/მთხრობელის და ერთმანეთის სრულყოფილად დანახვის და მოსმენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. საჭიროების შემთხვევაში, მკითხველმა ჟესტების ბავშვის სხეულზე გამოყენებაც უნდა შეძლოს.

ამასთანავე, რეკომენდებულია საკითხავ კუთხეში ან ზოგადად ჯგუფში „ბიბლიოთეკის“ მოწყობა, რომელიც ბავშვებისთვის მისაწვდომი იქნება და წიგნების შერჩევის შესაძლებლობასაც მისცემს მათ.

<u>წიგნების შერჩევა</u>

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებთან კითხვისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი წიგნები/ტექსტები საინტერესო და მიმზიდველი ილუსტრაციებით, შედარებით მარტივი მოქმედებათა ჯაჭვითა და გამოკვეთილი პერსონაჟით/პერსონაჟებით.

საწყის ეტაზე სასურველია წიგნი არ იყოს ტექსტით გადატვირთული და მხოლოდ ერთ- ან რამდენიმესიტყვიან წინადადებებს შეიცავდეს (შესაძლოა ტექსტი საერთოდ არც იყოს მოცემული). სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის შერჩეული წიგნი ენისა და ლექსიკის თვალსაზრისით შესაძლოა შედარებით მარტივი იყოს. წიგნების შერჩევისას მნიშვნელოვანია ისეთი მახასიათებლების გათვალისწინება, როგორიცაა: ტექსტის მოცულობა (სასურველია არ იყოს ძალიან დიდი), წინადადებების სიგრძე (სასურველია იყოს შედარებით მოკლე და მარტივი), სიტყვები (ნაცნობი და ხშირად განმეორებადი სიტყვები), ნაბეჭდის ფორმატი/სტილი (სასურველია იყოს შედარებით მოზრდილი და ადვილად გასარჩევი ასოებით), ვიზუალური მხარე (სასურველია იყოს დიდი და საინტერესო ილუსტრაციები), შინაარსობრივი მხარე (უნდა იწვევდეს ბავშვის ინტერესს, იძლეოდეს სიუჟეტის გარშემო კითხვების დასმის შესაძლებლობას, შესაძლებელი იყოს დაკავშირება ბავშვის გამოცდილებასთან).

სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის კითხვის ადრეულ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განჭვრეტადი ამბების და განმეორებადი ტექსტების/სიუჟეტის შემცველი წიგნების გამოყენება. განმეორებადი ამბის მაგალითია (მოვლენის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობასაც იძლევა) „რწყილი და ჭიანჭველა“, „კომბლე“...არაქართული ლიტერატურიდანაც ბევრი საინტერესო ტექსტის შერჩევა და ბავშვისთვის ქართულ ენაზე მომზადებაა შესაძლებელი (მაგალითად, „ძალიან მშიერი მუხლუხო“). ამასთანავე, მიზანშეწონილია ისეთი ლიტერატურული მასალის გამოყენებაც, რომლის მიხედვით ანიმაციებიც არის დამზადებული და ბავშვებისთვის სიუჟეტი გარკვეულწილად ნაცნობია და ან წაკითხვამდე შეიძლება გავხადოთ ნაცნობი.

წიგნი ხელს შეუწყობს მკითხველს/მთხრობელსა და ბავშვს შორის ინტერაქციას, თუ ის:

- ✓ ეძღვნება ბავშვისთვის საინტერესო თემას
- ✓ მოიცავს მიმზიდველ ილუსტრაციებს
- ✓ კავშირშია ბავშვის უშუალო გამოცდილებასთან
- ✓ ილუსტრაციები ჩანს დისტანციიდანაც (რაც ჯგუფური კითხვის დროს არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი)
- ✓ შეიძლება მრავალჯერ იყოს წაკითხული
- ✓ კავშირშია ბავშვის განვითარების დონესთან (კითხვის/თხრობის პროცესი მორგებულია ბავშვის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე)

კვლევების თანახმად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის ერთი და იმავე ლიტერატურული ნაწარმოების განმეორებითი კითხვა ეხმარება მას ტექსტის, სიუჟეტის გააზრებაში; პირველი და მეორე

წაკითხვის დროს ის შესაძლოა უფრო მსმენელის/მაყურებლის როლში იყოს (რაც არ ნიშნავს, რომ ჩართული და დაინტერესებული არ არის მიმდინარე პროცესით), ხოლო ყოველ შემდეგ წაკითხვაზე უფრო აქტიური მსმენელის და თხრობაში მონაწილის როლი მიიღოს.

## სმენის დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენება

ზრდასრულების მიერ ბავშვებისთვის ხმამაღლა კითხვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია ნებისმიერი ბავშვის წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის კუთხით და განსაკუთრებული როლი აქვს სმენის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში.

კითხვის წინარე უნარებზე მუშაობისას უფროსები სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის როლურ მოდელს წარმოადგენენ, აჩვენებენ, როგორ გამოხატონ რეაქცია შინაარსზე, როგორ გადმოსცენ წიგნში ასახული ამბავი.

ერთობლივი კითხვის დროს წიგნში წარმოდგენილი სიუჟეტის შესაბამისად მოქმედება, როლური თამაშები ეხმარება ბავშვებს იმის გააზრებაში, რომ მოთხრობებს გარკვეული შინაარსი და მიმდინარეობა გააჩნია. წაკითხული წიგნების მოსმენა/ჭვრეტა, მათ გარშემო საუბრები, კითხვა-პასუხები, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება ეხმარება ბავშვებს ამბის, სიუჟეტის გააზრებაში.

დაქვეითებული სმენის და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვები განსაკუთრებულ სარგებელს იღებენ ხმამაღალი კითხვის შედეგად ფონოლოგიური უანრ-ჩვევების, ინტონაციის განვითარების თვალსაზრისით. ბავშვებისთვის ხმამაღლა კითხვის პროცესში აღმზრდელებსა და სპეციალისტებს შეუძლიათ სხვადასხვა ფონოლოგიური სავარჯიშოს, აქტივობის ინტეგრირება, რომელიც კონტექსტთან იქნება დაკავშირებული (მაგ.: ხმების იმიტაცია, სახელდება).

მნიშვნელოვანია, რომ ხმამაღალი კითხვის დროს უფროსმა მაქსიმალურად გამოიყენოს მიმიკა და სხეულის ენა, ცვალოს ინტონაცია, ემოციები, მოახდინოს მოდელირება, გაამარტივოს ენა და ა.შ. მსგავსი ტექნიკის გამოყენება წიგნის შინაარსს/სიუჟეტს მისაწვდომს, გასაგებს და საინტერესოს გახდის სმენის დარღვევის მქონე იმ ბავშვებისთვისაც, რომელთაც საკმაოდ მწირი ლექსიკური მარაგი და სმენის საშუალებით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ.

მნიშვნელოვანია ბავშვისთვის წიგნის წინასწარ გაცნობა (ყდა, სათაური, ილუსტრაციები, მთავარი გმირი/გმირები) და წიგნის მიმართ გარკვეული მოლოდინის შექმნა, ინტერესის გაღვივება. საწყის ეტაპზე წიგნთან ურთიერთობა მხოლოდ მისი დათვალიერებით, ილუსტრაციებზე ყურადღების გამახვილებით შეიძლება დაიწყოს.

მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ ბავშვი იგებს შინაარსს. მიუთითეთ ცალკეულ სურათზე/ილუსტრაციაზე ან/და ცალკეულ სიტყვაზე და სთხოვეთ მას პასუხის დაბრუნება

მითითებით, ჟესტით ან სიტყვიერად. დაუსვით ბავშვს კითხვები ცალკეულ პერსონაჟზე, წიგნზე. მაგალითად, ილუსტრაციებზე დაყრდნობით შეიძლება ვკითხოთ, თუ რაზე ან ვისზეა წიგნი და საკუთარი ვარაუდების გამოთქმის შესაძლებლობა მივცეთ მას. ამასთანავე, უშუალოდ კითხვის/თხრობის დროს მნიშვნელოვანია პერიოდულად შეჩერება, ამბის შეწყვეტა და ბავშვისთვის სიუჟეტის გარშემო კითხვების დასმა, რომლებიც ყოველ ჯერზე უფრო კომპლექსური და მრავალფეროვანი შეიძლება გახდეს (მაგ.: „რატომ“, „ვინ“, „რა“, „სად“, „როდის“ „როგორ ფიქრობ“ „რას გრძნობ “); ამასთანავე, დროთა განმავლობაში მეტ სპეციფიკურ დეტალზე შეიძლება გამახვილდეს ყურადღება და ცალკეულ სიტყვებზე, ანუ ტექსტის ბეჭდურ მხარეზე მოხდეს მინიშნება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებსაც მიეცეთ კითხვების დასმის, ტექსტის, ამბის წინასწარ განჭვრეტის და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა. მათ შესაძლოა ამბის საკუთარი განვითარება და დასასრულიც შექმნან; მთავარია აზროვნების, ფიქრის და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის, შემოქმედებითობის სტიმულაცია.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის კითხვისას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შინაარსის დაკავშირება მის პირად გამოცდილებასთან (მაგ.: თუ წიგნში ძაღლზეა საუბარი, გაახსენეთ, სად და როდის ნახა ძაღლი, რა ფერის იყო, რას ჭამდა, როგორ ხმებს უშვებდა და ა.შ.); გარდა ამისა, როდესაც ბავშვი ცალკეულ სიტყვას ასახელებს ზეპირად თუ ჟესტით, მნიშვნელოვანია მისი ლექსიკური მარაგის გაფართოება სიტყვების და წინადადების უფრო გართულებით (მაგ.: თუ ბავშვმა თქვა ან ჟესტით გამოსახა „ძაღლი“, დაამატეთ: „ჰო, ეს დიდი ყავისფერი ძაღლია“). ამასთანავე, მიზანშეწონილია სხვადასხვა ფონოლოგიური და ჟესტური თამაშების ინტეგრირებაც.

ყრუ ბავშვების შემთხვევაში „ხმამაღლა კითხვა“ ფუნქციურად განსხვავებულ ფორმას იღებს და, როგორც წესი, ჟესტურ ენაზე ხორციელდება. შესაბამისად, ამ ტექნიკას/სტრატეგიას ხმამაღალი კითხვის ნაცვლად „ამბის გაჟესტვასაც“ უწოდებენ. ამბის გაჟესტვისას ტექსტი ჟესტურ ენაზეა წარმოდგენილი. ტექსტის კითხვისას უფროსი მას ხმოვანი სიტყვების ნაცვლად ჟესტების საშუალებით გადმოსცემს და ამგვარად ხდის „ხმოვანს“ და მისაწვდომს ყრუ ბავშვისთვის. კვლევების თანახმად, მათთვის ყველაზე მისაწვდომ - ჟესტურზე ენაზე კითხვა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კითხვის უნარის განვითარებისთვის. ამასთანავე, ჟესტების გამოყენება ზეპირი მეტყველების თანხლებად ნარჩენი სმენისა და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების შემთხვევაშიც საკმაოდ დიდი სარგებლის მომტანია, რადგან ხდება ხმოვანი სიტყვის ვიზუალიზაცია, თანაც ბავშვს სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში ეხმარება.

ფუნქციურად ყრუ ბავშვისთვის „ხმამაღლა“ კითხვას, ანუ, იმავე „ამბის გაჟესტვას“ მრავალმხრივი სარგებლის მოტანა შეუძლია, ის:

- ბავშვს აძლევს საშუალებას, დააკავშიროს კითხვა ჟესტურ ენასთან, რაც ხელს უწყობს განიხილოს კითხვა არა როგორც რაიმე განყენებული და მისთვის ძალიან რთული, არამედ როგორც მისაწვდომი პროცესი;
- უზრდის ბავშვს ტექსტზე, შინაარსზე წვდომას, ეხმარება ტექსტის მიზნის, მნიშვნელობის გააზრებაში და ჟესტური ენის საშუალებით რთავს ამბების გადმოცემის პროცესში;
- ფუნქციურ კონტექსტში უზრუნველყოფს ბავშვს ჟესტური ენის მოდელით, აძლევს ჟესტური ენის გამოყენების გამოცდილებას;
- აფართოებს ბავშვის ჟესტური ენის რეპერტუარს - ლექსიკას, აწვდის ცოდნას ჟესტური ენის სინტაქსზე, ჟესტების გამოყენების სტილზე;
- ქმნის ენობრივ ხიდს, რომლის საშუალებითაც ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ, დააკავშირონ ჟესტური და მეორე ენა (ბეჭდური) ერთმანეთთან;
- ზრდის თხრობის მოტივაციას;
- ახდენს წიგნის გამოყენების მოდელირებას და უზრდის ბავშვს წიგნების მიმართ ინტერესს;
- ქმნის ხელსაყრელ კონტექსტს უფროსსა და ბავშვს შორის ინტერაქციისთვის.

ყრუ ბავშვებისთვის „ხმამაღლა კითხვისას“ სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებაა შესაძლებელი, მაგ.: ამბის ვიდეოჩანაწერის შექმნა (საკუთარი თავის გადაღება ამბის ჟესტურად გადმოცემისას) და იმის გამოყენება.

არსებობს სპეციალური სტრატეგიები, რომლებიც ამბების გაჟესტვისას ანუ „ჟესტურად კითხვისას“ გამოიყენება. მაგალითად, მკითხველმა/მთხრობელმა ხელების მოძრაობები (ჟესტები), მიმიკა და წიგნი ბავშვის მხედველობის არეში უნდა შეინარჩუნოს; საგნის/მოქმედების ასახსნელად, მისი დასახელების სასწავლებლად ჟესტის გამოყენება ილუსტრაციის სიახლოვეს უნდა მოხდეს.

მთხრობელმა მზერა ილუსტრაციაზე უნდა მიმართოს და დაეხმაროს ბავშვს მზერის იმავე ობიექტზე/ილუსტრაციაზე გადატანაში. ამასთანავე, მიზანშეწონილია დაქტილის გამოყენებაც - სიტყვის ჟესტურად გამოსახვა და შემდეგ მისი დაქტილად დაშლა, ხოლო შემდეგ ისევ ნაბეჭდ სიტყვასა და შესაბამის სურათზე/ილუსტრაციაზე მითითება და მისი ჟესტით გამოსახვა.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს დახმარება გაეწიოს უფროსის მიერ დემონსტრირებული მოქმედებების გამეორებასა და ჟესტის ილუსტრაციასთან დაკავშირებაში. ჟესტის პარალელურად მიზანშეწონილია ილუსტრაციაზე გამოსახული საგნის/პერსონაჟის თუ მოქმედების სახელდება/გახმოვანება.

**საკუთარი წიგნების შექმნა**

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების საკუთარი წიგნების შექმნაში ჩართვა ენობრივი და წიგნიერების განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიად არის მიჩნეული. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს წიგნების მიმართ ინტერესის გაღვივებას, მათი ფუნქციის გააზრებას, ამბების

გადმოცემის/თხრობის უნარების განვითარებას, დამწერლობის გაცნობას და წერის წინარე უნარების განვითარებას.

წიგნების შექმნა შეიძლება განხორციელდეს როგორც ჯგუფურად რაიმე საერთო და საინტერესო თემაზე (მაგ., სასკოლო მზაობის პროგრამის თემებთან, დღის მანძილზე განხორციელებულ აქტივობებთან, სხვადასხვა ღონისძიებასთან მიმართებით), ასევე ინდივიდუალურად, ბავშვის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული (მაგ.: ბავშვის ოჯახი, შინაური ცხოველები და სხვა) თემის გარშემო.

როგორც წესი, საკუთარი წიგნების შექმნა ბავშვების ყოველდღიურ და კარგად ნაცნობ კონტექსტს ეხება, რომელიც თემატურ ფოტომასალას ან და ბავშვების ნახატებს ეფუძნება. ამრიგად, რეკომენდებულია სხვადასხვა ადგილებში ვიზიტების თუ სხვადასხვა აქტივობის/ღონისძიების დროს ფოტოსურათების გადაღება ან/და ნახატების შექმნა, რომლებიც შემდგომში ბავშვების წიგნების ილუსტრაციებად იქცევა.

უფროსების დახმარებით ბავშვებმა უნდა შეძლონ თემასთან დაკავშირებული ამბის  დალაგება მოვლენების მიხედვით, სწორი თანმიმდევრობის შერჩევა, რაშიც მათ ვიზუალური მასალაც დაეხმარება. უფროსების დახმარებით ბავშვებმა წიგნს ყდა უნდა გაუკეთონ, დაასათაურონ, შესაძლოა გვერდებიც დანომრონ და  აკინძონ.

ბავშვები უნდა წახალისდნენ, რომ საკუთარი ხელით შექმნილი წიგნები თანატოლებს გააცნონ; ამასთანავე, წიგნების წაღება შესაძლებელია სახლში,  რაც სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს საბავშვო ბაღის გარემოში მომხდარი მოვლენების და მიღებული გამოცდილების ოჯახის წევრებისთვის გაცნობა-გაზიარებაში დაეხმარებათ.

## შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა

### ესთეტიკა და კულტურა

ესთეტიკა და კულტურა წარმოადგენს ბავშვის უნარს, გადმოსცეს და გამოხატოს საკუთარ თავი. ძალზე მნიშვნელოვანია სმენის დარღვევის მქონე ბავშვმა წარმოადგინოს საკუთარი თავი, ოჯახი და კულტურა და გააცნოს იგი სხვა თანატოლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყრუ ადამიანებს თავიანთი თემი, ტრადიციები და კულტურა აქვთ. როდესაც სმენის დარღვევის მქონე ადამიანი ხვდება ჯგუფში, სადაც უმრავლესობა სმენის მქონეა, მნიშვნელოვანია მოხდეს კულტურის გაცნობა, გამოცდილებისა და შეხედულებების გაზიარება. სმენის დარღვევის  მქონე ბავშვებს უფროსების დახმარებით უნდა განუვითარდეთ მიკუთვნებულობის განცდა, როგორც კონკრეტული თემის, ასევე ზოგადად სოციუმის მიმართ. მათ უნდა ჰქონდეთ სიამაყის განცდა იმის გამო, ვინც და რა კულტურის წარმომადგენლებიც

არიან. აუცილებელია სახლში, ბაღსა და თუ სხვა დაწესებულებაში განხორციელდეს აქტივობები, რომლებიც აღნიშნულ პროცესს შეუწყობს ხელს.

**აღნიშნული მიმართულებით შემდეგი აქტივობების გამოყენებაა შესაძლებელი:**

- ფოტოები საკუთარი თავის წარსადგენად - აღმზრდელი აძლევს ბავშვს დავალებას, გააცნოს ჯგუფს საკუთარი თავი ფოტომასალის გამოყენებით. ბავშვი სახლში მშობლებთან ერთად არჩევს რამდენიმე ფოტოს (3-4), რომელიც მოაქვს ბაღში. აღმზრდელი უწევს საჭირო მხარდაჭერას ბავშვს საკუთარი თავის სხვებისთვის გაცნობაში, ავტობიოგრაფიის, საკუთარი ისტორიის გადმოცემაში (მაგ.: როდის დაისწავლა ჟესტური ენა ან როდის გაუკეთდა სასმენი აპარატი ან კოხლეარული იმპლანტი და ა.შ.).
- ფოტოალბომი „ჩემი ოჯახი“ - აღმზრდელი ეხმარება ბავშვს გააცნოს სხვებს საკუთარი ოჯახი ფოტოალბომის, ნახატების, გამოძერწილი ფიგურების მეშვეობით. თითოეული ბავშვი გადმოსცემს ამბავს თავისი ოჯახის წევრების შესახებ, აღწერს, ახასიათებს მათ.
- ჩემი ოჯახის ტრადიციები - აღმზრდელი აძლევს ბავშვებს დავალებას მოამზადონ თემა - „ჩემი ოჯახის ტრადიციები“. ბავშვები თავად არჩევენ, თუ რაზე სურთ აქცენტის გაკეთება.

აუცილებელია, უფროსის (აღმზრდელის, სპეციალური პედაგოგის) მხარდაჭერა აღნიშნული თემების შექმნისა და წარდგენის პროცესში.

აღნიშნული აქტივობები უაღრესად მნიშვნელოვანია სმენის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში, რადგან ეხმარება მათ საკუთარი თავისებურებების და კულტურის გაზიარებაში, თავდაჯერებულობის გაზრდაში, იდენტობის ჩამოყალიბებაში. ასევე, ზრდის სხვა ბავშვების მიმღებლობას სმენის დარღვევის მქონე ბავშვების მიმართ.

## მათემატიკური წარმოდგენები

მათემატიკური წარმოდგენები ადრეული ასაკიდანვე ფორმირდება; 3-4 წლის ბავშვს შეუძლია გადათვალოს განსაზღვროს გარკვეული რაოდენობის საგნები მაგ.: ორი შოკოლადის ფილა, ბევრი სათამაშო და ა.შ. შეუძლია მარტივი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და დასახელება.

მათემატიკური წარმოდგენების ფორმირებისთვის აუცილებელია სივრცითი მიმართებების ცოდნა, ვიზუალურ-სივრცითი უნარების განვითარება. ვიზუალურ-სივრცითი უნარი წარმოადგენს შესაძლებლობას, ადამიანმა აღიქვას მის გარშემო არსებული სივრცითი მიმართებები (შორს/ახლოს და ა.შ.), წარმოსახვით (გონებაში) მოახდინოს ობიექტის როტაცია სივრცეში, აღიქვას და დაიმახსოვროს სივრცითი მიმართებები ობიექტებს შორის. იგი საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს გარემოსთან მიმართებით საკუთარი მდებარეობის, მანძილის, ზომის განსაზღვრა, გამოიყენოს რუკა, აღიქვას წინადადების სტრუქტურა კითხვის დროს.

კვლევების თანახმად, სმენის დარღვევის მქონე ადამიანებს აქვთ კარგად განვითარებული ვიზუალური სივრცითი უნარების გარკვეული ასპექტები; მათ შეუძლიათ ობიექტის როტაცია გონებაში, ობიექტების მარტივად ამოცნობა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ცნობენ სახეებს სწრაფად. თუმცა, ყრუ ადამიანებს გარკვეული სირთულეებიც აქვთ სივრცითი უნარების მხრივ. მათ უჭირთ ისეთი ცნებების დასწავლა, როგორიც არის მარჯვენა, მარცხენა და, შესაბამისად, მარჯვნივ, მარცხნივ, შორს, ახლოს, გუშინ, ხვალ და ა.შ. აღნიშნული ცნებების დასწავლა მათ უჭირთ არა ვიზუალურ-სივრცითი აღქმის , არამედ ცნებების გაგების სირთულის გამო. მნიშვნელოვანია, ადრეული ასაკიდანვე მოხდეს სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის სივრცითი მიმართებების განმარტება, რაც შეიძლება მეტი თვალსაჩინოების მიწოდება და ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც დასჭირდება ამ მიმართებების გამოყენება.

**აღნიშნული მიმართულებით შემდეგი აქტივობების გამოყენებაა შესაძლებელი:**

- სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ ერთ ხაზზე და შეასრულონ ინსტრუქციები: ახლა ყველანი გადავხტეთ მარჯვნივ, გადავდგათ ნაბიჯი უკან, ყველამ ავწიოთ მარჯვენა ხელი და ა.შ. ყრუ ბავშვს ინსტრუქცია უნდა მიეწოდოს ჟესტურ ენაზე. თამაშის გართულების შემთხვევაში შესაძლებელია ინსტრუქციები და დავალება კონკრეტულ ფერს უკავშირდებოდეს, მაგალითად, მწვანე ბარათზე ყველა უნდა გადახტეს მარჯვნივ, წითელზე - აწიოს ხელი და ა.შ. ამ შემთხვევაში სივრცითი მიმართებების გარდა, მუშა მეხსიერების განვითარების პროცესიც იქნება ჩართული.
- სთხოვეთ ბავშვს, დაასახელოს, ვინ ზის მის მარჯვნივ, ვინ დგას მის მარცხნივ, ვინ დგას ყველაზე შორს, ახლოს და ა.შ.
- შესთავაზეთ აქტივობა, რომლის დროსაც ბავშვმა წარმოსახვით უნდა განსაზღვროს სივრცითი მიმართებები. მაგ.: ალუჩა უფრო დიდია თუ ვაშლი? თქვენი აზრით, რამდენი ბურთი ჩაეტევა ამ ჩანთაში? ბავშვების პასუხების შემდეგ თავად მოახდინეთ დემონსტრირება.

## ზოგადი ცოდნა

**სააზროვნო უნარები (ლოგიკური აზროვნება)**

აზროვნება არის უნარი ადრე მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციასთან მისადაგების, რაიმე საკითხის გადაჭრის მიზნით დასკვნების გამოტანის, სხვადასხვა ცნებას შორის ლოგიკური კავშირების დამყარების, მიღებული ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის, ინფორმაციის ანალიზის და ა.შ.

**მეხსიერება**

იმისათვის, რომ ადამიანმა მიიღოს ინფორმაცია, გადაამუშაოს იგი, შეიძინოს ახალი უნარები, გამოიყენოს დასწავლილი ინფორმაცია, იმსჯელოს და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები, ესაჭიროება მეხსიერება. მეხსიერება იყოფა რამდენიმე შემადგენელ კომპონენტად:

- ხანმოკლე მეხსიერება - მიღებული ან დასწავლილი ინფორმაცია ადამიანს ამახსოვრდება რამდენიმე წუთი;
- ხანგრძლივი მეხსიერება - მიღებული ან დასწავლილი ინფორმაცია ადამიანს ამახსოვრდება ხანგრძლივი დროით;
- ოპერატიული/მუშა მეხსიერება - ადამიანს შეუძლია მიღებული ინფორმაციის შენახვის პარალელურად მისი დამუშავება და გამოყენება.

ხანმოკლე და მუშა მეხსიერების განვითარების ხელშეწყობა უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისთვის, რადგან იგი ისეთ პროცესებში მონაწილეობს, როგორიცაა: ლექსიკური მარაგის გაზრდა, მიმართული ენისა და მეტყველების აღქმა, წერისა და კითხვის უნარების ათვისება, მათემატიკური ოპერაციების განხორციელება, ყურადღების კონცენტრირება და ა.შ. ყრუ და სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ხანმოკლე და განსაკუთრებით მუშა მეხსიერება გარკვეულ თავისებურებებთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის გადამუშავების განსხვავებული მოდალობის გამო მუშა მეხსიერების გავარჯიშება ყრუ ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ნაკლებად უწევთ, შესაბამისად, მათი მუშა მეხსიერების მოცულობა შევიწროებულია. კვლევების მიხედვით, კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების შემთხვევაშიც მუშა მეხსიერების მოცულობა მცირედით განსხვავდება ტიპური სმენის მქონე ბავშვების მუშა მეხსიერების მოცულობისგან.

მეხსიერების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სემანტიკური მეხსიერება, რაც გულისხმობს ზოგადი ცნებებისა და ხატების არსებობას. მაგალითად სიტყვა „დათვის“ მოსმენაზე ადამიანი სემანტიკუად აკავშირებს აღნიშნულ სიტყვას სხვადასხვა ცნებასთან - დათვი არის ოთხფეხა ცხოველი, ცხოვრობს ტყეში, არსებობს თეთრი და შავი დათვი, შესაძლებელია შეგვხვდეს ზოოპარკში და ა.შ. სმენის მქონე ადამიანს სმენის დარღვევის მქონე ადამიანთან შედარებით უპირატესობა აქვს გარემოს მხრიდან მსგავსი კავშირების დასამყარებლად. სმენის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში მსგავსი კავშირების შექმნას კონკრეტული სტრატეგიების გამოყენება სჭირდება. კვლევების თანახმად, ინფორმაციის და დასწავლილის მუდმივი და ხშირი გამეორება ერთ-ერთი ძლიერი ამის ხელშემწყობი ფაქტორია.

მუშა მეხსიერებას უკავშირდება ისიც, რომ ხშირად სმენის დარღვევის მქონე ადამიანებს უჭირთ ერთდროულად ორი ან მეტი ნიშნის გათვალისწინება, უჭირთ, მაგალითად, ჩამოთვალონ ცხოველები, რომლებიც დარბიან სწრაფად და თან არიან ბალახის მჭამელები. ეს იმით არის განპირობებული, რომ ლექსიკური, სემანტიკური ცნებები მეხსიერებაში ნაკლებად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სმენის დარღვევის მქონე ადამიანებს ასევე უჭირთ განზოგადება, დასწავლილი ინფორმაციის გამოყენება სხვა კონტექსტში.

აღნიშნული გამოწვევების გადალახვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სპეციალური სტრატეგიის გამოყენებას ადრეული ასაკიდანვე, რაც დაეხმარება ბავშვს მოზრდილობასა და ზრდასრულობაში. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგადი სტრატეგიები:

- სწავლების პროცესში თვალსაჩინო მასალების გამოყენება
- ახალი ცნებების ახსნა, მათი სემანტიკური კავშირების განხილვა და მსგავსი კავშირების წარმოქმნა
- ახალი ინფორმაციის მრავალჯერადი გამეორება და გადამუშავება სხვადასხვა კონტექსტში
- უკვე დამახსოვრებული ინფორმაციის ხშირი გამეორება, აღდგენა და გადამუშავება სხვადასხვა საკითხსა და კონტექსტთან დაკავშირებით
- ერთი და იმავე ცნების განხილვა სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, იმის ნათლად აქცენტირება, რომ ცნება შესაძლებელია განსხვავებულ კატეგორიებს მიეკუთვნებოდეს
- ახალი ინფორმაციის მიწოდებისას არსებულ ცოდნასა და წინარე გამოცდილებასთან მისი დაკავშირების ხელშეწყობა

**მუშა მეხსიერების განვითარების ხელშეწყობის აქტივობები ყრუ და სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის:**

- <u>დახატე საგანი -</u> ერთ სივრცეზე განლაგებულია სხვადასხვა საგანი (საგნების რაოდენობა განისაზღვრება ბავშვების შესაძლებლობების მიხედვით); მაგ.: ფანქარი, საშლელი, ყვავილი, მცირე ზომის ბურთი და ა.შ. გარკვეული დროის განმავლობაში ბავშვები სხვადასხვა მხრიდან უყურებენ აღნიშნულ საგნებს, შემდეგ აღმზრდელი გადააფარებს მათ ნაჭერს და სთხოვს ბავშვებს, დახატონ ეს საგნები. გართულებული ვერსია: ბავშვები ხატავენ საგნებს იმ თანმიმდევრობით რა თანმიმდევრობითაც არის ისინი დალაგებული.
- <u>დამალული საგნის ამოცნობა</u> - ბავშვებს წინ უდევთ რამდენიმე ამობრუნებული ბარათი; აღმზრდელი უხსნის ბავშვებს საგანს მისი სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით მაგ.: „ზაფხულში მწვანეა, შემოდგომაზე ყვითელი, ზამთარში კი მას იშვიათად შევხვდებით. რა არის? - ფოთოლი“. ყრუ ბავშვს ინფორმაცია მიეწოდება ჟესტურ ენაზე. გართულებული ვერსია - ჯგუფში ბავშვები მონაცვლეობით იღებენ თითო ბარათს, რომელსაც მხოლოდ ისინი ხედავენ და უხსნიან სხვა მონაწილეებს ბარათის შინაარსს.
- <u>დაწყვილება</u> - აღნიშნული თამაში ტარდება წყვილში. ბავშვებს წინ უდევთ ამობრუნებული ბარათები (20 ან 30, რომელშიც შესაბამისად 10 ან 15 იდენტური ბარათია გაფანტულად დალაგებული); ბავშვები მონაცვლეობით ატრიალებენ ორ ბარათს და იმახსოვრებენ აღიშნულ ბარათებსა და მათ ადგილმდებარეობას; თუ ბავშვს შეხვდება ბარათი, რომლის იდენტური

ბარათის ადგილმდებარეობაც ახსოვს, აწყვილებს ამ ბარათებს  და ინახავს მათ.  მოგებულია, ვისაც უფრო მეტი წყვილი იდენტური ბარათი ექნება.

**ყურადღება**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშა მეხსიერება სხვადასხვა ინფორმაციის პარალელურად გადამუშავებისთვის საჭირო უნარია. ყურადღება კი, თავის მხრივ, წარმოადენს პროცესს, რომელიც ვლინდება შემეცნებითი პროცესების ერთი მიმართულებით წარმართვაში.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს შესაძლოა ყურადღების სირთულეები ჰქონდეთ. მაგალითად, კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვისთვის რთულია სმენითი ყურადღების ხანგრძლივად შენარჩუნება საწყის ეტაპზე, ამიტომ სხვადასხვა აქტივობითა და სავარჯიშოთი ხდება მისი განვითარება. განსაკუთრებით რთულია ყურადღების შენარჩუნება სასმენი აპარატის და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვისთვის ხალხმრავალ და ხმაურიან გარემოში ან მაშინ, როდესაც სმენითი ინფორმაციის მიწოდება დიდხანს გრძელდება.

ასევე დიდი გამოწვევის წინაშე დგანან ყრუ ბავშვები, როდესაც მრავალფეროვან ვიზუალურ გარემოში უნდა მოახდინონ ყურადღების კონცენტრირება მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, რომელიც ჟესტების საშუალებით მიეწოდებათ. აღნიშნული სირთულე განსაკუთრებით ხალხმრავალ გარემოში იჩენს თავს. მაგალითად,  ყრუ ბავშვმა უნდა შეძლოს ყურადღების მობილიზება აღმზრდელზე ან ჟესტური ენის თარჯიმანზე, მაშინ როდესაც ოთახში შეიძლება ბავშვები გადაადგილდებოდნენ, შეიძლება გაიღოს კარი ან გამოჩნდეს სხვა რაიმე გამღიზიანებელი, რომელიც ავტომატრად გამოიწვევს ყურადღების გადატანას. ამ დროს შესაძლებელია ბავშვმა აღმზრდელის ან ჟესტური ენის თარჯიმნის მიერ მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოტოვოს.

**ყურადღების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები ყრუ და  სმენდაქვეითებული ბავშვებისთვის:**

- <u>კონკრეტულ სიტყვაზე კონკრეტული მოქმედება</u> – აღნიშნული თამაში შეიძლება გამოვიყენოთ ლექსიკური მარაგის გაზრდის პროცესშიც. ჩამოთვალეთ კონკრეტული სიტყვები (2-3), რომელთაც უნდა მოჰყვეს კონკრეტული აქტივობა, მაგ.: სიტყვა „ბურთი“ - ყველა ხტება, სიტყვა „სკამი“ - ყველა ჯდება,  სიტყვა „ცა“ - ყველა წევს ხელებს მაღლა. აღნიშნული თამაში შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მცირე, ასევე დიდ ჯგუფებში ხანმოკლე ან ხანგრძლივი დროით. სასმენი აპარატის მქონე ბავშვებს აღნიშნული დავალება მიეწოდებათ ზეპირად, ხოლო ყრუ ბავშვებს - ჟესტურ ენაზე.
- <u>არასწორი სიტყვის პოვნა</u> - აღმზრდელი და ბავშვები თანხმდებიან 5 სიტყვაზე, რომელიც აღმზრდელმა უნდა გაიმეოროს 2 წუთის მანძილზე. ახალი დამატებითი სიტყვის თქმაზე ბავშვებმა სასტვენში უნდა ჩაბერონ. გართულებულ ვერსიაში შესაძლებელია გაიზარდოს დრო

და დამატებითი სიტყვა ჟღერადობით (ან ხელის მოძრაობით) ჰგავდეს ერთ-ერთ სიტყვას 5 სიტყვიდან. სასმენი აპარატის მქონე ბავშვებს აღნიშნული დავალება მიეწოდებათ ზეპირად, ხოლო ყრუ ბავშვებს - ჟესტურ ენაზე.

- <u>მნიშვნელოვანი ინფორმაციის დიფერენცირება -</u> თამაში, რომლის დროსაც შესაძლებელია ჩართული იყოს ხმადაბალი მუსიკა ან გამოყენებული იყოს სხვა ტიპის ხმაური (მაგ., ფანჯარიდან შემოსული ხმა). ამ დროს აღმზრდელი ამბობს სიტყვებს ან წინადადებებს (რაც ბავშვის შესაძლებლობით განისაზღვრება), რომელიც უნდა გაიმეოროს სმენის დარღვევის მქონე ბავშმა. ყრუ ბავშვთან მიმართებით აღნიშნული დავალების მოდალობა იცვლება და ჟესტურ ენაზე მიწოდებული ინფორმაციის პარალელურად მიმდინარეობს ვიზუალური გამღიზიანებლის ჭარბად მიწოდება.

**მიზეზ-შედეგობრიობა და ლოგიკური კავშირების დამყარება**

ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს უჭირთ ინფორმაციის ერთმანეთთან სემანტიკურად/შინაარსობრივად დაკავშირება, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ხშირად მათთვის პრობლემაა კატეგორიზაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ასევე ფერხდებიან სხვადასხვა საკითხზე ერთდროულად მსჯელობისას, უძნელდებათ განზოგადება. განსაკუთრებით ყრუ ადამიანებს სჭირდებათ სხვადასხვა საკითხის მრავალჯერადი განხილვა სხვადასხვა კონტექსტში, რათა მოხდეს განზოგადება. სმენის დარღვევის მქონე ადამიანების შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული უნარების განვითარების ხელშეწყობა ადრეული ასაკიდან, რადგან ადამიანები შეიმეცნებენ და სწავლობენ სწორედ მათი გამოყენებით. მაგალითად, თუ „ღამურა“ არის ახალი ფრინველი ბავშვისთვის, რომელსაც აქვს გარკვეული წინარე ცოდნა, იგი მას მიაკუთვნებს ფრინველს, რომელიც არის გარეული, ჰგავს თაგვს, დაფრინავს მხოლოდ ღამე, სძინავს თავდაყირა და ა.შ. სმენის დარღვევის მქონე და განსაკუთრებით ყრუ ბავშვების შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის მრავალფეროვნად დამუშავება, რათა შემდეგ ბავშვებმა თავად შეძლონ დამოუკიდებლად გარკვეული ცნებების ერთმანეთთან დაკავშირება. სასმენი აპარატის ან კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების შემთხვევაში, სირთულეები ნაკლებად შესამჩნევია, თუმცა მათაც სჭირდებათ ინფორმაციის მრავალმხრივ დამუშავება.

ყრუ და სმენდაქვეითებული ბავშვებისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს აბსტრაქტული ცნებების ათვისება. იმ პირობებში, როდესაც მისაწვდომობა ცნებებთან ფაქტობრივად არ არსებობს, ამ უნარის განვითარება კიდევ უფრო რთულდება. სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის განსაკუთრებით ადრეულ ასაკშია გაუგებარი აბსტრაქტული ცნება, რადგან არ შეიძლება მისი ვიზუალურად წარმოდგენა, ხოლო კონტექსტში მისი გამოყენება იშვიათად ხდება.

**აქტივობები სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ლოგიკური კავშირების დამყარების ხელშეწყობის მიზნით:**

- სხვადასხვა და რამდენიმე ნიშნის გათვალისწინებით ობიექტების დაჯგუფება - სთხოვეთ ბავშვებს, ერთ მხარეს დააჯგუფონ რქიანი და ბალახისმჭამელი ცხოველები და მეორე მხარეს - გრძელკუდიანი და ხორცისმჭამელი ცხოველები;
- მიეცით ბავშვს სხვადასხვა ბარათი და სთხოვეთ იპოვოს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ბარათები, მაგალითად: ჩოგანი და ბურთი, მატარებელი და ლიანდაგი, თერმომეტრი და წამალი. ლოგიკური კავშირების ბარათები თანდათანობით გაართულეთ;
- მოთხრობის წარდგენის დროს შეჩერდით და სთხოვეთ ბავშვებს წინასწარი ვარაუდები გამოთქვან მოსალოდნელ გაგრძელებასთან დაკავშირებით, მაგალითად: „თქვენი აზრით, რას ეტყვის ბაჭია დათვს?“ „რატომ ფიქრობთ ასე?“ „რატომ მოიქცა დათვი ასე“ და ა.შ.

## გონების თეორია

კვლევების თანახმად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს ხშირად უჭირთ სხვისი მდგომარეობის გათვალისწინებით და სხვისი პოზიციიდან ინფორმაციის გადამუშავება. სმენის მქონე და სმენის დარღვევის მქონე ადამიანის სოციალურ-ემოციური ფუნქციონირება მცირედ განსხვავებულია, ამიტომ ხშირად საერთო შინაარსის მატარებელი ინფორმაცია მათ მიერ შეიძლება განსხვავებულად აღიქმებოდეს, რაც არასწორი კომუნიკაციის მიზეზი ხდება.

გონების თეორია გულისხმობს ადამიანის უნარს, გაითვალისწინოს და გაიაზროს სხვა ადამიანის მენტალური/ფსიქიკური მდგომარეობა, როგორიცაა რწმენა, სურვილი, მოლოდინი, მათ შორის, სხვა ადამიანის კონკრეტული მოლოდინი კონკრეტულ სიტუაციაში. კვლევების თანახმად, თუ სმენის მქონე ადამიანს გონების თეორიის უნარები განვითარებული აქვს 4-5 წლის ასაკში, ყრუ ადამიანის შემთხვევაში ეს უნარები იმავე ასაკში უყალიბდებათ ყრუ პირების ყრუ შვილებს, მაგრამ უფრო გვიან უვითარდებათ სმენის მქონე მშობლების ყრუ შვილებს.

ეს დასკვნები მეტყველებს იმაზე, რომ „საერთო ენაზე“ კომუნიკაცია და ყრუ ბავშვის საჭიროებების გათვალისწინება გადამწყვეტ როლს თამაშობს გონების თეორიის ჩამოყალიბებაში. აუცილებელია ყრუ ბავშვებთან ადრეული ასაკიდანვე მიმდინარეობდეს სხვათა ემოციების წაკითხვის სწავლება სხვადასხვა სიტუაციიდან და პერსპექტივებიდან.

**გონების თეორიის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები:**

- *საჩუქარი მეგობრისთვის* - შესთავაზეთ ბავშვებს აქტივობა, რომლის დროსაც მათ უნდა დაუხატონ მეგობარს ის ნივთი, რომელიც, მათი აზრით, მეგობარს გაუხარდება. საწყის ეტაპზე გააკეთეთ მოდელირება, იმსჯელეთ ხმამაღლა ბავშვებთან ერთად, თუ როგორ არჩევთ ნახატს. მაგ.: „მე ვფიქრობ, ნინის მოეწონება წითელი კაბა, რადგან მას ხშირად აცვია კაბები და

ხშირად ხატავს წითელი ფანქრით“. შემდეგ მათთან ერთად განიხილეთ, თუ რა შეიძლება გაუხარდეს მეგობარს, მისი ინტერესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

- *ხშირად განიხილეთ ჯგუფში წარსული და მომავალი გამოცდილება,* მაგ.: „გახსოვთ, გუშინ გადავწყვიტეთ, რომ დღეს ეზოში თოვლის ბაბუას გავაკეთებდით, მაგრამ ძლიერი ქარის და წვიმის გამო გარეთ დავსველდით და ვეღარ გავაკეთეთ. მე ძალიან დამწყდა გული, მაგრამ არ მოვიწყინოთ, მოვიფიქროთ, როგორ გავაკეთოთ თეთრი ქაღალდებისგან დიდი თოვლის ბაბუა? ხვალ ზოოპარკში მივდივართ, რომელი ცხოველების ნახვა გსურთ ზოოპარკში? როგორ ფიქრობთ, ნინოს ყველაზე მეტად რა ცხოველის ნახვა გაუხარდება? რა უნდა წავიღოთ ცხოველებისთვის? როგორ ფიქრობთ, ზოოპარკის თანამშრომლებს ეშინიათ ცხოველების?

აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისთვის, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს  სმენის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში.

## სოციალურ-ემოციური განვითარება

### სოციალური თანამონაწილეობის ხელშეწყობა

სოციალური და ემოციური უნარების განვითარება ძირითადად მოსმენის, კომუნიკაციისა და სხვებთან ინტერაქციის შედეგად ხდება. „ეფექტური კომუნიკაცია ჯანსაღი ფსიქოლოგიური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი კომპონენტია“ (Marschark, Lang & Albertini, 2002, p. 60). კომუნიკაცია ბავშვის და მისი უნარების განვითარების, ინფორმაციის მიღების და ახალი ცოდნის შეძენის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ლინგვისტურმა საჭიროებებმა შესაძლოა გაურთულოს ბავშვს საკუთარი და სხვათა ემოციების იდენტიფიკაცია და სახელდება. შედეგად მივიღოთ შეუსაბამობა ბავშვის ქრონოლოგიურ ასაკსა და მის სოციალურ-ემოციურ განვითარებას შორის.

ნებისმიერი სოციალური ურთიერთობისთვის აუცილებელია სოციალური გზავნილების, იუმორისა და არაპირდაპირი გამონათქვამების სწორად ინტერპრეტაცია, სხვების პერსპექტივის გათვალისწინება, კონკრეტული კონტექსტისა და სიტუაციის შესაბამისი ქცევის წესების და მოთხოვნების ცოდნა და სოციალურად მისაღები ქცევის გამოვლენა. სმენის დარღვევის მქონე ბავშვი ხშირ შემთხვევაში მოკლებულია სოციალური წესების  თავისთავად სწავლის შესაძლებლობას.

სურვილების, ემოციების და საჭიროებების გამოხატვის კომუნიკაციური პრობლემებით განპირობებულმა სირთულემ, შესაძლოა სმენის დარღვევის მქონე  ბავშვის არასასურველი ქცევა განაპირობოს, რაც, თავის მხრივ, სოციალური თანამონაწილეობის და ურთიერთობების დამყარების ბარიერად იქცეს.

ამასთანავე, კომუნიკაციის სირთულე, რომელიც სმენის დარღვევასთან ასოცირდება, ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ეფექტურ სოციალურ თანამონაწილეობაზე, განსაკუთრებით კი ხალხმრავალ და ხმაურიან გარემოში.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, როდესაც სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის სოციალური უნარებისა და ემოციებთან დაკავშირებული საკითხების ექსპლიციტურად სწავლება ხდება, მისი ძალისხმევა ემოციების მართვასა და ეფექტურად გამოხატვაზე, სხვებთან პოზიტიური კავშირებისა და ურთიერთობების დამყარებაზეა მიმართული. ენობრივი და კომუნიკაციური უნარების სტიმულაცია და მდიდარი სოციალური გამოცდილება ეხმარება სმენის დარღვევის მქონე ბავშვს, იყოს მეტად აქტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, წარმატებით გადაჭრას ყოველდღიურობასთან დაკავშირებული კონფლიქტები და შეინარჩუნოს ჯანსაღი ურთიერთობა როგორც თანატოლებთან, ასევე ზრდასრულებთან. აღნიშნული უნარები აუცილებელია როგორც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე სამომავლოდ სკოლის გარემოში წარმატებული ფუნქციონირებისთვის.

**მახასიათებლები, რომლებიც მაღალ სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს განსაზღვრავს:**

- კარგი კომუნიკაციური უნარები
- დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი
- თვითწარმართვისა და თვითკონტროლის უნარი
- საკუთარი და სხვისი გრძნობების, მოტივების, საჭიროებების გაგების უნარი
- მოქნილობა სხვადასხვა სიტუაციასთან ადაპტირებაში (მათ შორის სიტუაციებთან, რომლებიც მრავალი პერსპექტივის გააზრებასა და მიღებას მოითხოვს)
- ნდობის, სხვაზე დაყრდნობისა და თავად სხვისთვის საიმედო საყრდენად ყოფნის უნარი
- გააზრება და პატივისცემა როგორც საკუთარი, ასევე სხვათა კულტურის მიმართ
- მოქნილობის გამოჩენა ჯანსაღი ურთიერთობების ასპექტში, ასევე სოციალურად მისაღები მიზნების მისაღწევად.

**სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა:**

- ხელი შეეწყოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მრავალფეროვან კომუნიკაციურ სიტუაციებში მონაწილეობას (თანატოლებთან, უფროსებთან, როგორც ტიპური სმენით, ასევე სმენის სირთულეების მქონეებთან) და მისთვის მისაღები საკომუნიკაციო ფორმისა და ენის გამოყენებას
- პირველ რიგში, დადგინდეს არასასურველი ქცევის მიზეზები (მაგალითად, ხომ არ დაიღალა ბავშვი, ხომ არ განიცდის ფრუსტრაციას, რადგან არ ესმის მიმდინარე პროცესი, საუბარი და ა.შ.)

- ბავშვის კომუნიკაციური უნარების განვითარების და თვითგამოხატვის შესაძლებლობის გაძლიერება, საკუთარი აზრების, სურვილების გამოხატვის მიზანმიმართულად სწავლება
- თანატოლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშეწყობა
- იმის ახსნა სხვა ბავშვებისთვის, თუ რა სირთულეები შეიძლება ჰქონდეს სმენის დარღვევის მქონე ბავშვს და როგორ შეიძლება თამაშსა და ჯგუფურ აქტივობებში მისი ჩართვის ხელშეწყობა
- იმაში დარწმუნება, რომ ბავშვს ნამდვილად ესმის ის სოციალური ნორმები და წესები, რომლებიც სათანადო გარემოშია დადგენილი
- სოციალური ინტერაქციის, ჯგუფში მონაწილეობის (მაგ., რიგის დაცვა) მიზანმიმართულად სწავლება, წესების და არსებული მოლოდინის გათვალსაჩინოება, სასურველი ქცევის მოდელირება
- ოპტიმალური დახმარების გაწევა უფროსების მიერ, რაც ბავშვს ჩართვაში შეუწყობს ხელს, მაგრამ არ შეზღუდავს, პირიქით, წაადგება მის დამოუკიდებლობას
- თვითშეფასების გაზრდა ბავშვისთვის სწორი უკუკავშირითა და შექებით მის მიერ ჯგუფურ აქტივობებში შეტანილი წვლილის, მეგობრული კავშირების დამყარების შემთხვევაში

## პოზიტიური თვითშეფასებისა და თვითიდენტობის ხელშეწყობა

პოზიტიური თვითშეფასების და თვითიდენტობის ფორმირების პროცესში სმენის დარღვევის მქონე ბავშვი სპეციფიკურ ხელშეწყობას საჭიროებს. მაგალითად, რეგულარულმა სამედიცინო შემოწმებებმა და  თერაპიულმა პროცედურებმა ბავშვის ტიპური სმენის მქონედ „გარდაქმნის“ მცდელობებმა, განსხვავებამ ბავშვისა და მშობლების სმენის სტატუსებს შორის, ისევე, როგორც საერთო საკომუნიკაციო საშუალების არქონამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის თვითშეფასებასა და  ჯანსაღი იდენტობის ფორმირებაზე.

გარდა იმისა, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, ჩამოუყალიბდეს კუთვნილება სმენის მქონე მშობლებთან , ასევე  აქტუალურია, რომ მას ჰქონდეს ურთიერთობა სმენის დარღვევის მქონე პირებთანაც, რომლებიც მისთვის როლური მოდელები იქნებიან და მისი ჯანსაღი თვითიდენტობის ფორმირებას შეუწყობენ ხელს, მით უმეტეს, თუ ბავშვი ჟესტური ენით მოსარგებლე ან პოტენციური მოსარგებლეა. ამ ტიპის იდენტობას ბიკულტურულ იდენტობასაც უწოდებენ და ის სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ჯანსაღი ემოციური და სოციალური განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. სმენის დარღვევის მქონე ბავშვს უნდა ჰქონდეს მსგავსი სმენის სტატუსის მქონე თანატოლებსა და უფროსებთან ურთიერთობის და როლური მოდელების ყოლის შესაძლებლობა.

ადრეული ასაკიდანვე სმენის დარღვევის მქონე ბავშვს უნდა მიეცეს საკუთარი თავისა და საჭიროებების შესწავლის შესაძლებლობა. საკუთარი სმენის დარღვევის გაცნობიერებაში ბავშვის დახმარების საუკეთესო გზა მაქსიმალურად ადრეული ასაკიდანვე მისი ინფორმირებაა (Grunblatt & Daar, 1994, p. 112 as cited in The APSEA Expanded Core Curriculum for Students Who Are Deaf or Hard of Hearing, 2017). სწორედ საკუთარ თავში გარკვევის და თვითიდენტობის ფორმირების პროცესში საჭიროებს ბავშვი პირდაპირ და ექსპლიციტურ მხარდაჭერას. შედეგად, ბავშვი იაზრებს სმენასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს, უყალიბდება საკუთარი თავის პოზიტიური აღქმა და საჭირო დახმარების მიღებისთვის აუცილებელი უნარები (როგორიცაა, მაგ., თარჯიმნის მომსახურება და სხვა საჭირო მხარდაჭერის მიღება).

სოციალურ და ემოციურ განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს თვითიდენტობის ჩამოყალიბება. კვლევების თანახმად, ის ყრუ ბავშვები, რომელთაც ბიკულტურული იდენტობა აქვთ, ანუ, საკუთარ თავს მიაკუთვნებენ როგორც ყრუ, ასევე სმენის მქონე ადამიანებს, მაღალი თვითშეფასებით გამოირჩევიან. აღნიშნული მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგების, სპეციალისტების და ოჯახის წევრების სწორი დახმარება. ბავშვის საგანმანათლებლო სმენის დარღვევის მქონე/ყრუ პირების ჩართვა და როლური მოდელების გამოყენება განსაკუთრებულად უწყობს ხელს ბავშვის საკუთარ თავში გაცნობიერებას, ჯანსაღი იდენტობის და სოციალური ცნობიერების ჩამოყალიბებას.

გარშემომყოფების დამოკიდებულებასა და სწორ უკუკავშირზე, ბავშვის მიმართ მაღალი მოლოდინის არსებობაზე, მის ისეთად მიღებაზე, როგორიც არის, მეტი ავტონომიის მიცემასა და ადრეული ასაკიდან დამოუკიდებელად ფუნქციონირების ხელშეწყობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სმენის დარღვევის მქონე ბავშვის პოზიტიური თვითშეფასებისა და ჯანსაღი იდენტობის ჩამოყალიბება.

სწორი ხელშეწყობის პირობებში სმენის დარღვევის მქონე ბავშვი უკვე სკოლამდელ ასაკში იწყებს საკუთარი თავის უკეთ შემეცნებას, უვითარდება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნების გრძნობა, იწყებს სმენასთან დაკავშირებული საჭიროებების გაცნობიერებას და იმ ხელშეწყობების უკეთ გააზრებას, რომლებიც შეიძლება მისთვის საჭირო და სასარგებლო იყოს აწმყოსა თუ მომავალში. უნარები, რომელთა განვითარებაც მნიშვნელოვანია სმენის დარღვევის მქონე ბავშვისათვის სკოლამდელ ასაკში:

- საკუთარი სმენის დარღვევის და იმის გააზრება, რომ ის ერთადერთი არ არის, ვისაც სმენის დარღვევა აქვს;
- იდენტიფიკაცია სმენის დარღვევის მქონე პირებთან;
- იმის გააზრება, რომ სმენის დარღვევის და სმენის მქონე ადამიანები უმეტეს ასპექტში ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან;

- იმის გაცნობიერება, რომ სმენის დარღვევა გავლენას ახდენს  სხვებთან კომუნიკაციაზე;
- რეაგირება საკუთარ სახელზე/ჟესტურ სახელზე;
- გარშემომყოფების, თანატოლების სახელების/ჟესტური სახელების ცოდნა და გამოყენება;

## სწავლისადმი მიდგომა

### ვიზუალური „მოსმენის განვითარება“ და ყურადღების მართვის ხელშეწყობა

სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში მნიშვნელოვანია ვიზუალური უნარების მართვისა და ეფექტურად გამოყენების სწავლება. მაშინაც კი, როდესაც ბავშვს ნარჩენი სმენა აქვს ან კოხლეარული იმპლანტით სარგებლობს და სმენით არხს ეფუძნება, ინფორმაციის მიღების პროცესში ვიზუალურ უნარებს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს; ვიზუალური არხით ივსებს ბავშვი იმ ინფორმაციას, რომლის მიღებაც სმენითი არხით სრულყოფილად ვერ ხდება. ამასთანავე, ვიზუალური ყურადღების მართვა დაქვეითებული სმენის მქონე  ბავშვს აუდიოყურადღების მართვაშიც  ეხმარება.

ყრუ ბავშვების შემთხვევაში ვიზუალური უნარები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითადი შესაძლებლობა. როგორც ვიცით, ჟესტური ენა თავისი ბუნებით ვიზუალურია და ბავშვისგან არა აუდიო-, არამედ ვიზუალური არხის გამოყენებას მოითხოვს. ყრუ ბავშვები, რომელთა კომუნიკაციაც ძირითადად ვიზუალურ არხზეა დაფუძნებული, სპეციალურ ხელშეწყობას და სწავლებას  საჭიროებენ, რათა შეძლონ ვიზუალური უნარების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება,  ვიზუალური ყურადღების მართვა და მოსაუბრესა და სასაუბრო თემას/ობიექტს შორის ყურადღების გადანაწილება. მაგალითად, თუ სმენის მქონე ბავშვს შეუძლია პარალელურად უყუროს ილუსტრაციებს წიგნში და თან მოუსმინოს მთხრობელს, ყრუ ბავშვისთვის, რომელიც ძირითადად ვიზუალურ არხს ეფუძნება, ეს პროცესი გართულებულია; ილუსტრაციების ყურების დროს მას შესაძლოა გამორჩეს, თუ რას ამბობს ამ დროს მთხრობელი. მან უნდა ისწავლოს ილუსტრაციებსა და მთხრობელს შორის ყურადღების გადანაწილება. ჯგუფური დისკუსიის დროსაც, როდესაც ორი ან მეტი ადამიანი საუბრობს, ბავშვმა უნდა შეძლოს მოსაუბრეებს შორის ყურადღების გადანაწილება, მზერის ერთი მოსაუბრიდან მეორეზე გადატანა, რათა არ დაკარგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

იმისათვის, რომ აღნიშნული სირთულეები ბავშვმა დაძლიოს, საჭიროა მხედველობითი უნარების  ეფექტურად გამოყენების და ყურადღებას მართვის გავარჯიშება ყოველდღიურ ბუნებრივ სიტუაციებში.

**აღნიშნული  მიმართულებით რამდენიმე სამიზნე  უნარი შეიძლება გამოიყოს:**

***ყურადღების მიმართვა/მართვა*** – იმისათვის, რომ ბავშვმა ვიზუალურ ინფორმაციაზე კონცენტრირება ისწავლოს, პირველ რიგში, მან უნდა შეძლოს ყურადღების მიმართვა ვიზუალურ

ინფორმაციაზე, სამიზნე სტიმულებზე. ეს არ წარმოადგენს ბავშვის თანდაყოლილ უნარს და, შესაბამისად, მოითხოვს სწავლებას და განვითარებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვზე მსუბუქად შეხება და ე.წ. ფიზიკური „ბიძგის“ მიცემა, უკუკავშირი და სხვა.

***დასწრება და საზიარო ყურადღება*** – აღნიშნული უნარი რამდენიმე უნარისა და ქცევითი აქტის ერთობლიობას წარმოადგენს, როგორიცაა: მხედველობითი კონტაქტის დამყარება, ყურადღების გადართვა ერთი აქტივობიდან მეორეზე და სუბიექტსა თუ ობიექტზე, საჭირო დროით ყურადღების შენარჩუნება მიმდინარე აქტივობაზე და იმავე ობიექტსა თუ სუბიექტზე ფოკუსირება, რომელზეც მეორე პირის ყურადღებაა მიმართული. ბავშვმა ასევე უნდა ისწავლოს ყურადღების გადატანა კომუნიკატორიდან სამიზნე ობიექტზე და შემდგომ ისევ კომუნიკატორზე; დასწრებისა და საზიარო ყურადღების უნარი მნიშვნელოვანია იმიტაციისთვისაც, რაც, თავის მხრივ, ნებისმიერი ბავშვის განვითარების პროცესში განსაკუთრებული როლს ასრულებს. სწორედ სხვებზე დაკვირვების შედეგად სწავლობს ბავშვი ჟესტურ ენას და ითვისებს სხვა მნიშვნელოვან ქცევებსაც.

***ჭვრეტა და „ვიზუალური მოსმენა“ –*** „ვიზუალური მოსმენა“ ყრუ ბავშვის შემთხვევაში მოსაუბრის ჟესტებზე, პოზასა და სახის გამომეტყველებაზე დაკვირვებას, თვალის მიდევნებას გულისხმობს და ჟესტურ ენაში რეცეპტული უნარების განვითარების საფუძველს წარმოადგენს. შედეგად, ბავშვი ჟესტების რეგისტრირებას, ერთმანეთისგან გარჩევას და მნიშვნელობის გაგების მიზნით მათზე დაკვირვებას სწავლობს. ჭვრეტის უნარი, რომელიც ინფორმაციის მიღების, გააზრებისა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის არის აუცილებელი, ბავშვს სხვადასხვა ვიზუალური მასალის საშუალებით უვითარდება (პრეზენტაციები, ვიდეომასალა, ილუსტრირებული წიგნები და ა.შ.). ჭვრეტის უნარის ხელშემწყობ ერთ-ერთ სტრატეგიას ყოველდღიურად ჟესტურ ენაზე 10-15 წთ. ვიდეოების ჩვენება ან/და ილუსტრირებული წიგნების წაკითხვა ჟესტების თანხლებით, ამბების ჟესტურად გადმოცემა და მათი შინაარსის აღდგენა/განხილვაში ბავშვის ჩართვა წარმოადგენს.

**ამრიგად, სკოლამდელ ასაკში ხელი უნდა შეეწყოს შემდეგი უნარების განვითარებას:**

- ვიზუალური და აუდიტორული „დასწრება“ მოსაუბრეზე (მაგ.: სხეულის ენა, ჟესტური ენა, ბაგეებიდან კითხვა, ხმოვანი ინფორმაციის მოსმენა);
- ჭვრეტა გარემოში არსებული სასარგებლო სტიმულების შემჩნევა-შერჩევისთვის;
- ერთი-ერთზე და ჯგუფურ სიტუაციაში „დასწრება“ და ყურადღების მართვა უფროსთან
- ვიზუალური ინფორმაციის ჭვრეტა სათანადო დროით;
- მზერის გადატანა მოსაუბრიდან ობიექტზე და პირიქით;
- საზიარო ყურადღება (მაგ., ერთობლივი კითხვის დროს);
- ყურადღების მიმართვა თარჯიმნისკენ და შენარჩუნება შესაბამისი დროით.

## გარემოს მართვა და თვითადვოკატირება

საკუთარი საჭიროებების ადვოკატირება არა მარტო ზრდასრულობის, არამედ ბავშვობის პერიოდის მნიშვნელოვან უნარსაც წარმოადგენს.

ადრეული ასაკიდანვე ბავშვები იწყებენ საკუთარი საჭიროებების გამოხატვას, დახმარების მოთხოვნას. სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებასა და სასწავლო გარემოში ეფექტური ფუნქციონირებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სმენის შეზღუდვის არსის და საკუთარ სმენასთან დაკავშირებული საჭიროებების გააზრების ხელშეწყობა და თვითადვოკატირების უნარების სტიმულაცია.

კვლევების მიხედვით ხშირად ყრუ ბავშვები არ აზუსტებენ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ ვერ გაიგეს. ამასთანავე, ხშირად იმ შემთხვევაშიც ადასტურებენ გაგებას, როცა ინფორმაცია გაუგებარია.

მეტად მნიშვნელოვანია, ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვს ადრეული ასაკიდანვე ვასწავლოთ, რომ რაიმე ინფორმაციის გამოტოვების შემთხვევაში, არ დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ინტუიციას და აუცილებლად გადაამოწმოს იგი. ამასთანავე, ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს როგორც ინფორმაციის გამეორება (იქნება ეს ჟესტურ ენაზე თუ ზეპირმეტყველებით), ასევე ინფორმაციის ნელი ტემპით მიწოდება.

სმენასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკუთარი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გააზრება, ასევე, დახმარების მიღების სტრატეგიების და საკუთარი საჭიროებების ადვოკატირების სწავლება ხელს უწყობს ბავშვს სწორად განსაზღვროს ის სიტუაციები, რომლებიც ზღუდავს ან პირიქით, ზრდის მისთვის ინფორმაციის მისაწვდომობას, აქტივობებში ჩართულობას. ბავშვმა უნდა ისწავლოს სივრცეში მაქსიმალურად ხელსაყრელი ადგილის შერჩევა, გარემოს მართვა და მორგება საკუთარი საჭიროებების მიხედვით.

**სკოლამდელ ასაკში ხელი უნდა შეეწყოს შემდეგი უნარების განვითარებას:**

- უკეთესი სმენის მქონე ყურის განსაზღვრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სმენის დარღვევასთან დაკავშირებული საჭიროებების გააზრება (მაგ., მოსაუბრის მიზანმიმართულად მოსმენის და/ან ყურების სწორად შერჩევის აუცილებლობა);
- უფროსის დახმარებით გარემოში ხელსაყრელი ადგილის შერჩევა (მოსაუბრესთან ახლოს, მხედველობის არეში, ხელისშემშლელი აუდიოსტიმულებისგან მოშორებით);
- ხმის წყაროს იდენტიფიკაცია და მოსმენა;

- სხვა ადამიანების ყურადღების შესაბამისი ფორმით მოპოვება რაიმეს თხოვნამდე, საუბრის დაწყებამდე;
- სხვათა ყურადღების მოპოვება ადამიანების და გარემოს გათვალისწინებით (მაგ.: დისტანციიდან, ხალხმრავალ გარემოში, უცხო, ნაცნობი, თანატოლი, უფროსი  და სხვა);
- მოცდა საკუთარი რიგის მოსვლამდე და შემდეგ რეაგირება;
- შემჩნევა/გააზრება, როდესაც მისი არ ესმით და ნიშნის მიცემა მოსაუბრისთვის, როდესაც თავად არ ესმის/ვერ იგებს;
- საკუთარი ადგილის გააზრება მოსმენისა და დანახვის შესაძლებლობაზე;
- თავის გარშემო მყოფი ადამიანების (როგორიცაა, მაგ.: აღმზრდელი, თარჯიმანი და სხვა) როლებისა და პასუხისმგებლობების გააზრება;
- იმის განსაზღვრა, თუ რა სიტუაციებში  რა სახით და ვის უნდა მიმართოს დახმარებისთვის; დახმარების თხოვნა საჭიროების შემთხვევაში;
- საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის დახმარების თხოვნა;
- მარტივი განრიგების, სქემების (მაგ., დღის აქტივობების ვიზუალური განრიგის) გამოყენება;
- საკუთარი სმენითი და/ან ხედვის პირობების გაუმჯობესება (მაგ., თუ ცუდად ესმის, ისწორებს აპარატს, თუ ხმაურის გამო ხმა არ ესმის, მიანიშნებს და ითხოვს ფანჯრის დახურვას; თ ბავშვი ყრუა, ანიშნებს/ითხოვს მასსა და მოსაუბრეს შორის არსებული ვიზუალური ბარიერის მოხსნას და ა.შ.).

## ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

### სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მოტორული განვითარების ხელშეწყობა

როგორც ვიცით, ზოგ შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე პირების წამყვან საკომუნიკაციო ფორმას წარმოადგენს ჟესტური ენით კომუნიკაცია, რომელიც სხეულის და მიმიკის გამოყენებას მოითხოვს. შესაბამისად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ცხოვრებაში მოტორული განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სხეულისა და მისი ცალკეული ნაწილის, ისევე, როგორც სახის მოტორიკის ეფექტურად ფლობა და გამოყენება, სხეულის ორივე ნაწილის კოორდინირება როგორც სიმეტრიული, ასევე ასიმეტრიული მოძრაობების დროს, თვალისა და ხელის კოორდინაცია, თითების იზოლირებულად და მოქნილად გამოყენება (რაც განსაკუთრებულად მანუალური ანბანისთვისაა საჭირო), საკუთარი მოქმედებების დაგეგმვა, პაუზის კონტროლი, სხეულის სტაბილიზაცია და მოტორული იმიტაცია (სხვებისგან ჟესტური ენის ათვისების მიზნით) ის არასრული ჩამონათვალია, რომელიც განსაკუთრებულად აქტუალურია სმენის დარღვევის მქონე ბავშვის შემთხვევაში.

ამასთანავე, შეიძლება ვლინდებოდეს ვესტიბულარული აპარატთან (რომელიც შიგნითა ყურშია განთავსებული) დაკავშირებული სირთულეებიც. შედეგად, სმენის დარღვევის მქონე ბავშვს შესაძლოა წონასწორობასა და საკუთარი მოქმედებების კოორდინირებასთან დაკავშირებული სირთულეები ჰქონდეს. აღნიშნული სირთულეები ყოველთვის არ არის თვალსაჩინო ფუნქციური აქტივობების დროს და შესაძლოა მხოლოდ სპეციფიკური მოტორული ტესტების შემთხვევაში ვლინდებოდეს (მაგ.: სწორ ხაზზე გავლა, ცალ ფეხზე წონასწორობის შენარჩუნება და სხვა).

როგორც ცნობილია, სკოლამდელ პერიოდში განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებს ისეთი აქტივობები, რომლებიც უფრო შემეცნებითი ხასიათისაა და თან ბავშვისგან ნატიფი მოტორული უნარების გამოყენებას მოითხოვს (მაგალითად, კონსტრუქციების შექმნა, მცირე ზომის ფაზლების აწყობა, ხატვა, აპლიკაციების შექმნა, ლოტოები და ა.შ.). აღნიშნული ტიპის აქტივობები, ერთი მხრივ, გარკვეულ დონეზე განვითარებულ ნატიფ მოტორულ უნარებს მოითხოვს, ხოლო მეორე მხრივ, თავად ქმნის სივრცეს ნატიფი მოტორიკის შემდგომი დახვეწისთვის და ხშირად თანატოლთა ჯგუფთან ერთად ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ამოცანის/აქტივობის შესასრულებლად საჭირო უნარები (მაგ.: შემეცნებითი, ენობრივი, კომუნიკაციური და სხვა) შესაბამისად ჩამოყალიბებული არა აქვს, მან შესაძლოა თავი აარიდოს მსგავსი ტიპის აქტივობებში მონაწილეობას და შედეგად ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის საკმარისი გამოცდილება ვერ მიიღოს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების პროგრამის ფარგლებში, სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს მოტორული უნარების განვითარების კუთხით შესაძლოა სპეციფიკური სტიმულაცია და პირობების შექმნა დასჭირდეთ.

**მიზანშეწონილია ბავშვების ჩართვა ისეთ თამაშებსა და აქტივობებში, რომლებიც შემდეგი უნარების განვითარებას უწყობს ხელს:**

- წონასწორობა და მსხვილი მოტორული კოორდინაცია (მაგ.: ცალ ფეხზე ხტომა, სწორ ხაზზე სიარული და სხვა);
- მოტორული იმიტაცია;
- ნატიფი მოტორიკა, იარაღის გამოყენება, თითების იზოლირებულად გამოყენება
- თვალისა და ხელის კოორდინაცია;
- მოტორული მოქმედებების დაგეგმვა

## ხმის გამაძლიერებელ ტექნოლოგიების მოვლა

სასმენი აპარატით და კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული სმენის ეფექტურად გამოყენება, საკუთარი ყურის ჯანმრთელობასა და ხმის გამაძლიერებელ საშუალებებზე ზრუნვა.

იმისათვის, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვმა სრულად გაიაზროს სმენის დამხმარე საშუალებების გამოყენება, ის ადრეული ასაკიდანვე უნდა გაეცნოს ხმის გამაძლიერებელ სხვადასხვა მოწყობილობას (ინდივიდუალურს, ჯგუფურს), მათი ფუნქციონირების პრინციპებს და საკუთარი სასმენი აპარატის გამოყენებისა და მისი მოვლის  სპეციფიკას. აღნიშნული უნარების სწავლება აუცილებელია, რათა ბავშვმა მაქსიმალური სარგებელი მიიღოს დამხმარე მოწყობილობებიდან.

ამასთანავე, ბავშვმა საკუთარ ყურზე უსაფრთხოდ ზრუნვის, შესაძლო გართულებებისგან მისი დაცვის და ჰიგიენური პროცედურების განხორციელების უნარ-ჩვევებიც უნდა შეიძინოს.

**ამრიგად, სკოლამდელ ასაკში ხელი უნდა შეეწყოს შემდეგი უნარების განვითარებას:**

- ყურზე, ყურის ჰიგიენაზე ზრუნვა;
- ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის დანიშნულებების, ფუნქციისა და გამოყენების პრინციპების ცოდნა;
- ხმის გამაძლიერებელ მოწყობილობის გაკეთება, მოხსნა და შენახვა (უფროსების დახმარებით);
- აპარატის ჩართვა და გამორთვა;
- საჭიროების შემთხვევაში უფროსის დახმარების მოთხოვნა ხმის გამაძლიერებელ მოწყობილობასთან დაკავშირებით;
- ნიშნის მიცემა/დახმარების თხოვნა იმ შემთხვევაში, როცა ხმის გამაძლიერებელი საშუალება შესაბამისად არ მუშაობს, აუდიოსტიმულები არასაკმარისად ძლიერია ან ფონური ხმები ქმნის პრობლემას.;

# IV ნაწილი

# მშობელთა განათლება და მხარდაჭერა

ყველა ოჯახი უნიკალურია თავისი კულტურული თავისებურებებით, ინფორმაციის აღქმის და  ურთიერთობის სტილით, ბავშვის სმენის დარღვევის მდგომარეობის მიღების და მასთან ადაპტირების უნარით. ამასთანავე, მშობლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ბავშვის განვითარებისა და  განათლების პროცესში.

შესაბამისად, მშობლების განათლება და მხარდაჭერა სმენის დარღვევის მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის გაფართოებული პროგრამის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს.

მშობლებს თავიდანვე უნდა მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია გაფართოებული მხარდაჭერის კონცეპტუალურ და პრაქტიკულ საკითხებზე, მათთან თანამშრომლობის ფორმებსა და სხვა

მნიშვნელოვან ასპექტებზე. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მშობელი იღებს, მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს მიწოდებული.

მნიშვნელოვანია მშობლების ჩართვა როგორც ბავშვის საჭიროებების შეფასების, ასევე, მისი მხარდაჭერის დაგეგმვის პროცესში, ეფექტიანი კომუნიკაციის შენარჩუნება და ინფორმაციის რეგულარული გაცვლა მათთან, ბავშვის პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მხარდაჭერის ეფექტური სტრატეგიების სწავლება. ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ სასკოლო მზაობის პროგრამა ე.წ. ბავშვის სკოლაში გამშვებს წარმოადგენს, აღნიშნული მიმართულებით აუცილებელია ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერაც.

მშობლებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, გამოთქვან საკუთარი წუხილი და მოსაზრებები, გამოხატონ ბავშვის განვითარებასა და განათლებასთან დაკავშირებული პრიორიტეტები. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულ შემთხვევებში მშობლებისთვის შესაძლოა მიუღებელი იყოს ბავშვისთვის ჯანსაღი განვითარებისა და განათლებისთვის აუცილებელი მხარდაჭერის ფორმები (მაგ., ჟესტური ენის სწავლება ფუნქციური სიყრუის შემთხვევაში). შესაბამისად, სპეციალისტებმა, აღმზრდელებმა და ადმინისტრაციამ სათანადო ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, მშობლის განათლება-ინფორმირებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მშობლები თავად საჭიროებენ მხარდაჭერას, რათა ბავშვის განვითარებისა და განათლების პროცესში საუკეთესო მხარდამჭერებად იქცნენ.

ქვემოთ წარმოდგენილია ის საკითხები და სამიზნეები, რომლებიც მშობლების მხარდაჭერის კუთხით შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი; ცალკეულ მშობელთან/ოჯახთან მიმართებით, ყველა სამიზნე შესაძლოა არ იყოს აქტუალური. მაგალითად, თუ ბავშვის სმენის დარღვევის დიაგნოსტირება დაგვიანებით მოხდა და ოჯახი საკმარისად არ არის ინფორმირებული სმენის დარღვევის თავისებურებების ან/და სასმენი მოწყობილობის ფუნქციონირების შესახებ, მაშინ აღნიშნულ საკითხებში მშობლების ცოდნის ამაღლება მნიშვნელოვანია, თუმცა, იგივე საკითხები შესაძლოა არარელევანტური იყოს სხვა მშობლებთან მიმართებით.

**მშობლების განათლებისა და მხარდაჭერის სამიზნე საკითხები**

წარმოდგენილი სამიზნეები ეფუძნება „*The APSEA Expanded Core Curriculum for Students Who Are Deaf or Hard of Hearing" (2017).*

**ცოდნა/გაცნობიერებულობა სმენის დარღვევის შესახებ:**

- საჭიროების შემთხვევაში მშობლებს სათანადოდ მიაწოდეთ ინფორმაცია ბავშვის სმენის დარღვევის შესახებ (აუდიოლოგიური ტესტი, დარღვევის ფორმა და თავისებურება, სმენის დაცვა დ სხვა);

- განუმარტეთ განსხვავება ქრონოლოგიურ და სმენით ასაკს შორის;
- განუმარტეთ სმენის დარღვევის გავლენა ბავშვის მიერ მეტყველების/ენის აღქმასა და განვითარებაზე; ასევე, სმენის დარღვევის გავლენა ბავშვის ფსიქოსოციალურ განვითარებასა და სწავლასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე;
- განუმარტეთ მითები და მცდარი შეხედულებები სმენის დარღვევის მქონე პირებზე და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე (როგორიცაა, მაგ.: „ჟესტური ენა ხელს უშლის ზეპირი მეტყველების გამოყენებას“, „სასმენი აპარატი და კოხლეარული იმპლანტი ისეთივე სმენის შესაძლებლობას აძლევს პირს, როგორც ტიპური სმენის შემთხვევაში ექნებოდა“, „სმენის დარღვევის მქონე პირებს დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობა აქვთ“ და ა.შ.)
- გააცანით მშობლებს ბავშვის განვითარების ზოგადი საფეხურები და მათი ბავშვის განვითარების მიმდინარე დონე.

**ხმის გამაძლიერებელი საშუალებები:**

- მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია ხმის გამაძლიერებელი სხვადასხვა საშუალების და იმ შესაძლებლობების და შეზღუდვების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ საშუალებებს გააჩნიათ;
- გააცანით მშობლებს ბავშვის სასმენ აპარატთან/კოხლეარულ იმპლანტთან შეგუების სტრატეგიები;
- გააცანით მშობლებს სასმენი მოწყობილობების გამართულობის კონტროლის და მათი მოვლის პრინციპები;
- მიაწოდეთ ინფორმაცია, თუ ვის დაუკავშირდნენ აპარატის გაუმართაობის შემთხვევაში.

**ოჯახისა და ბავშვის ინტერაქცია**

- აუხსენით მშობლებს ბავშვთან პოზიტიური ურთიერთობის მახასიათებლები;
- გააცანით მშობლებს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის დედმამიშვილებისთვის სმენის დარღვევის შესახებ ინფორმაციის საუკეთესო სახით მიწოდების და მათ შორის პოზიტიური ინტერაქციის ხელშეწყობის გზები;
- მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია ბავშვის განვითარებისა და განათლების პრინციპებზე, ისევე, როგორც რეაბილიტაციის პროცესში მშობლების ჩართულობის სარგებლის შესახებ;
- გააცანით მშობლებს ბავშვის საკუთარ თავში გაცნობიერებულობის და იდენტობის ფორმირების და თვითადვოკატირების სტრატეგიები;
- აუხსენით ბავშვის მიმართ მაღალი და რეალისტური მოლოდინის მნიშვნელობა;
- აუხსენით ბავშვისთვის სმენის დარღვევის მქონე სხვა თანატოლებთან და ზრდასრულებთან ურთიერთობის მნიშვნელობა და სარგებელი ბავშვის ჯანსაღი ემოციური განვითარებისა და თვითიდენტობის ფორმირებისთვის.

**კომუნიკაციის სტრატეგიები**

- აუხსენით მშობლებს ბავშვის კომუნიკაციის და ენობრივი უნარების განვითარებაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობა და სარგებელი, ასევე ენობრივად მდიდარი გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობა;
- გააცანით მშობლებს პრელინგვური კომუნიკაციის სტრატეგიები (მოტორული მოძრაობები, სხეულის ენა, სახის გამომეტყველება, ვოკალიზაციები და ა.შ.) და კომუნიკაციის სხვადასხვა მოდელი;
- აუხსენით მშობლებს ბავშვის მიერ არჩეული საკომუნიკაციო მოდალობის გამოყენების მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ ბავშვის კომუნიკაციის მოდალობა შეიძლება იცვლებოდეს გარემოსა და სიტუაციის მიხედვით;
- აუხსენით მშობლებს ბავშვისთვის კომუნიკაციის ხელშემწყობი სტრატეგიების სწავლების მნიშვნელობა, როგორიცაა: სხვებზე დაკვირვება, მოსმენა, ყურადღების მიმართვა, სწორი დისტანციის შენარჩუნება, რიგის დაცვა და სხვა.
- აუხსენით მშობლებს, როგორ განსაზღვრონ მოსასმენად და კომუნიკაციისთვის რთული გარემო და ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფის სტრატეგიები;
- აუხსენით მშობლებს თამაშის მნიშვნელობა ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის;
- გააცანით მშობლებს ბავშვისთვის კითხვის მნიშვნელობა და ერთობლივი კითხვის სტრატეგიები;
- აუხსენით მშობლებს ბავშვისთვის ლექსიკის, ცნებების ექსპლიციტურად სწავლების აუცილებლობა.

**ოჯახის ადვოკატირება, რესურსები და ტრანზიცია**

- გააცანით მშობლებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის არსებულ გაფართოებული მხარდაჭერა;
- გააცანით მშობლებს ბავშვის მიმდინარე ენობრივ და კომუნიკაციურ შესაძლებლობებზე დაკვირვებისა და მათი აღწერის სტრატეგიები;
- გააცანით მშობლებს სერვისები, რომლებიც სმენის დარღვევის მქონე იმ ბავშვებისთვის არსებობს რომელთაც დამატებითი შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ;
- გააცანით მშობლებს ის აკომოდაციები და ხელშეწყობები, რომლებიც მათ ბავშვს სხვადასხვა გარემოსა და სიტუაციაში სჭირდება;

- მიეწოდეთ მშობლებს ინფორმაცია ქვეყანაში სმენის დარღვევს მქონე ბავშვების განათლებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და განათლების შესაძლებლობებზე, ასევე, ადგილობრივ რესურსებზე;
- გააცანით მშობლებს, რა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ბავშვის შესახებ, მაგალითად, სკოლის პერსონალს ბავშვის სკოლაში შეყვანამდე და ასევე მიაწოდეთ ინფორმაცია ფორმალურ განათლებაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსა და სერვისებზე;
- გააცანით მშობლებს ბავშვის ახალი გარემოსა და სიტუაციებისთვის მომზადების სტრატეგიები;
- მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია ზოგადად ქვეყანაში არსებულ და ადგილობრივ სერვისებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც სმენის დარღვევის მქონე პირებისთვისაა განსაზღვრული;
- გააცანით მშობლებს საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურების მიღების შესაძლებლობები.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. Classroom Accessibility for Students who are Deaf and Hard of Hearing. Canadian earing Society. https://www.chs.ca/classroom-accessibility-guide
2. Early Intervention: Communication and Language Services for Families of Deaf and hard-of-hearing Children. National Center on Birth Defects and Developmental Disabilities Division of Human Development and Disability.
3. Expanded Core Curriculum For Students Who Are Deaf or Hard of Hearing (2017). The Atlantic Provinces Special Education Authority
4. Guidelines for the Assessment and Educational Evaluation of Deaf and Hard of Hearing Children in Indiana (2014). Center for Deaf and Hard of Hearing Education
5. K.L. Anderson (2011). Children with Hearing Loss – Helpful Adaptations in the School Environment. (http://parentsknow.state.mn.us )
6. Minnesota Compensatory Skills Checklist for Students with hearing loss. (2010). Minnesota Department of Education.
7. Reading Research & Deaf Children (2011). NSF supported Science of Learning Center on Visual Language and Visual Learning, SBE-0541953, Gallaudet University.
8. The Expanded Core Curriculum For Students Who Are Deaf or Hard of Hearing (2013). Iowa Department of Education Bureau of Student Family Support Services
9. The Importance of Fingerspelling for Reading (2010).NSF supported Science of Learning Center on Visual Language and Visual Learning, SBE-0541953, Gallaudet University.
10. Williams, C. (2004). Emergent Literacy of Deaf Children. Journal of Deaf Studies and Deaf Education vol. 9 no. 4. Oxford University Press; doi:10.1093/deafed/enh045
11. National Deaf children Society, National Sensory Impairment Partnership "Supporting the achievement of Hearing impaired children in early years settings".
12. Terezinha Nunes, Rossana Barros*, Deborah Evans and Diana Burman. "Improving Deaf Children's Working Memory through Training"International Journal of Speech & Language Pathology and Audiology, 2014, 2, 51-66
13. Rachel A. Friedman Narr. "Teaching Phonological Awareness With Deaf and Hard-of-Hearing Students" TEACHING EXCEPTIONAL CHILDREN, Vol 38, No 4, pp 53-58
14. Brenda Schick, Jill de Villiers, Peter de Villiers & Bob Hoffmeister, Theory of Mind: Language and Cognition in Deaf Children, The ASHA Leader, December 3, 2002 Feature

15. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N488; 30.10.2017)
16. ბეთშოუ, მ. ლ. (2013). ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით. თბილისი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, (გვ. 153–181; 351–360).
17. მარშარკი, მ. ჰაუზერი, პ. (2012). როგორ სწავლობენ ყრუ ბავშვები: რა უნდა იცოდნენ მშობლემბა და მასწავლებლებმა. თბილისი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.
18. სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი. იანვარი, 2016 წელი.
19. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის. აღმზრდელის სახელმძღვანელო (2015). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.
20. სმენის დარღვევის მქონე ბავშვის ადრეული და სკოლამდელი განვითარების გზამკვლევი (2015). პროექტი „კითხვა უკეთესი მომავლისთვის“ (USAID).

# დანართები

## დანართი 1

## ენის შემადგენელი კომპონენტების განმარტება

***მორფოლოგია*** - წარმოადგენს სიტყვის ფორმაცვალებადობისა და სიტყვათწარმოქმნის წესებს სხვადასხვა პრეფიქსებისა და სუფიქსების საშუალებით.

***მორფემა*** – ენის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც ცვლის სიტყვის მნიშვნელობას; ადამიანმა იცის, როგორია სიტყვების სტრუქტურა და ასხვავებს გაუმართავ და გამართულ ფორმებს. სიტყვა შედგება ერთი ან მეტი მორფემისაგან; მორფემაა: სიტყვის ფუძე, ბრუნვის ნიშანი, მრავლობითის მაწარმოებელი და სხვა.

***სინტაქსი*** – სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება, გრამატიკულად სწორი კონსტრუქციის აგება წინადადებაში, სიტყვათშეთანხმებაში; რთულ წინადადებაში მარტივი და/ან შერწყმული წინადადებების გაერთიანება. იგი არკვევს, რა და რა სახის სიტყვები შეიძლება შეეწყოს ერთმანეთს, რა სახის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მათ შორის და რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას წინადადებაში.

***ლექსიკა*** - **ადამიანის** სიტყვათა მარაგი. ადამიანმა საშუალოდ 45000-დან 60000-მდე სიტყვა იცის.

***ფონოლოგია*** - ბგერებისა და მათი კომბინაციის წესების სისტემა; მაგალითად თითოეულ ენას აქვს თავისი სპეციფიკური ბგერები, როგორიც არის ქართულში „ყ“, ინგლისურში „th”, ასევე ჩვენ ვიცით, რომ ქართულ ენაში არასოდეს ვხვდებით „წშ“ კომბინაციას, თუმცა ვხვდებით „წვ“ კომბინაციას.

***ფონემა*** - მეტყველების უმცირესი ლინგვისტური ერთეული, რომელსაც სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვს; ფონემების კომბინაცია ქმნის სიტყვებს. ფონემების საშუალებით ხდება მსგავსი ჟღერადობის სიტყვების გარჩევა, მაგ: ფარი, ქარი, ქალი და ა.შ.

***სემანტიკა*** – სიტყვის ან/და ფრაზეოლოგიზმის/იდიომების ან მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამების მნიშვნელობა. სხვადასხვა სიტყვა შესაძლებელია ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელი იყოს (სინონიმები) ან ერთი სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენებოდეს განსხვავებული მნიშვნელობებით (ომონიმები), ან კიდევ შესაძლებელია მას ჰქონდეს როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობა. ადამიანი კონტექსტის და წინადადების გათვალისწინებით ხვდება, თუ რა მნიშვნელობით უნდა აღიქვას სიტყვა, რამდენად ეწყობა წინადადებაში კონკრეტული სიტყვები ერთმანეთს სემანტიკურად.

***პრაგმატიკა*** - ენის გამოყენება სწორ შინაარსობრივ და სიტუაციურ კონტექსტში, დიალოგის წარმოება და მოსაუბრის გათვალისწინება (ასაკი, გამოცდილება...), კონტექსტიდან გამომდინარე ლექსიკური და სტრუქტურული ორაზროვნების გაგება.

## დანართი 2

## ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური საჭიროებების შეფასება

შეფასების განხორციელება და ტესტების ადმინისტრირება იმ ენაზე და იმ საკომუნიკაციო მოდალობის ფარგლებში უნდა მოხდეს, რომელსაც ბავშვი თავად ანიჭებს უპირატესობას. გასათვალისწინებელია, რომ შეფასების პროცესში არაპირდაპირი კომუნიკაცია და თარჯიმნის გამოყენება ზოგჯერ გარკვეულ გამოწვევებს უკავშირდება, როგორიცაა, მაგალითად, ტესტის უზუსტობები და სხვა.

ბავშვისა და გარშემომყოფებს შორის კომუნიკაციის ფორმის განსაზღვრისას უნდა გაანალიზდეს და პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- ✓ რამდენად აქვს ბავშვს ასაკობრივი ყოველდღიური ფუნქციური უნარების ასათვისებლად საჭირო კომუნიკაციური და ენობრივი რესურსები?
- ✓ რამდენად აქვს ბავშვს ასაკობრივი წინააკადემიური უნარების და ასაკობრივი პროგრამის ასათავისებლად საჭირო კომუნიკაციური და ენობრივი რესურსები?
- ✓ რამდენად აქვს ბავშვს პირდაპირი კომუნიკაცია (კომუნიკაცია, რომელიც ადამიანიდან ადამიანზე ხორციელდება სხვა წყაროების დახმარების, გაშუალების გარეშე) ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან, სკოლამდელი განათლების დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგებთან, სეციალისტებთან?
- ✓ რამდენად შეუწყობს ხელს სმენის უნარი (სმენის დამხმარე მოწყობილობით თუ მის გარეშე) აუდიოარხით ბავშვის მისაწვდომობას ენაზე, რათა მან შესაბამის ვადებში/პერიოდში გამოიმუშაოს კომუნიკაციური კომპეტენციები, ბაზისური ინტერპერსონალური კოგნიტურ-აკადემიური ენობრივი შესაძლებლობები;
- ✓ რამდენად შეუწყობს ხელს ქართული ჟესტური ენა ბავშვის კომუნიკაციური კომპეტენციების, საბაზისო ინტერპერსონალური უნარების და კოგნიტურ-აკადემიური ენობრივი შესაძლებლობების განვითარებას;

- ✓ რამდენად შეუწყობს ხელს დამატებითი ვიზუალური დახმარება და სისტემები ბავშვის შესაბამის მისაწვდომას ზეპირ მეტყველებაზე/ხმოვან ენაზე;

ენისა და კომუნიკაციის საჭიროებების განსაზღვრისას ბავშვის ქცევასა და სხვებთან (ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან, ბაღის პერსონალთან) კომუნიკაციაზე დაკვირვება უნდა განხორციელდეს მრავალფეროვან გარემოში და შემდეგ ასპექტებს მოიცავდეს:

- აუდიოლოგიური ფაქტორები/მდგომარეობა, სმენის დარღვევის ეტიოლოგია, ტიპი და ხარისხი, სმენის დაზიანების და დაზიანების იდენტიფიკაციის ასაკი
- ჯანმრთელობასა და განვითარებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები (მხედველობა, რისკფაქტორები, მედიკამენტები და სხვა)
- ოჯახური გარემო ოჯახის საკომუნიკაციო ენის, კულტურული ფაქტორების და ოჯახის წევრების (მშობლების) სმენის სტატუსის გათვალისწინებით
- ამპლიფიკაციის (სმენის გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენების) ასაკი და გამოყენების პირობები/რეგულარულობა, სასმენი ტექნოლოგიების ეფექტურობა
- ბავშვისთვის პრიორიტეტული კომუნიკაციიური მოდალობა
- გაფართოებული კომუნიკაციური მოწყობილობების, დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება
- აუდიტორული უნარები და ბავშვის მიერ არსებული/ნარჩენი სმენის ფუნქციურად გამოყენება
- ბავშვის წამყვანი ენა და ენობრივი უნარები
- კომუნიკაციური უნარები და გარემოებები
- სოციალურ-ემოციური მდგომარეობა და თვითიდენტობა
- ფსიქოსოციალური ქცევა
- კოგნიტური და წინააკადემიური უნარები
- ბავშვის ატიტუდები და მოტივაცია
- ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების და ინტერესების შეჯამება (განვითარების ყველა სფეროს გათვალისწინებით)
- განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები
- საგანმანათლებლო ისტორია და დასწრება საგანმანათლებლო პროცესზე
- სხვა დამხმარე სერვისებში ჩართულობა
- მშობლის პრიორიტეტები და ოჯახის წევრების ჩართულობა/მხარდაჭერა

## რეცეპტული კომუნიკაცია

| კომუნიკაციის ტიპი | სახლის გარემოში | ბაღის გარემოში | | სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ოჯახის წევრებთან (მშობლები, დედმამიშვილები) | აღმზრდელებთან სპეციალისტებთან | თანატოლებთან | უფროსებთან | სმენის მქონე თანატოლებთან | ყრუ თანატოლებთან |
| ინფორმაციას იღებს ჟესტური ენით | | | | | | |
| ინფორმაციას უპირატესად იღებს ჟესტური ენით, თუმცა გარკვეულწილად იგებს აუდიოინფორმაციასაც | | | | | | |
| ინფორმაციას თანაბრად იღებს ჟესტური ენით და სმენით/ზეპირი მეტყველებით | | | | | | |
| ინფორმაციას უპირატესად იღებს სმენით/ზეპირი მეტყველებით; ხანდახან საჭიროებს ხელშეწყობას ჟესტებით ან სხვა | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიზუალური სისტემით | | | | | | |
| ინფორმაციას იღებს ზეპირი მეტყველებით/სმენის საშუალებით | | | | | | |
| ეფუძნება ბუნებრივ ჟესტებს/სხეულის ენას (ვერ იღებს ვერც ზეპირი მეტყველებით და ვერც ჟესტური ენით) | | | | | | |

## ექსპრესიული კომუნიკაცია

| **კომუნიკაციის ტიპი** | **სახლის გარემოში** | **ბაღის გარემოში** | | **სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში** | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ოჯახის წევრებთან (მშობლები, დედმამიშვილები) | აღმზრდელებთან სპეციალისტებთან | თანატოლებთან | უფროსებთან | სმენის მქონე თანატოლებთან | ყრუ თანატოლებთან |
| იყენებს მხოლოდ ჟესტურ ენას | | | | | | |
| ძირითადად იყენებს ჟესტურ ენას; კომუნიკაციას გარკვეულწილად ამყარებს ზეპირი მეტყვლებითაც | | | | | | |
| თანაბრად შეუძლია ჟესტური ენის და ზეპირი მეტყველების გამოყენება | | | | | | |
| ძირითადად იყენებს ზეპირ მეტყველებას; იყენებს ჟესტურ ენასაც/ვიზუალური მინიშნებების დასაზუსტებლად | | | | | | |
| იყენებს მხოლოდ ზეპირ მეტყველებას | | | | | | |
| იყენებს ბუნებრივ | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟესტებს/სხეულის ენას (ვერ იყენებს ვერც ზეპირ მეტყველებას და ვერც ჟესტურ ენას) | | | | | | |

*Adapted from the Laurent Clerc National Deaf Education Center - Cochlear Implant Education Center*

## დანართი 3
## ენის გამოყენების და კომუნიკაციის სტრატეგიები/მიდგომები

ქვემოთ წარმოდგენილია ენისა და კომუნიკაციის განვითარების მიდგომები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება სმენის დარღვევის მქონე ბავშვებთან.

**აუდიოვერბალური მიდგომა** - აღნიშნული მიდგომის მთავარი მიზანია სმენის დარღვევის მქონე ბავშვებში კომუნიკაციის ზეპირი მეტყველებით დამყარების კომპეტენციების განვითარება და ძირითადად არსებული/ნარჩენი სმენის, მოსმენის და ზეპირი მეტყველების გამოყენების უნარის გაძლიერება. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით ადრეულ ასაკში გამოიყენება, - ძირითადად იმ ბავშვებთან, რომელთაც დაქვეითებული სმენა აქვთ და სმენის აპარატებს ან კოხლეარული იმპლანტს იყენებენ.

აუდიოვერბალური მიდგომა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სმენის გამაძლიერებელი ტექნოლოგიების და იმ სტრატეგიების, ტექნიკების გამოყენებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს სმენის დარღვევის მქონე ბავშვს ისწავლოს მოსმენა და ზეპირი მეტყველების (ხმოვანი ენის) გაგება, იმისათვის, რომ დაამყროს კომუნიკაცია ზეპირი მეტყველების საშუალებით. ბავშვები სწავლობენ სმენის აპარატების ან კოხლეარული იმპლანტების გამოყენებას საკუთარი და სხვისი ხმის მოსმენის, გარემოში არსებული ხმების და ენისა და მეტყველების გაგების მიზნით. აუდიო-ვერბალური მიდგომა აქცენტს ბუნებრივ გარემოზე და სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ განათლების სმენის მქონე თანატოლებთან ერთად მიღებაზე აკეთებს.

აუდიო-ვერბალური მიდგომა გამოიყენება როგორც ინდივიდუალური თერაპიის სახით, ასევე, ორიენტირებულია მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის ბავშვის მიერ ნარჩენი სმენის და სმენის გამაძლიერებელი მოწყობილობების ეფექტურად გამოყენების სწავლებაზე. აუდიოვერბალური მიდგომა აქცენტს მოსმენის უნარის და სწავლების ბუნებრივ მეთოდებზე აკეთებს.

**ჟესტური ენა** - ნებისმიერი ჟესტური ენა, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, სიმბოლურია და კონკრეტულ ენობრივ სისტემას წარმოადგენს. ჟესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ინფორმაციის კოდირება ხელების მოძრაობების, სახის გამომეტყველების, სხეულისა და თავის პოზიციის საშუალებით ხდება. ჟესტური ენა თავისი ვიზუალური ბუნებიდან გამომდინარე, მხედველობით აღიქმება, რაც მას ადვილად მისაწვდომს ხდის სმენის დარღვევის მქონე იმ

ბავშვებისთვის, რომელთაც შეზღუდული აქვთ ლინგვისტური ინფორმაციის აღქმა სმენის საშუალებით (მახარობლიძე, თ., 2012).

მიუხედავად იმისა, რომ სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა ზეპირ სამეტყველო ენას იყენებდეს საკომუნიკაციო მიზნებისთვის, მათი ენობრივი უნარები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს კოგნიტური განვითარების, განათლების მიღებისა და წიგნიერების შეძენისთვის. ასეთ შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარება და სწავლება მისთვის მისაწვდომ ენაზე უნდა წარიმართოს. ქართული ჟესტური ენის გამოყენების საჭიროება შეიძლება დადგეს როგორც ყრუ, ასევე დაქვეითებული სმენისა და კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებთან მიმართებით, რომელთაც სმენა ფუნქციურად არა აქვთ განვითარებული. ამის მიზეზი გახლავთ ის ფაქტი, რომ მიუხედავად ნარჩენი სმენისა ან კოხლეარული იმპლანტისა, ბავშვისთვის ჟესტური ენის ათვისება ადრეული ასაკიდანვე უფრო მარტივია, ვიდრე მეტყველების ათვისება ნარჩენი სმენის შემთხვევაში (გარკვეულ სიტუაციებში სმენის დარღვევის მქონე ადამიანებს უჭირთ მეტყველების აღქმა, ცნებების გაგება, ვერბალურად მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრება და ა.შ.). ჟესტური ენის ათვისება ხელს უწყობს ცნებების ჩამოყალიბებას, იზრდება ლექსიკური მარაგი და ბავშვი ადრეული ასაკიდანვე იყენებს ორ ენას, რომელიც გარკვეულწილად ხელს უწყობს ერთმანეთს განვითარებაში.

სმენის დარღვევის მქონე პირთათვის ჟესტური ენის სწავლებისა და მათი ლინგვისტური თვითმყოფადობის ხელშეწყობა განათლების პროცესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანაბარი მონაწილეობისთვის განსაზღვრულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ კონვენციაშიც (მუხლი 24, 3, ბ), რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს მოხდა.

**მეტყველება ჟესტების თანხლებით (სიმულტანური კომუნიკაცია)** - მეტყველება ჟესტების თანხლებით არის კომუნიკაციის ფორმა, რომლის დროსაც მეტყველების ვიზუალიზება ხდება ჟესტების საშუალებით. ჟესტები ნასესხებია ჟესტური ენიდან, თუმცა მეტყველება სასაუბრო ენის სინტაქსს/სიტყვათა წყობას ეფუძნება. მეტყველება ჟესტური ენის თანხლებით არ არის ცალკე ენა, როგორიცაა, მაგალითად, ქართული ენა. ჟესტური ენა კომუნიკაციის ერთგვარი ფორმაა, დამხმარე მეთოდია, რომელიც სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს ენის გაგებას უადვილებს. მეტყველება ჟესტების თანხლებით სმენის დარღვევის მქონე იმ ბავშვებთან გამოიყენება, რომელთაც ზეპირი მეტყველების (ხმოვანი ენის) გაგებისა და გამოყენების სირთულეები აქვთ. ზეპირი მეტყველების ვიზუალიზაცია ჟესტების საშუალებით ზრდის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის უმრავლესობის ენის მისაწვდომობას.

**ტოტალური კომუნიკაცია** - აღნიშნული მიდგომა იყენებს ჟესტურ ენას, მეტყველებას, ნარჩენ სმენას ტექნოლოგიების დახმარებით (სასმენი აპარატები, კოხლეარული იმპლანტი, ჯგუფური გამაძლიერებელი საშუალებები), ბაგეებიდან კითხვას, წერას და კითხვას, ბუნებრივ ჟესტებს/სხეულის ენას კომუნიკაციის დასამყარებლად და ბავშვებში მეტყველებისა და ენის განვითარების მიზნით. თუ რომელი საშუალებების გამოყენება მოხდება, ეს დამოკიდებულია ცალკეული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ამრიგად, ტოტალური კომუნიკაცია ერთგვარ კომბინირებულ სისტემებას წარმოადგენს.

**ბაგეებიდან კითხვა** ეფუძნება ვიზუალურ მინიშნებებს ზეპირი მეტყველების გასაგებად. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ადამიანი აკვირდება მოსაუბრის ტუჩების და ენის მოძრაობებს სხვა ვიზუალურ მინიშნებებთან ერთად (მაგ.: სახის გამომეტყველება, ჟესტიკულაცია, სხეულის მდგომარეობა და ა.შ.). ბაგეებიდან კითხვის ეფექტურობა ვარირებს, რადგან ბგერის წარმოქმნაში მონაწილე მოძრაობების უმეტესობა პირის შიგნით ხორციელდება და თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება. ამასთანავე, ბგერების გარკვეული ნაწილი მსგავს მოძრაობებს მოიცავს. საშუალოდ, ბაგეებიდან კითხვის შედეგად, შეტყობინების 30-35%-ის გაგებაა შესაძლებელი. ბაგეებიდან კითხვის გამოყენების შესაძლებლობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული (მაგ.: მხედველობის სიმახვილე, სმენის დაკარგვის პერიოდი, პიროვნული მახასიათებლები). ბაგეებიდან კითხვა შედარებით ეფექტურია იმ შემთხვევებში, როდესაც კომუნიკაციის სხვა სტრატეგიებთან კომბინაციაში გამოიყენება. (CHS Accessibility Guide to Business & Services Providers, 2012).

**ბუნებრივი ჟესტები/სხეულის ენა** წარმოადგენს სხეულის მოძრაობებს და სახის გამომოტყველებას, რომელსაც ადამიანები ხშირად იყენებენ კომუნიკაციისას შეტყობებინების გადასაცემად ან მეტყველებით გადაცემული შეტყობინების გაგების ხელშესაწყობად. ბუნებრივი ჟესტები მეტ-ნაკლებად ნაკლებად უნივერსალურია. მაგალითად, საჩვენებელი თითის პირზე მიდება „ჩუმად ყოფნის“ ნიშნად გამოიყენება და ერთნაირად გასაგებია სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებისთვის. ბუნებრივი ჟესტები ჟესტურ ენას არ წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვისთვის სმენის შეზღუდვის მიზეზით მისაწვდომი არ არის ზეპირი მეტყველება (ხმოვანი ენა) და მას არც ჟესტური ენის სწავლისა და გამოყენების შესაძლებლობა ეძლევა, ის კომუნიკაციის დასამყარებლად ძირითადად ბუნებრივ ჟესტებს/სხეულის ენას იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი ჟესტები, ჟესტიკულაცია გარკვეულ სიტუაციაში კომუნიკაციის დამყარებას უწყობს ხელს, თუმცა ის შეზღუდულია ინფორმაციის გადაცემის თვასაზრისით და არც ენობრივი განვითარების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

**ბილინგვური მიდგომა** - მიზნად ისახავს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის კომპეტენციების გაზრდას ორ ენაში - ჟესტურსა და უმრავლესობის ენაში.

თავისი ვიზუალური ბუნებიდან გამომდინარე, ჟესტური ენა სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის შეიძლება უფრო მისაწვდომი იყოს, ვიდრე ხმოვანი ენა, შესაბამისად, ბილინგვური მიდგომა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ბავშვმა ჯერ ჟესტური ენა უნდა აითვისოს და მისი საშუალებით მეორე ენის დამწერლობას და ზეპირ ფორმას (თუ ბავშვის ნარჩენი სმენა ამის შესაძლებლობას იძლევა) დაეუფლოს.

კვლევების მიხედვით როდესაც ბავშვმა ერთ ენაზე (მაგ.: ჟესტურ ენაზე) იცის, რომ ერთი კონკრეტული სიმბოლო აღნიშნავს კონკრეტულ საგანს ან ცნებას, რომ წინადადება შედგება სიტყვებისგან, წინადადების შედგენას აქვს გარკვეული წესი და სტრუქტურა, შეუძლია ამბის და შინაარსის გადმოცემა, ერთ ენაში შემენილი აქვს გარკვეული ლექსიკური მარაგი, აღნიშნულ ცოდნაზე დაყრდნობით და მისი გამოყენებით მას მეორე ენის უფრო მარტივად ათვისების შესაძლებლობა ეძლევა..

ბილინგვური მიდგომის წარმატებული განხორციელებისთვის საჭიროა, რომ ოჯახსა და წინასასკოლო დაწესებულებაში მოხდეს ყრუ ბავშვის კომუნიკაციის, ენობრივი კომპეტენციებისა და შემეცნებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა ყველაზე მისაწვდომი და ეფექტიანი კომუნიკაციის ფორმით. სწორედ ამიტომ ადრეული ასაკიდანვე უნდა განისაზღვროს, თუ რომელი ტიპის კომუნიკაცია არის ბავშვისთვის უპირატესი და რა ენაზე უადვილდება მას ინფორმაციის მიღება, გაგება და სხვისთვის გაზიარება.

## დანართი 4

## ეფექტური საგანამანთლებლო გარემოს ორგანიზება სმენის დარღვევის მქონე ბავშვისთვის - საკითხები თვითრეფლექსიისთვის

- ✓ სრულად არის გააზრებული სმენის დარღვევის გავლენა ბავშვის განვითარებასა და სწავლაზე და გამოყენებულია პრაქტიკული მიდგომა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები აღნიშნული ნეგატიური გავლენის მაქსიმალურად შესამცირებლად;
- ✓ სრულად არის გააზრებული სმენის დარღვევის გავლენა ენობრივ განვითარებაზე და მაქსიმალურადაა ხელშეწყობილი ბავშვის ენობრივი უნარები;
- ✓ ხელშეწყობილია ბავშვის სმენითი უნარების განვითარება;
- ✓ სრულად არის გააზრებული სმენის დარღვევის გავლენა ბავშვის თვითიდენტობის ჩამოყალიბებაზე, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე, მაქსიმალურად ხელშეწყობილია ბავშვის განვითარება აღნიშნული მიმართულებებით;
- ✓ ხელშეწყობილია ბავშვის დამოუკიდებლობა და თვითადვოკატირების უნარი;
- ✓ სმენის დარღვევის მქონე ბაშვის მიმართ არსებობს მაღალი მოლოდინი;
- ✓ გააზრებულია სმენის გამამლიერებელი ტექნოლოგიების მნიშვნელობა და ეფექტურად ხდება მათი გამოყენება;
- ✓ პერსონალს სრულად აქვს გააზრებული საკუთარი როლი და ფუნქციები სმენის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარებისა და განათლების ხელშეწყობის პროცესში;
- ✓ პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება, რათა ეფექტურად უპასუხოს სმენის დარღვევის მქონე ბავშვის საჭიროებებს;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში პერსონალი თანამშრომლობს სხვა უწყებებთან და სპეციალისტებთან (მაგ.: ბავშვის აუდიოლოგთან, სკოლასთან, ადრეული ინტერვენციის მომსახურებასთან და სხვა);
- ✓ ხელშეწყობილია სმენის დარღვევის მქონე ბავშვსა და მის თანატოლებს, უფროსებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია;
- ✓ უზრუნველყოფილია თანატოლების გაცნობიერებულობა სმენის დარღვევის მქონე ბავშვის საჭიროებებსა და მასთან კომუნიკაციის/ინტერაქციის ფორმების შესახებ;
- ✓ უზრუნველყოფილია სმენის დარღვევის მქონე ბავშვზე მაქსიმალურად მორგებული ფიზიკური გარემო;
- ✓ გამოყენებულია ბავშვის განვითარებისა და სწავლის ხელშემწყობი თანამედროვე მეთოდოლოგია და სასწავლო მასალა;

- ✓ შეფასებული და გაანალიზებულია სმენის დარღვევის მქონე თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები, ინტერესები და მათზე დაფუძნებით შემუშავებულია ბავშვის მხარდაჭრის ინდივიდუალურ პროგრამა/გეგმა;
- ✓ მშობლებთან/ოჯახებთან დამყარებულია ეფექტიანი კომუნიკაცია და თანამშრომლობითი ურთიერთობა;
- ✓ უზრუნველყოფილია მშობლების/ოჯახების გაძლიერება და ეფექტიანი მხარდაჭერა;
- ✓ ხელშეწყობილია ბავშვის ტრანზიცია როგორც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, ასევე ბაღიდან სკოლაში;
- ✓ წარმოებს რეგულარული მონიტორინგი განხორციელებულ მომსახურებაზე და საჭიროების შემთხვევაში ხდება ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარება.